თებერვალი
10
# კავკასიონი
The KAVKASIONI
© ყოველდღიური გაზეთი
№ 21 (315)
ფასი 30 თეთრი

## ყოველ შაბათს: «არილი» ლიტერატურული გაზეთი «კავკასიონში»




*წუთები და მოგონებები*

## ...ონიერი ქურდები დაიხვეწნენ, რას იზამენ ...ფილი მთავრობის წევრები?

...უშინ შს სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია, რომე- ...ეძღვნა სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილე- ...ცვლილებები სასამართლო რეფორმის ფარგლებში მიმდინა- ... — განაცხადა შსს პრესცენტრის უფროსმა, ბატონმა ვალე- ...ოგოლაშვილმა.

...კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურასა და ...ულებაზე ისაუბრა დეპარტამენტის უფროსმა, გენერალ-მაი- ...თემურაზ მურღულიამ, რის შემდეგაც მან ჟურნალისტთა ...ხვებს უპასუხა. „კანონიერმა ქურდებმა საქართველოში ფეხი ...კიდეს და უცხოეთში გადაიხვეწნენ. ყოფილ სსრ კავშირის ...ებში ჩვენგან გაქცეული მრავალი დამნაშავე დაიჭირეს და ...გვცეს, სხვაგან ძალიან გვიჭირს, მაგრამ პერსპექტივები არსე- ...პოლიციას მითითება აქვს მიცემული, რომ არ დაირღვეს ...თა უფლებები. იქმნება ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინა- ...ბრძოლის ერთიანი პროგრამა. გაძლიერდება კორუფციის ...დეგ ბრძოლა", — ასეთი იყო ბატონ თემურ მურღულიას ...ის ძირითადი არსი, თუმცა ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვა ... არ მოხდება, რომ კორუფციაში ეჭვმიტანილი მთავრობის ...მადგენლების დაკავებაზე სანქცია მხოლოდ მათი უცხოეთში ... შემდეგ გაიცემაო", — უპასუხოდ დარჩა.

სოზარ სუბელიანი

## ...ზიდენტი აფრთხილებს ...ბაჟოს ხელმძღვანელს

...ართველოს საბაჟოს დეპარტამენტის ხელმძღვანელს გურამ ... ემუქრება საფრთხე თანამდებობის დაკარგვისა, თუ ...ში არ შეცვლის მუშაობის სახეს, — ამგვარი გაფრთხი- ... რესპუბლიკის საბაჟოს დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ...ის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისგან. პრეზიდენტის ...ჟოს დეპარტამენტმა არ შეასრულა მიმდინარე წლის ...ულებები და თუ ამგვარი რამ კიდევ განმეორდა, იგი ...ება, დეპარტამენტის ხელმძღვანელი შეცვალოს.

BGI




## გაიქცა მინისტრი

სააგენტოს კორესპონდენტისთვის სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ე.წ. აფხაზეთის თავდაცვის მინისტრმა სოსნალიევმა, რომელიც თავის მშობლიურ ქალაქ ნალჩიკში იმყოფებოდა, უარი განაცხადა აფხაზეთში დაბრუნებაზე. აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის განთავისუფლებულ პოსტზე განიხილავენ ორ შესაძლო კანდიდატურას: თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის მერაბ ქარჩავას და აფხაზეთის ყოფილი სამხედრო კომისარის სტანისლავ დბარის.

## ჩემი შენ გითხარიო...

აფხაზეთის უშიშროების სამსახურის თავმჯდომარემ ასტამურ ტარბამ განაცხადა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის განხილვის წინ აფხაზეთში ადგილი ექნება ტერაქტებს. მისი თქმით, „ქართველი დივერსანტები" თავს ესხმიან აფხაზეთის პოსტებს და იტაცებენ ხალხს. ტერაქტები ასევე მოსალოდნელია რუსეთის საზღვარზეც.

„იფრინდა"

## საიდუმლო ვითარებაში

რუსეთ-აფხაზეთის კონსულტაციები კონფიდენციალურ ვითარებაში მიმდინარეობს. როგორც გაზეთი „სეგოდნია" წერს, საიდუმლოების ატმოსფერო, რომლითაც გარემოცულია რუსეთის პოლიტიკოსებთან ვლადისლავ არძინბას შეხვედრები, ადასტურებს, რომ ძვრები, ჯერჯერობით, არ არის, კონსულტაციების მონაწილეებს კი სურთ, დაუმალონ ეს საზოგადოებას. მხარეების და შუამავლის პოზიციები არ შეცვლილა. არძინბა ითხოვს აფხაზეთისა და საქართველოს, როგორც სუბიექტების, თანასწორობას. შევარდნაძე ამაზე არ თანხმდება, არ თანხმდებიან არც ოფიციალური რუსი შუამავლები. გაზეთი აღნიშნავს, რომ პოზიციების დაახლოებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

## პანტელეიმონ გიორგაძის და ვლადისლავ არძინბას ალიანსი?

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის პანტელეიმონ გიორგაძისა და ვლადისლავ არძინბას ერთდროული ვიზიტები მოსკოვში შემთხვევითი არ უნდა იყოს", — მიიჩნევს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე ავთანდილ იოსელიანი. ასეთი მოსაზრება გამოთქვა მან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან თათბირის დროს და დაუმატა, მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ ამ საკითხთან დაკავშირებით. ავთანდილ იოსელიანს არ გამორიცხული თავისი ბრალდებები საქართველოს ყოფილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობასა და აფხაზეთის ლიდერ ვლადისლავ არძინბას ...ის თაობაზე.

BGI

**მეზობლები**

## ვის სურს ომი ჩეჩნეთში?

გუშინ გაიმართა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის საბჭოს სხდომა, რომელსაც თავად ბორის ელცინი უძღვებოდა. სხდომას ესწრებოდა საბჭოს ყველა წევრი და ოთხი ექსპერტი. ვარაუდობდნენ, რომ ძირითადი საკითხი იქნებოდა პრეზიდენტობის მეორე ვადით ბორის ელცინის კანდიდატურის დასახელების შესაძლებლობა. მაგრამ სხდომა სხვა მიმართულებით წავიდა: ბორის ელცინმა კომენტარი გაუკეთა საბჭოს შემადგენლობიდან ცნობილი პერსონების გასვლის ფაქტს და შეფასება მისცა ბორის ნემცოვის ინიციატივას ჩეჩნეთში ომის წინააღმდეგ ხელმოწერების შეგროვების თაობაზე.

„მე, რა თქმა უნდა, მწყინს, რომ ოთხი ჩვენი მეგობარი, თანამებრძოლი ასე მოიქცა, მაგრამ ეს მათი სინდისის, რუსეთის პრობლემების ხედვის, მორალის კრედოა", — აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა. შემდეგ მან მადლობა გადაუხადა სხდომის მონაწილეებს, რომ ისინი აცნობიერებენ შექმნილ მდგომარეობას და იმ ფაქტს, რომ ხელის ერთი დაკვრით, თუნდაც ხელმოწერების შეგროვების გზით, ჩეჩნეთის საკითხი ვერ გადაწყდება. ბორის ელცინმა ნემცოვის ქმედებას „პოპულისტური" უწოდა. „ვის სურს ომი? მე?

მსჯელობდა პრეზიდენტი, — მე არ მსურს იგი. სამხედროებს უნდათ? არა. ომი არც მოსახლეობას უნდა, არც მსოფლიოს. ნემცოვმა, შეიძლება, მილიარდი ხელმოწერა შეაგროვოს, მაგრამ მას რომ ეთქვა, თუ როგორ შეიძლება მშვიდობის დამყარება, ეს სხვა საქმე იქნებოდა და ამისთვის მადლობას ვეტყოდით".

## ამნისტია თუ ტყვეთა გაცვლა?

გუშინ რუსეთის სათათბირომ მიიღო გადაწყვეტილება ამნისტია გამოუცხადოს დუდაევის იმ მებრძოლებს, რომლებიც ყიზლარისა და პერვომაისკოეს ოპერაციებში მონაწილეობდნენ. ამნისტია ამოქმედდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განთავისუფლდებიან დუდაევის მომხრეთა მიერ დაკავებული ომონელები.

„ნოვოსტი"

## გროზნოში დაკრული დოლ-გარმონის ექო

ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები ბოლო 14 თვის განმავლობაში მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრშია. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის საზღვრების – რუსეთი დარწმუნდა, რომ საუწლოიანი მცდელობის მიუხედავად, საშველი არ დაადგა შიდა კონფლიქტის – სამოქალაქო ომის გაჩაღებას და „ჩეჩნები არ გაითიშნენ, რათა რუსებს ებატონათ", კრემლის ხელისუფალნი იძულებულნი გახდნენ, ერთვნული საკითხის გადაჭრის მდიდარი არსენალიდან სხვა ნაცნობი იარაღი გამოეყენებინათ – რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის საბაბით, ძალის დემონსტრირებით, ტანკებისა და მძიმე ტექნიკის საპარადო სვლით ფსიქოლოგიურად დაეთრგუნათ მოწინააღმდეგე და კავკასიაში საკუთარი პოზიციები გაემყარებინათ.

რუსული მხარის ასეთი გათვლის რეალობას, თითქოს, ამ ორი მხარის განკარგულებაში არსებული მატერიალური, სამხედრო, ადამიანური თუ სხვა სახის რესურსების დისპროპორციაც ადასტურებდა. ამიტომ რუსი გენერლების თამამ განცხადებებს, რომ „რამდენიმე დღეში აღდგებოდა კონსტიტუციური წესრიგი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე", მიმომხილველთა აზრით, საკმაო საფუძველი ჰქონდა.

მაგრამ 1994 წლის 11 დეკემბერს დაწყებულმა „სამხედრო ექსპედიციამ" რუსების ყველა ვარაუდი თავდაყირა დააყენა. ძალთა თანაფარდობის სასწორის მეორე პინაზე ჩეჩნებმა დადეს: ფანატიზმამდე ასული თავგანწირვა და სითამამე, სამხედრო საქმეში დიდი განსწავლულობა, დამოუკიდებლობის იდეის გარშემო ხალხის კონსოლიდაცია, კორუფცია რუსეთის

გაგრძელება მე-4 გვ.

**კანონიერება**

## უკანონობა და პოლიციური რეჟიმი, თუ სამართლებრივი სახელმწიფო?

5

ფაქტები და მოვლენები

# ევროკავშირი — საქართველო: ურთიერთობის ახალი ეტაპი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში შემოსულ დახმარებებში ევროკავშირის წილი საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამჟამად მუშავდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ახალი, ოთხწლიანი სტრატეგია. ამასთან დაკავშირებით, თბილისს ეწვიენ ევროკომისიის კავკასიის და შუა აზიის ქვეყნებთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ფოკიონ ფოტიადისი და ევროკავშირ-საქართველოს შორის ურთიერთობებზე პასუხისმგებელი ევროკავშირში ბატონი დევიდ რინბოუზი.

საქართველოსთვის გათვალისწინებული ტექნიკური დახმარება რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს, — განაცხადა ბატონმა ფოკიონ ფოტიადისმა.

1) საქართველომ უნდა გამოიყენოს რეგიონში თავისი გეოგრაფიული მდებარეობა, რაც შესაძლებლობას აძლევს შეასრულოს ცენტრალურ აზიას და ევროპას შორის ძირითადი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია; გათვალისწინებულია სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარება ,,ტრასეკას" (ტრანსკავკასიური დერეფანი) პროექტის სახით: რეგიონში გაზით და-ნავთობით ვაჭრობის მოგვარება: ცენტრალური აზიიდან კავკასიის გავლით ნავთობსადენების გაყვანის პროექტების ხორცშესხმა.

2) ტრადიციული საკონსულტაციო პროექტებიდან ინვესტიციების მომტან პროექტებზე გადასვლა. ინვესტიციების მოზიდვის მთავარი წყარო იქნება ევროკავშირი და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები.

3) უნდა გაძლიერდეს საქართველოს ეკონომიკა. ძირითადი მიმართულებაა სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურების განვითარება.

4) პარლამენტის და მთავრობის კონსულტირება, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის დახმარების გაწევა, საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე შემუშავება.

ბატონ ფოკიონ ფოტიადისის თქმით, ტრასეკას პროექტთან დაკავშირებით დიდ დაინტერესებას ამჟღავნებენ ცენტრალური აზიის ქვეყნები და მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ მიმართულებით უკვე შემუშავებულია 15 პროექტი, რომელთაგან რამდენიმე უკვე მოქმედებს, ერთ თვეში კი, ალბათ, ყველა ამოქმედდება. ამ პროექტების განხორციელებისთვის ევროკომისიას წარედგინა თხოვნა, რომ გამოიყოს 20 მილიონი ეკიუ, ამდენივე სჭირდება გაზის და ნავთობის სფეროში პროექტების დაფინანსებას.

მსოფლიოში ხორბლის მარაგის შემცირების და ფასების ზრდის გამო, ევროკავშირმა ძირითადი მიმართულება ხორბლის ადგილობრივი წარმოების გაღვივებისკენ აიღო. ამ მიზნით შემუშავებულია დიდი პროექტი, რომლის მიზანია ხორბლით კერძო მოვაჭრეთა ფენის გაჩენა. ფერმერებისთვის სათესლე მასალის შეძენაში დახმარების გაწევა, წისქვილკომბინატების პრივატიზება, პურპროდუქტების კორპორაციის რესტრუქტურიზაცია, რათა იგი ხორბლის შეძენა-გაყიდვაში მონოპოლისტის მაგიერ მარეგულირებელი სამსახური გახდეს. პროექტი დაფინანსდება საპარტნიორო ფონდების საშუალებით, რათა ეს ხარჯები საქართველოს ბიუჯეტს არ დააწვეს.

სოზარ სუბელიანი

## სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირში

გაიმართა სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის თბილისის ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელზეც აირჩიეს ამ ორგანიზაციის საქალაქო საბჭო და საკონტროლო კომისია.

კონფერენციამ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩია სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დავით აბაშიძე.

## სად ვეძებოთ იგორ გიორგაძე?

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თემურ მურღულიას თქმით, საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის იგორ გიორგაძის დაკავების თაობაზე ჩვენმა სამართალდამცავმა ორგანოებმა არაერთხელ მიმართეს რუს კოლეგებს. საკითხი დაყენებული იყო სახელმწიფოებრივ დონეზეც. ზოგიერთი მიზეზით, იგი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. „ჩვენ გვქონდა მონაცემები, რომ იგორ გიორგაძე მოსკოვში იმყოფება, მაგრამ რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები იმიზეზებენ იმას, რომ მისი ადგილსამყოფელი უცნობია", — დასძინა თ.მურღულიამ.

BGI

მართლწესრიგი

## პროკურატურის კოლეგიის სხდომა

გუშინ გაიმართა საქართველოს პროკურატურის გაფართოებული კოლეგიის სხდომა. განიხილეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ,,კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამხედრო ძალებში წვევამდელთა გასაწვევად 1995 წელს განხორციელებული მუშაობის შედეგების შესახებ" და პროკურატურის 1996 წლის ამოცანები. კოლეგიაზე აღინიშნა, რომ ბოლო პერიოდში ეკონომიკის და სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში გატარებულმა ღონისძიებებმა გარკვეული გავლენა მოახდინეს დანაშაულის კლების ტენდენციაზე. დანაშაულთა საერთო რაოდენობა შემცირდა 10,8 პროცენტით, მძიმე კატეგორიის 19.2 პროცენტით, განზრახ მკვლელობა 32 პროცენტით, ყაჩაღობა 28 პროცენტით, ბანდიტიზმი 40 პროცენტით, ძარცვა 2 პროცენტით, სახელმწიფო ქონების ქურდობა 19 პროცენტით, იარაღისა და საბრძოლო მასალების გატაცება 60 პროცენტით. გაიზარდა ადამიანის გატაცების ფაქტები (28 პროცენტით) წინა წელთან შედარებით დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გაიზარდა 67 პროცენტიდან 72 პროცენტამდე. გაუხსნელი დარჩა 4444 დანაშაული. მათ შორის 93 განზრახ მკვლელობა, 744 ყაჩაღური თავდასხმა, 76 ძარცვა, 22 ადამიანის გატაცება, 2428 სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობა. 1995 წელს პროკურატურამ გამოიძია 800-ზე მეტი საქმე. ყველა ამ მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად კოლეგიამ გადაწყვიტა შემუშავდეს ორგანიზაციულ და პრაქტიკულ ღონისძიებათა კომპლექსი.

„იპრინდა"

## კრიმინალური ქრონიკა

რუსეთში რეგისტრირებული კორპორაცია „იმპერიალ-21"-ის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე დიდი ფულადი სახსრების მითვისების გამო. კორპორაცია ინკრიმინირებულია რუსთავის მეტალურგიული კომბინატიდან 1065 ტონა ფოლადის ნაჭრების დატაცების გამო, რომლის რეალიზაციით მიღებულმა თანხამ 60 ათასი დოლარი შეადგინა.

* * *

კომპრესორის აეროპორტში დაკავებულია ნარკოტიკების გამსაღებელი. იგი არის რუსეთში, ტვერის ოლქში მცხოვრები ამირან გვენცაძე, რომელსაც აღმოაჩნდა 104.3 გრამი ოპიუმი, 1,5 გრამი ოპიუმის ხსნარი, 120 გრამი მარიხუ[illegible]დი და 1 ლიტრი სპეციალური სითხე ოპიუმის გამხსნელის დასამზადებლად.

* * *

ფოთის რკინიგზის ვაგონ-რეფრიჟერატორიდან მოიპარეს 220 კგ კარაქი. ქურდები აღმოჩნდნენ ფოთელები — დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სტუდენტი სოსო გაბუნია და ფირმა „მგალობელის" მუშა ილია ჭედია. საქმეს იძიებს სამეგრელოს რეგიონის სატრანსპორტო-საგამოძიებო განყოფილება.

BGI


### საქართველოს ბიზნესის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი

აცხადებს ფასიან მოსამზადებელ განყოფილებაზე მსმენელთა (საშუალო განათლების მქონეთა და დამამთავრებელ კლასელთა) მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზაცია და მენეჯმენტი;
2. სამართალმცოდნეობა;
3. საფინანსო-საბანკო მეურნეობის ორგანიზაცია და მენეჯმენტი;
4. კვების მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი;
5. ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი.

ეს უკანასკნელი არის ექიმისა და ბიზნესმენის სინთეზური სპეციალობის ჩამოყალიბების პირველი მცდელობა რესპუბლიკაში.

სწავლა დაიწყება ოთხი მარტიდან.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 37, კორპუსი 14, მეორე სართული.

ტელეფონი: 22-54-24; 22-65-51.


კურიოზი

# პარტიის ლიდერი საერთოდ არ აღმოჩნდა ამ პარტიის წევრი

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერს — იოსებ ხიმშიაშვილს კარგად იცნობენ „კავკასიონის" მკითხველები. არცთუ დიდი ხნის წინ გაზეთის ფურცლებიდან ვიტყობინებოდით, რომ ი.ხიმშიაშვილი, თავისი მორალური და პოლიტიკური პრინციპებით (თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი პრინციპები მას საერთოდ არ გააჩნია), აშკარად საშიშროებას უქმნიდა საზოგადოებას. ბოლოს და ბოლოს, ეკპ-ს აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაშიც მიხვდნენ ამას და ამა წლის 8 თებერვალს გამართულ პლენუმზე ი.ხიმშიაშვილს ყველაფერი ერთად გაუხსენეს.

როგორც პლენუმზე გამოსვლებიდან გაირკვა, ი.ხიმშიაშვილი საერთოდ არ ირიცხება ეკპ-ს წევრად, რადგან პარტიაში იგი წესდების უხეში დარღვევითაა მიღებული და, ამასთან, მისი წევრობა ეკპ-ს ცენტრალურ აპარატს არ დაუმტკიცებია.

როცა აჭარაში კომუნისტური მოძრაობის აღორძინება დაიწყო, ი.ხიმშიაშვილი გამალებული ქმნიდა მონარქისტულ პარტიას და საქართველოში სამეფო ხელისუფლების აღდგენისთვის ძალას არ იშურებდა. ამავე დროს, იგი გახსნილად აცხადებდა, რომ როგორც მონარქისტული მოძრაობის ლიდერს და დიდგვაროვან ჩამომავალს სწორედ მას მიეკუთვნებოდა აჭარის ერისთავობა.

გავიდა დრო და დამაშვრალ მონარქისტს მოსწყინდა მეფობანას თამაში; ესეც რომ არ იყოს, ხალხში ვერანაირი პოპულარობა ვერ მოიპოვა მისმა „გვირგვინოსანმა იდეებმა". სწორედ ამ დროს გაიხსენა, რომ იგი ყოფილი კომუნისტია და ისევ ძველ პარტიულ თანამოძმეებს მიეტმასნა. თანაც ძლიერი და გავლენიანი მფარველიც იშოვა გრიგოლ ონიანის სახით — 1994 წლის 19 აგვისტოს სწორედ გ.ონიანის უშუალო მითითებითა და ზეწოლით აირჩიეს ეკპ-ს აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად, მაგრამ პროტექტორსაც და პროტეჟესაც დაავიწყდათ, რომ ი.ხიმშიაშვილი ეკპ-ს წესდების მუხლების შეუსრულებლობის გამო ფორმალურად არ ითვლებოდა პარტიის წევრად. ასე იყო თუ ისე, ნამორჩისტალი კომუნისტი, პარტიის ყოფილი და ახლანდელი გენერალური მდივნების გ.ონიანის და პ.გიორგაძის მხარდაჭერით, სწრაფად იკვლავდა გზას ეკპ-ს უმაღლესი ეშელონებისკენ, მაგრამ ა.წ. 8 თებერვლის პლენუმზე „განკითხვის დღე" დაუდგა.

გამომსვლელებმა მისი დანაშაულებრივი და მოღალატური ქმედების არაერთი ფაქტი გამოამზეურეს, განსაკუთრებით ბრალს სდებდნენ, იმაში, რომ თურმე ი.ხიმშიაშვილი ფარულ მოლაპარაკებებს ეწეოდა სხვა პარტიების ზოგიერთ წევრთან, იმათთან, ვინც აგრესიულად არის განწყობილი აჭარის ხელისუფლების მიმართ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პლენუმმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება:

მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების, პარტიის საწესდებო მოთხოვნების უხეში დარღვევისთვის, საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის, აჭარის რესპუბლიკური და ბათუმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იოსებ ხიმშიაშვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გამოყვანილ იქნა ბიუროს შემადგენლობიდან.

პარტიიდან მისი გარიცხვის საკითხი პლენუმს აღარც განუხილავს, რადგან იგი არც ყოფილა ამ პარტიის წევრი...

დავით თევზაძე

პარლამენტი

# მიღებულია კანონი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

## ამასთანავე, გადარჩა თავისუფალი ქართული პრესაც

საკომიტეტო ფრაქციებში ბიუჯეტის პროექტის სამკვირიანი განხილვის შემდეგ, გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად წარმოადგინა 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

პრეზიდენტმა თავის მოხსენებაში გააანალიზა 1995 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები, ვრცლად ისაუბრა მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის და ყველა შესაბამისი უწყების წვლილზე და დამსახურებაზე. აღნიშნა, რომ მათ ხანგრძლივი მუშაობა გასწიეს ბიუჯეტის პროექტის ძირეული რგოლების განსაზღვრისა და სისტემაში მოყვანისთვის. ედუარდ შევარდნაძემ უარყო მოსაზრება, თითქოს საერთაშორისო ფინანსო ორგანიზაციები უხეშად ერევიან ქვეყნის შიდაეკონომიკურ პროცესებში. მისივე თქმით, მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებითაა შესაძლებელი იმ სამწლიანი პროგრამის განხორციელება, რომელსაც ეს ორგანიზაციები აფინანსებენ. ისინი ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისიდან გამოყვანის გარანტიებს იძლევიან.

საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაში ქართული მასმედიის წარმომადგენლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ე.წ. სახელმწიფო პრესის და თავისუფალი პრესისთვის დამატებული ღირებულების 20-პროცენტიანი გადასახადის შემოღება. წინა დღეს პარლამენტის თავმჯდომარესთან საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენელთა შეხვედრაზე პრესისთვის დამატებული ღირებულების შემოღებასთან დაკავშირებით, მასმედიას მუშაკთა აშკარა უკმაყოფილება გამოიხატა.

უკვე გუშინწინ პრესის წარმომადგენლებისთვის ცნობილი იყო ამ საკითხზე პრეზიდენტის აზრი. მან გაითვალისწინა ის მდგომარეობა, რომ 20-პროცენტიანი დამატებული ღირებულების გადასახადის შემოღებით ქართული თავისუფალი პრესა, პრაქტიკულად, შეწყვეტდა არსებობას და ყოველმხრივ თანადგომას დაჰპირდა მასმედიის წარმომადგენლებს. პრეზიდენტმა თავისი სიტყვა შეასრულა და პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე პრესისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის გაუქმება უმტკივნეულოდ განახორციელა კიდეც.

ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, 1996 წლის ბიუჯეტის პროექტი, ქვეყნის რეალიების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ვერ იქნება იდეალური. თუმცა, შესაძლებლობების ფარგლებში გაკეთდა ყველაფერი, რაც ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკას, სოციალურ ინფრასტრუქტურას მეტ-ნაკლებად გააუმჯობესებს.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან შეთანხმებით, ბიუჯეტის პროექტში გაუქმდა ხორბალზე დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლის დაწესებითაც ავტომატურად პურის ფასის 50-60 პროცენტით გაზრდის საშიშროება იქმნებოდა.

პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში განსაკუთრებული სიმკაცრით საბაჟო დეპარტამენტის საქმიანობა მოიხსენია და დეპარტამენტის უფროსს „შეჰპირდა", რომ, თუ ერთ თვეში საბიუჯეტო დავალიანება არ გამოსწორდებოდა, მაშინ ბატონ მამულაშვილს მასთან „განშორება" მოუწევს.

ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვისას ფრაქციების „აფხაზეთი" და „ეროვნულ-დემოკრატი" აშკარა უკმაყოფილება გამოიკვეთა. ამ უკანასკნელმა ბიუჯეტის კანონპროექტის კენჭისყრაში მონაწილეობაზეც კი უარი განაცხადა.

განსაკუთრებით მწვავე დებატები გაიმართა ფინანსთა მინისტრსა და იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს მიხეილ სააკაშვილს შორის. კომიტეტის თავმჯდომარემ კანონპროექტში 300-ლარიან ზღვარზე საბაჟო გადასახადის დაწესებასთან დაკავშირებით, დავით იაკობიძეს კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის უცოდინრობაც დასწამა, რაც ოდნავ მოგვიანებით პარლამენტის თავმჯდომარემაც ნაწილობრივ გაიზიარა.

ახე რომ, დეპუტატთა კორპუსის უმრავლესობის მოთხოვნით, კანონპროექტში მნიშვნელოვანი და აუცილებელი ცვლილებების გათვალისწინებით, მათ შორის, 300-ლარიან ზღვარზე საბაჟო გადასახადის გაუქმებით, კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, 146 ხმით (23 წინააღმდეგი) მიღებულ იქნა. პარლამენტმა მიიღო დადგენილება სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებაზე.

დიანა ბაბროშვილი

განმარტება

# ერთი ინფორმაციის გამო

**ჩვენი გაზეთის 6 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა საინფორმაციო სააგენტო BGI მიერ მოწოდებული ინფორმაცია, თითქოს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ზაზა სიორიძემ მოქალაქეთა კავშირის ფრაქციის სხდომაზე განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში მოსალოდნელია ბენზინზე ფასის მომატება.**

**ბატონი ზაზა სიორიძე დაუკავშირდა გაზეთ „კავკასიონის" რედაქციას და გვთხოვა, გაზეთის საშუალებით განემარტა მოქალაქეთა კავშირის ფრაქციის სხდომაზე მის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რაც, მისივე თქმით, BGI კორესპონდენტის მიერ არასწორად იქნა გაგებული.**

„მოქალაქეთა კავშირის ფრაქციის სხდომაზე მე აღვნიშნე, რომ საგადასახადო სისტემაში, ნავთობპროდუქტების დაბეგვრასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია ცვლილებები. კერძოდ: ნაცვლად ფიქსირებული გადასახადის — 60 ლარისა, ჩვენ დავაწესეთ საბაჟო გადასახადი 15 პროცენტის ოდენობით, რაც სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ბენზინის ფასი 15 პროცენტით გაიზრდება. საბაჟოს ფიქსირებული გადასახადი — 15 პროცენტი და ბენზინზე 15 პროცენტით ფასის მომატება, როგორც ეს გაზეთში იქნა გაცხადებული, აბსოლუტურად სხვადასხვა ცნებაა.

სხდომაზე დასმულ კითხვაზე — საბაჟო გადასახადის გაზრდა ხომ არ გამოიწვევს ფასების ზრდას, მე ვუპასუხე, რომ საბაჟო გადასახადის ზრდამ, შეიძლება, ფასების უმნიშვნელო ზრდა გამოიწვიოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფასების ზრდა ჯაჭვურად სხვა სამომხმარებლო საქონელსაც მოიცავს.

გამოქვეყნებულ ინფორმაციაში მინიშნებულია, თითქოს ფასების 15-20 პროცენტით მომატება ბიუჯეტს, დაახლოებით, 20-25 მილიონი ლარის შემოსავლებს მოუტანს, რაც იგივე კორესპონდენტის მიერ არასწორად იქნა გაგებული.

ბიუჯეტის პროექტის განხილვისას სხვადასხვა ვარიანტი მართლაც იქნა შემოთავაზებული. მაგალითად, ნაცვლად საბაჟო გადასახადის ფიქსირებული 15 პროცენტისა, გადასახადების ჩვეულებრივი რეჟიმი დაგვეწესებინა, ისეთი, როგორიც სხვა ნედლეულზე და პროდუქციაზეა. არსებობდა მოსაზრებაც, რომ დაბეგვრის ჩვეულებრივმა რეჟიმმა საბიუჯეტო შემოსავლებში, შეიძლება, 20-25 პროცენტიც კი მოიტანოს, მაგრამ იქვე განვაცხადე, რომ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ დღეს ამის განხორციელება შესაძლებელია. ეს უახლოესი პერიოდის გადასაწყვეტი საქმეა".

მეზობლები

## აფეთქებათა სერია პრეზიდენტის მოედანზე

გროზნოში გრძელდება დუდაევის მომხრეთა მიტინგი. გუშინ, დაახლოებით, დილის 8 საათზე, მოხდა სისხლიანი ინციდენტი, რომლის დროსაც მიტინგის ერთი მონაწილე დაიჭრა. სხვა მონაცემებით, დაზიანდა რამდენიმე ქალი, მაგრამ ამ ინფორმაციის შემოწმება ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურმა ჯარებმა და ადგილობრივმა მილიციამ ბლოკირება გაუკეთა პრეზიდენტის სასახლის ყველა მისადგომს, ასობით ადამიანმა გაარღვია ალყა და მიტინგის მონაწილეებს შეუერთდა. დაძაბულობა ქალაქში მატულობს. მთელი ღამე გროზნოს აზანზარებდა მძიმე ჭურვების ხმა. დილით ჩატარდა დოკუ ზავგაევის მთავრობის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა პირველი ვიცეპრემიერი სანაკი არბიევი. ინციდენტი განმეორდა დღის 12 საათზე. პრეზიდენტის სასახლის წინ მოხდა აფეთქება, რომლის დროსაც დაიღუპა 3 და მძიმედ დაიჭრა 2 ადამიანი. დაზარალებულები მიიყვანეს ქალაქის საავადმყოფოში. ერთი საათის შემდეგ მოხდა კიდევ ორი აფეთქება. ჩეჩნეთში ფედერალური ჯარების მეთაურის გენერალ ტიხომიროვის თქმით, მის არცერთ ხელქვეითს არ მიუძღვის ბრალი პროვოკაციაში, თუმცა, აფეთქებებში ჯოხარ დუდაევი ფედერალურ ჯარებს სდებს ბრალს და მოუწოდებს მომიტინგეებს აქტიური წინააღმდეგობა გაუწიონ მათ.

CNN

## გაიმართება უშიშროების საბჭოს სხდომა

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისთვის სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, დღეს შედგება საქართველოს უშიშროების საბჭოს სხდომა. წინასწარი მონაცემებით, განიხილავენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლის საკითხს.

„იპრინდა"

დღე

## ტაჯიკეთში ბრძოლები გრძელდება

ტაჯიკეთში გრძელდება ცხარე ბრძოლები სამთავრობო ძალებსა და ოპოზიციას შორის. გუშინ სამთავრობო ძალები კონტრიერიშზე გადავიდნენ და შეავიწროვეს ბოევიკები. ამავე დროს, აშხაბადში გრძელდება მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდი ტაჯიკურ ძალებს შორის, თუმცა, უკანასკნელმა პლენარულმა სხდომამ ცოტა რამ თუ შეცვალა. ოპოზიცია კვლავ დაჟინებით მოითხოვს ეროვნული შერიგების საბჭოს შექმნას და ტაჯიკეთის პარლამენტის დათხოვნას, სამთავრობო პოზიცია კი ასეთია - პარლამენტის ხესიაზე მოწვეულ იქნენ ოპოზიციის ლიდერები ხელშეუხებლობის გარანტიით და ამ სხდომაზე იმსჯელონ ქვეყნის განვითარების გზებზე.

„ნოვოსტი"

## მოლდოვაში წინა პლანზე ენის საკითხმა წამოიწია

მოლდოვაში გუშინ იხილებოდა ქვეყნის პრეზიდენტის მირჩა სნეგურის საკანონმდებლო ინიციატივა, კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის მოლდავურის რუმინულით შეცვლის შესახებ. მეცნიერ-ლინგვისტთა უმრავლესობის აზრით, როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, მოლდოველები ლაპარაკობენ რუმინულ ენაზე და საჭიროა, ძირითად კანონში აისახოს ეს სამეცნიერო ჭეშმარიტება. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობა მას არ დაეთანხმა და 58 ხმით 25-ის წინააღმდეგ უარყო ეს წინადადება.

„ნოვოსტი"

T I B
COMMUNICATION
თ ი ბ

Translation
Information
Business

თარგმანი
მრავალ ენაზე.
ნათარგმნი დოკუმენტების აუტენტურობის დამოწმება.
გამოცდილი თარჯიმნებით უზრუნველყოფა.

ინფორმაცია
საინფორმაციო, საკონსულტაციო,
სატელეკომუნიკაციო მომსახურება.
კვალიფიციური კადრების მოძიება.

ბიზნესი
პარტნიორების მოძიება.
შეხვედრების, კონფერენციების,
პრეზენტაციების ორგანიზება.

მისამართი
ბიზნეს კომუნიკაციის ცენტრი
თბილისი, კოსტავას ქ. 47
ტელ.: 98-83-71, 98-76-19.
ფაქსი: 98-76-01
BCC TBILISI

უცხოეთი

# ერთი პრობლემა — ორი რაკურსით

## ბოსნიაში კვლავ დაძაბულობაა

ბოსნიელი სერბები იმუქრებოდნენ შურისძიებით იმ სერბ ჯარისკაცთა დაპატიმრების გამო, რომელნიც ეჭვმიტანილნი არიან სამხედრო დანაშაულში. სერბი ხელისუფალნი ხორვატებსა და მუსულმანებს სამაგიეროს იმით უხდიან, რომ უკრძალავენ თავიანთ ტერიტორიაზე გადასვლას. აშშ ცდილობს, მოაგვაროს კრიზისი, რომელიც საფრთხეს უქმნის ხელშეკრულებას მშვიდობის თაობაზე. აშშ წარმომადგენელს რიჩარდ ჰოლბრუკს უბრძანეს, დაბრუნდეს ბოსნიაში ყველა პარტიასთან მოლაპარაკების საწარმოებლად. პრინცი ჩარლზიც ბოსნიაშია. იგი ეწვია სარაევოს.

ბოსნიელ სერბთა ლიდერი 70 წლის დიუკიჩი სარაევოს ციხეშია და როგორც ამბობენ გულის სერიოზული შეტევები აწუხებს. აგრეთვე, დაპატიმრებულია პოლკოვნიკი ალექსანდ კროზმანოვიჩი. ორივე სარაევოს გარეუბანში აიყვანა ბოსნიის მთავრობამ, რომელმაც განაცხადა, რომ მათ გადაკვეთეს საზღვარი საომარი დანაშაულის ჩასადენად. ბოსნიელი სერბები ითხოვენ მათ დაბრუნებას. ბოსნიელ სერბთა არმიის მეთაურის მოადგილემ განაცხადა, რომ ურთიერთობა ბოსნიელ სერბთა და ბოსნიის მთავრობას შორის მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ გაათავისუფლებენ დაკავებულ პირებს. სერბები იმუქრებიან, რომ დააპატიმრებენ ხორვატ და მუსულმან მშვიდობიან მოქალაქეებს. ბოსნიაში ამჟამად ათასობით ამერიკელი მეომარია. ვაშინგტონი ეჭვის თვალით უყურებს შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას.

უელსის პრინცი კი სერბთა მიერ ჯერ კიდევ ომის დასაწყისში პრაქტიკულად განადგურებულ ხორვატთა ქალაქ დუბროვნიკში ჩავიდა. ქალაქის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ომის დროს დანგრეული, უძველესი შენობა-ნაგებობანი კვლავ აღდგება. პრინცმა სურვილი გამოთქვა, დაეხმაროს მათ ამ სასიკეთო საქმეში.

SKY-NEWS

* * *

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე მისმა წარმომადგენელმა ლამის დემონსტრატიულად არ გააკრიტიკა ბოსნიელი მუსულმანების აქცია, რომლის დროსაც მისმა მონაწილეებმა სამხედრო დანაშაულში ეჭვმიტანილობის საბაბით დააპატიმრეს სერბეთის რესპუბლიკის მაღალი ჩინის ოფიცრები. მან მხოლოდ მოუწოდა მხარეებს, დაიცვან დეიტონის ხელშეკრულება. სერბეთის რესპუბლიკის არმიამ ბოსნიაში მშვიდობის შესანარჩუნებლად საერთაშორისო ძალების უმოქმედობის პროტესტის ნიშნად, მათთან ყოველგვარი კონტაქტები გაწყვიტა, ხოლო მთავრობამ „გაყინა" თავისი კონტაქტები მუსულმანებთან.

„ნოვოსტი"

## ქარები ავსტრალიაში

ცენტრალურ ავსტრალიაში მძვინვარე ქარებმა დაანგრია შენობები, დაზარალდა 15 ადამიანი. ქარის სიჩქარე საათში 60 მილია. ქარებმა ავსტრალიის ცენტრალური ნაწილიდან სხვა ნაწილებშიც გადაინაცვლა და დააზიანა კავშირგაბმულობის საშუალებები. სიდნეის მახლობლად ქარებმა ხანძარიც გამოიწვია. გამოცხადებულია საყოველთაო საგანგებო მდგომარეობა.

SKY-NEWS

## წყალდიდობა ორეგონში

აშშ-ს შტატ ორეგონის გუბერნატორმა სთხოვა პრეზიდენტ კლინტონს — ძირითადი ყურადღება გადაიტანოს სტიქიური უბედურების მთავარ ზონაზე, სადაც ბოლო 30 წელს მომხდარ წყალდიდობათაგან უსაშინლესი წყალდიდობაა. სტიქიამ შეიწირა ორი ადამიანის სიცოცხლე და საცხოვრებელი ადგილებიდან გააძევა ათასობით ადამიანი. შტატის უდიდესი ქალაქი პორტლენდს ყველაზე მეტად ემუქრება ნალექის საფრთხე. ორეგონის გუბერნატორი თავს უძლურად გრძნობს ვაშინგტონის დახმარების გარეშე. წყალდიდობამ უდიდესი ზარალი მიაყენა კავშირგაბმულობასა და გზებს. იგი გამოიწვია დიდმა წვიმებმა და მდინარის მაღალმა დონემ, რასაც მოჰყვა ცივი ამინდი ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

CNN

## მსხვერპლთა ძებნას აზრი არა აქვს

აშშ-ის და დომინიკის რესპუბლიკის სამაშველო ბრიგადები მიიჩნევენ, რომ კატასტროფაში მოხვედრილი ბოინგ 757-ის მსხვერპლთა ძებნას აზრი არა აქვს. ამჟამად მათ ამოაჩინეს 130-მდე დაღუპული მგზავრის გვამი, დანარჩენ მგზავრთა სხეულები, მათი აზრით, დარჩა თვითმფრინავში, რომლის უდიდესი ნაწილიც ზღვის ფსკერზე, 2 კილომეტრის სიღრმეში აღმოჩნდა. ამავე დროს, კატასტროფის ადგილზე მოგროვდა ზვიგენების დიდი რაოდენობა.

CNN

## ჩინეთის არმია ვარჯიშობს

გრძელდება დაძაბულობის ესკალაცია ჩინეთსა და ტაივანს შორის. დიდი სამხედრო სწავლება, რომელსაც ჩინეთის არმია ტაივანის ნაპირებთან გეგმავს, დღეს დაიწყება და სავარაუდოდ, 19 თებერვლამდე გასტანს. მასში მონაწილეობას მიიღებს ჯარის სამი სახეობის 40-დან 50 ათასამდე ჯარისკაცი.

„ნოვოსტი"

## რომის პაპი ცენტრალურ ამერიკაში

რომის პაპი იოანე-პავლე II, რომელიც მოგზაურობს ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში, სალვადორში ჩავიდა, სადაც ხალხთან შეხვედრისას პოლიტიკური პრობლემებიც განიხილა. მან ხაზი გაუსვა ტერორიზმის აღმოფხვრის აუცილებლობას. რომის კათოლიკური ეკლესიის მმართველის თქმით, ტერორიზმი მსხვერპლად იწირავს უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეს. რომის პაპთან შეხვედრას ესწრებოდა 250 000-ზე მეტი ადამიანი. იოანე-პავლე II ვენესუელასაც ეწვია, სადაც სიტუაცია მკვეთრად დაიძაბა და პოლიციას ხალხის დაპატიმრებაც კი მოუხდა. ამ ორი ქვეყნის მონახულებამდე რომის პაპი გვატემალასა და ნიკარაგუაშიც ჩავიდა ვიზიტით.

CNN

## გამოსათხოვარი



ირაკლი რამიშვილი ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების თანამშრომელი იყო. მის სამუშაო სფეროს ენის ფილოსოფია წარმოადგენდა. მისი ნაშრომები, მოხსენებები აღბეჭდილი იყო ფართო და ღრმა ფილოსოფიური განათლებითა და კულტურით. მატერიალიზმის და პოზიტივიზმის მოძალების ეპოქაში იგი სულიერებისკენ, იდეალისტური პერსპექტივისკენ ისწრაფოდა.

ირაკლი რამიშვილის ადგილი დღევანდელ ქართულ კულტურაში არ შეიძლება შემოვფარგლოთ მისი „ოფიციალური" სამეცნიერო მუშაობით. იგი ქართული კულტურის ისეთ მოღვაწეთა რიგს ეკუთვნის, რომელთა მოქმედებისა და მუშაობის უდიდესი წილი უჩუმრად და ფართო საზოგადოებისთვის უხილავად ხორციელდება. თბილისის ცხოვრებაში მას შეჰქონდა დიდი ინდივიდუალური კულტურა, ღრმა და ფართო განათლება, რომლებსაც უშურველად უნაწილებდა ყველას, ვინც მის გვერდით აღმოჩნდებოდა, როგორც მეგობარი, მოწაფე, თანამოაზრე, თუ თანამოსაუბრე. მან ღრმად, შინაგანად იცოდა ინდური, ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი დროის ფილოსოფია და კულტურა, მისთვის თანაბრად მახლობელი იყო მსოფლიო და ქართული კულტურის მწვერვალები. ის იყო უანგარო მეგობარი და მრჩეველი ქართული კულტურის ბევრი ნიჭიერი მოღვაწისა — მხატვრობის, ლიტერატურის, მუსიკის, კინოხელოვნების, მეცნიერების დარგში — რომელთაც თავიანთი ნაღვაწით დაამშვენეს ჩვენი თანამედროვეობა.

ჩვენს დროში, რომელიც კულტურის მატერიალიზაციის, ყოფის მოძალების, ღირებულებათა დაცემის, ადამიანის დაქუცმაცების ნიშნით არის აღბეჭდილი, ის მუდამ კულტურულ ღირებულებათა სადარაჯოზე იდგა, არ ემორჩილებოდა გარემოს, და პირიქით, მისი გაკეთილშობილების, ზეაწევისთვის ილვწოდა. მისი ერთ-ერთი იარაღი იუმორი იყო. ბევრი გაიხსენებს მის მოსწრებულ ხუმრობებს, რომლებსაც უიმედობის და საერთო წუწუნის ვითარებაში განწყობა სხვა განზომილებაში გადაჰყავდა და ოპტიმიზმი შემოჰქონდა.

ირაკლი ხიდი იყო წინა თაობასა და მომდევნოს შორის. იგი ინარჩუნებდა იმ სულიერ და კულტურულ დონეს, რომელიც წინა თაობის კუთვნილება იყო — ეს იყო, თუნდაც მისი ოჯახის კულტურული ატმოსფერო და ცდილობდა ახალგაზრდები ეზიარებინა იმ ფასეულობებისთვის, რაც მსოფლიო და ქართული კულტურის საგანძურს შეადგენს, ცდილობდა, მათი მზერა ყოფითი, წვრილმანი, ქვენაური — ზენა, იდეალური, სულიერისკენ მიეპყრო. ასეთი ადამიანები უზრუნველყოფენ ერის კულტურული ცხოვრების უწყვეტობას, ცოცხლად ატარებენ ეროვნული კულტურის შინაარსს.

მშვიდობით, კეთილო, მართალო ადამიანო.

ამხანაგების ჯგუფი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის 1989 წელს კურსდამთავრებული VII ჯგუფი მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა

**მანანა თენგიზის ასული პოპიაშვილი**

მეზობლები

# გროზნოში დაკრული დოლ-გარმონის ექო

პირველი გვერდიდან

სამხედრო და ფინანსურ წრეებში და ამით ბლიცკრიგის იდეა მოწინააღმდეგეს ჩანასახშივე გაუქარწყლეს.

ტაქტიკური მოქნილობის გაკვეთილი ჩაუტარეს მოსკოვს შამილის შთამომავლებმა ომის წარმოების ხერხების ნაირფეროვნების თვალსაზრისითაც: პირველ ეტაპზე, როდესაც თავგანწირული წინააღმდეგობით თანდათანობით დაიხიეს უკან და მტერს დანგრეული დედაქალაქი შეატოვეს ხელთ; მათ წარმატებით შეუთავსეს პარტიზანული ბრძოლების მეთოდი, „შეზავებული" მტრის ზურგში განხორციელებული ბუდიონოვსკის და პერვომაისკოეს ტერორისტული აქტებით. საინტერესოა, უფრო ზუსტად, მოწინააღმდეგის არსენალიდან არის ნასესხები ცივილიზებული სამყაროს მიერ დაგმობილი ტერაქტების ინტერპრეტაციაც: ჩეჩნების „გარიბალდი" — ჯოხარ დუდაევი ოფიციალურად გაემიჯნა ტერაქტების ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს (თუმცა, ეს არავინ დაიჯერა), მაგრამ თავად ამ ოპერაციებმა რუსებში აშკარა მორალური დეზორგანიზაცია შეიტანა და ფსიქოლოგიური ინიციატივაც საკმაოდ მტკიცედ გადავიდა ჩეჩენ მებრძოლთა მხარეს.

ამას დაერთო ისიც, რომ რუსეთში, ფაქტობრივად, დაწყებულია წინასაარჩევნო კამპანია. ამიტომ დღევანდელი პრეზიდენტი ბორის ელცინი თავის ქმედებებში, ბუნებრივია, ვეღარ იქნება მტკიცე და შეუვალი: ძალისმიერი მეთოდების კიდევ უფრო გამკაცრება მის ბანაკს დემოკრატიულ ძალებს საბოლოოდ ჩამოაშორებს, ხოლო სტატუს-ქვოს შენარჩუნების და მშვიდობიანი მოლაპარაკებების ტაქტიკა, რაც რუსი ობივატელის თვალში კაპიტულაციად აღიქმება, მას მემარჯვენე და მემარცხენე რადიკალური ძალების სამიზნედ აქცევს.

მდგომარეობას მეტი დრამატიზმი შემატა ბოლო დღეებში დატრიალებულმა ამბებმა: რუსების მიერ უზარმაზარი მსხვერპლის ფასად აღებული გროზნო, ჩეჩენმა ქალებმა და მოხუცებმა ბრძოლის „რომანტიკული" მეთოდით — მშვიდობიანი მიტინგებით — დაიბრუნეს. მოვლენების ასეთ მკვეთრ შემობრუნებას ჩეჩნეთის პროგრესული ხელისუფლის დოკუ ზავგაევის მოსკოვში სასწრაფო ევაკუაცია მოჰყვა. თუმცა თავიდანვე აშკარა იყო, რომ ჩეჩნეთის პოლიტიკურ ინფრასტრუქტურაში მის საკმაოდ ადგილს მტკიცე დასაყრდენი არ გააჩნდა. რუსები ძალისხმევას მაინც არ იშურებდნენ, რათა „ძალად მაცხონე" ხელმძღვანელისთვის ტახტი გაემაგრებინათ. მაგრამ „მკვდრადშობილი ბავშვისთვის სისხლის გადასხმის" პოლიტიკამ შედეგი არ გამოიღო და მოსკოვში კვლავ საგონებელში ჩავარდნენ: ევროკავშირში ახლად გაწევრიანებულ ქვეყანას აშკარად არ შეშვენის მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ბრძოლა, არადა მათი „ფერებით", შესაძლოა, ყველაფერი ხელახლა დასაწყები გახდეს. მითუმეტეს, რომ გროზნოს ცე[illegible] რში გამაგრებულ მომიტინგე[illegible] უკვე სანგრები გაჰყავთ და ბა[illegible] კადებს აგებენ.

ასეთ პირობებში რუსე[illegible] გავლენიან წრეებში უკვე სერ[illegible] ზულად ალაპარაკდნენ ჩეჩნეთი[illegible] რუსეთის ჯარების გაყვანის სახებ. რაც შესაძლოა, ჩეჩნე[illegible] დამოუკიდებლობის და უფრო [illegible] ტბც. კავკასიის და ამიერკავკა[illegible] რეგიონებში რუსეთის პოზიცი[illegible] მნიშვნელოვანწილად დასუსტ[illegible] პრელუდიად იქცეს.

ასე რომ, გროზნოს ცენტ[illegible] ეგზალტირებული მასების ც[illegible] თამაში. ადვილი შესაძლებ[illegible] მოსკოვში სერიოზული პოლ[illegible] კური ცვლილებებით დასრულ[illegible]

გიორგი ასანიშვილი

«კავკასიონის» ლიტერატურული გაზეთი

# არილი

10 თებერვალი. 1996 წ.

# ოთარ ჭილაძის ახალი რომანი






,,ოთარ ჭილაძის ახალი რომანი — ,,აველუმი'' — შეიძლება ითქვას, ერთგვარად შემაჯამებელი წიგნია ადრე გამოცემული რომანებისა, თუმცა, ყველა მისი რომანი, ერთი შეხედვით, სავსებით დამოუკიდებელი ნაწარმოებია და, იდეის გარდა, არაფერი აკავშირებს დანარჩენებთან. უბრალოდ, ყველა რომანის მთავარი გმირი ერთი და იმავე სულის მატარებელი პიროვნებაა, უფრო სწორად, ერთი და იგივე, ანუ, მარადიული სული ხალხისა ერთი გმირიდან მეორეში გადადის, როგორც ღვინო — ჭურჭლიდან ჭურჭელში და, მიუხედავად ჭურჭლის ფორმისა და მოცულობისა, მაინც ინარჩუნებს ყველა თვისებას, დადებითსაც და უარყოფითსაც. მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობა სჯობს ისევ მკითხველს მივანდოთ — მკითხველი არა მარტო ,,აცოცხლებს'' ნებისმიერ წიგნს, არამედ აზრსაც ანიჭებს მის სიცოცხლეს. რაც მთავარია, ოთარ ჭილაძეს ჰყავს თავისი მკითხველი, რომელიც, ჩვენი დიდი რწმენითა და იმედით, არც ამ რომანის მიმართ დარჩება გულგრილი''.

IV V

პოეზია

## ელა გოჩიაშვილი

# მოლაღურების ჭირისუფალს

მორჩილი წუენით და საყვედურით
ნეტავ ვის ხსოვნას შეურხევს სიმებს
ქალის თვალებში ჩამდგარი დარდი,
გადაულებლად სველი და მძიმე.
ვის მოგონებას შეაკრთობს ლექსი,
სისხლნაკლული და სევდამრავალი,
ნოემბრის ღრმა და მჟღერი სულიდან
ყვითელ ნისლებად ამომავალი.
ვდგავარ სურვილის ალესილ ქიმთან,
ტრფობის წინაშე უხმლოდ, უფაროდ,
და უნუგეშოდ მიყვარხარ ასე,
მოლაღურების ჭირისუფალო.
შენ ყველაფერი გახსოვს და იცი,
რომ სიყვარული ასეთი უნდა,
რომ არასოდეს ამიცდენია
ბევრჯერ ნასროლი ბინძური გუნდა,
და არც ავიცდენ, რადგან სიყვარულს
მე სამკაულად არ ვიბნევ გულზე;
რაც უნდათ ის თქვან, მე შენ მიყვარხარ,
და ფრთებდამსხვრეულ მგალობლებს ვუმზერ
ჩუმი იმედით, რომ ახლა სახლში
შენ დაგაკავებს სიკვდილი მხოლოდ;
იცი? — ფოთლების ბოლოს ქარია,
ნოემბერია ქარების ბოლოს...
იქ კი, სურვილის ალესილ ქიმთან,
ტრფობის წინაშე უხმლოდ, უფაროდ,
წუხს ჩემი ლანდი, დახრილი შენსკენ,
მოლაღურების ჭირისუფალო.



III



კოლონური პოეზია

## ახალი თარგმანები

# ლეოპოლდ სტაფი

VI



სახსოვარი

... ომარ დურმიშიძე ... დიდი ხანი არ არის, რაც ორმოცდახუთი წლის მხატვარი წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

VII

# „დიოგენე“ იწყებს კონკურსით



გამომცემლობა „დიოგენეს“ სახელთან მრავალი სიახლეა დაკავშირებული: პირველად ქართულ ენაზე გამოვიდა შვედური ლიტერატურის კლასიკოსის — ავგუსტ სტრინდბერგის დრამა, დედნის ენიდან პირველად ითარგმნა ასტრიდ ლინდგრენის „ცეროდენა ნილს კარლსონი“, მაგრამ, არც ერთი ეს წიგნი „დიოგენეს“ გრიფით არ გამოსულა. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს მოღვაწეობა წიგნის გამოცემით კი არა, კონკურსით დაეწყოთ საუკეთესო საბავშვო ნაწარმოების გამოსავლენად.

დიოგენე

**შეკითხვა შეკითხვა შეკითხვა შეკითხვა**

? ზუსტად ორმოცდაათი წლის წინ შვედეთში ჩატარდა საბავშვო ნაწარმოებების კონკურსი. დაასახელეთ გამარჯვებული წიგნი და მისი ავტორი. ?

გამარჯვებული საჩუქრად მიიღებს ამ ავტორის წიგნს.
ტელ.: 29-48-05, პეტრიაშვილის ქ.№7.

V




IT'S PROBLEM

# წერილი ამერიკიდან

ეს წერილი ერთ-ერთი ჩვენთაგანისაა, ვინც ჩვენი დროის ბედუკუღმართობამ აიძულა სამშობლოს გარეთ ეძია გადარჩენის გზები.

ეს წერილი უამრავ უპასუხო კითხვაზე პასუხის გაცემის ცდაცაა, ალბათ...

ეს წერილი ქარში გაფანტული კითხვებიცაა...

II

საკვირაო საკითხავი



მცირე დეტექტივი

## ედმუნდ კრისპინი

# «ფანჯარი»

VIII



# IT'S A PROBLEM

ამას წინათ მეზობელმა გამაჩერა: არქივში ხომ არ გყავს ვინმე ნაცნობიო. — რად გინდა-მეთქი? — ებრაელობის გაკეთებაზე ვჩალიჩობ. ბებიიდან და ბაბუიდან დაწყებული, ყველა საბუთები უნდა გადასწორდეს. იქნება, სუ... დაბადების მოწმობები მაინც გამიხერხო სადმეო. სასხვათაშორისოდ ლაპარაკობდა, უდენობაზე, მანქანის საბურავის ან იაფი ნავთის ვერშოვნაზე რომ დაიჩივლებს კაცი. არადა, ეროვნული მიტინგების დროს, ერთი-ორჯერ დრო... დავუნახე ხელში. ალბათ, „საქართველოს გაუმაარ...ჯოს!"-ო სხვაზე ნაკლები ომახით არ აბოლოებდა ხოლმე. ახლა დაუვლია ხელი ცოლ-შვილისთვის (ორი ბავშვი ჰყავს) და გარბის. წასვლაც არის და წასვლაც. წინაპრებს საფლავში უცვლის ეროვნებას. გაემტყუნება კია?

გარბიან. ბრმად, უკანმოუხედავად, თავზეხელაღებულად. ჩემი მეზობლის მაგალითი შეიძლება პირდაპირ არ უკავშირდებოდეს ქვემოთ მოთხრობილ ამბავს, მაგრამ ნიშანდობლივი პარალელები ყოველ ფეხის ნაბიჯზე... სასწავლებლად წასული სტუდენტები მოსამსახურეებად ან გადიებად თუ შეიკედლეს სადმე, ცას არიან სიხარული... გოგოები გათხოვებას ცდილობენ (საუკეთესო შემთხვევაში), უბრალო კაცი შავ სამუშაოზე ოცნებობს, აქაურ ახალგამომცხვარ, ფეხზე ძლივსდამდგარ ბიზნესმენებს უკვე „საქმის" საზღვარს იქით გატანა უნდათ.

ამერიკიდან ჩამოღწეული ეს კერძო ბარათი, რედაქციაში ჯერ უცნობი მწერლის პატარა ნოველა გვეგონა... მე პირადად, ირაკლი კაკაბაძე გამახსენდა — ოკეანის გადაღმა მყოფთაგან მწერალი ეგ ერთი ვიცი. (რა თქმა უნდა, სხვებიც იქნებიან...). დარწმუნებული ვარ, ქართულ ლიტერატურაში აუცილებლად დამკვიდრდება ეს თემა — „საგა ქეთრინ მურუსიძისა", — ამერიკაში გაზრდილი პატარა ქართველის, მისი მშობლების, საქართველოში დარჩენილი ნათესავების ისტორია. ეს იქნება ამბავი იმ კატაკლიზმების შესახებ, რასაც დადგენილი ღირებულებების, ცხოვრების წესისა და ნირის რადიკალური მსხვრევა იწვევს ადამიანთა სულებში.

**შადიმან შამანაძ...**

შენ დეპეშის ახალი სტილი გამოიგონე: ემოციურ-ექსპანსიური დეპეშა. პასუხად გიგზავნი ჩვეულებრივ, კონსერვატულ წერილს.

მე ქალაქში ცნობილი „მასტერ ნა ვსე რუკი" გავხდი. ბალი, ოჯახური საქმე, შეღებვა, „გაშკურკვა"... მრავალპროფილიანი სპეციალისტი ვარ. რაც მთავარია, ბოლომდე მენდობიან ქალაქის მცხოვრებლები და ყველაზე უცნაური ის არის, რომ მე თვითონ შევიჰერი ამ როლში... თუ ადრე ჩემი საყვარელი საგნები იყო წიგნები და ვიდეოკამერა, ახლა ჯიბით დამაქვს „კლუჩები" და 0,25-იანი ნათურა. გვერდიდან არ ვიცილებ ჩაქუჩს და წებო-ემულსიას, როგორც კი საშუალება გამიჩნდება. ჩკინეულობის მაღაზიაში გავრბივარ და სიამოვნებით ვატარებ იქ ჩემს თავისუფალ დროს.

გუშინ ვიყავი ერთ სოფელში. კაცი სახლს ყიდის. კედლებს და ჭერს ვღებავდი. მაგრამ ეს ყველაფერი ჩემი „ლევი" სამუშაოა. მთავარი კი, რა თქმა უნდა, „Tano Bell" ბარია. ვუფრთხილდები რა შენს დედობრივ გრძნობებს, დეტალურად აღარ შევჩერდები ჩემს მოვალეობებზე იქ და ორიოდ სიტყვით გიამბობ ჩემს თანამშრომლებზე, ანუ იმ ადამიანებზე, ვისთანაც დღის ერთ მესამედს ვატარებ.

ერთ-ერთ მექსიკელს ჰქვია ხუანიტო. როგორც თვითონ ამბობს, ათი წელია აქ ცხოვრობს, მაგრამ ინგლისურად მხოლოდ აუცილებელი სიტყვები იცის, როგორიცაა: yes, no, see you, one, two. გაგებით კი დაახლოებით ასე ესმის: ვეკითხები, ხუანიტო, ჩემო მეგობარო, შენ როდის ამთავრებ ცვლას, ოთხზე? Yes-ო — მპასუხობს. ვიცი რა ხუანიტოს ხასიათი, მე ისევ ვეკითხები: იქნებ თორმეტზე ამთავრებ? პასუხი ისევ დადებითია, ხოლო ათზე ხუანიტო წყნარად იცვამს და მიდის. ასე მეორდება ყოველდღე. იგივე დიალოგი იმართება მენეჯერთანაც. ბოლოს სასოწარკვეთილი მენეჯერი თავში ხელებს იშენს და ტოვებს აულელვებელ ხუანიტოს.

ჩემი პუერტო-რიკოელი მეგობარი — მანუელი. ის ჩემი ყველაზე ახლობელია აქ და მეგობრობის მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მკერდზე აქვს უზარმაზარი სვირინგი: „Maria Morte". ვეკითხები, მანუელ, ეს რა არის-მეთქი. „ეს ჩემი დედაა", — მპასუხობს მანუელი ამაყად და ისეთი სახე აქვს, ზედმეტი თუ რამე ვთქვი, კარგი არაფერი მელის. იმ დღიდან მანუელისადმი ახლობლური გრძნობები აღმეძრა. ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით მუშაობაში, ბლუჯად მაძლევს ხოლმე სიგარეტის ღერებს, ცოლისთვის მატანს ხოლმე „ბურიტოს" (მექსიკური კერძია) და სხვადასხვა წყაროებიდან ცდილობს, გაიგოს, როგორ შეიძლება მივიღოთ ბავშვისთვის დახმარება. სამსახურის მერე მიმყავს სახლში, უპატრონოთა თავშესაფარში. მისი წარმომავლობა და ოჯახური მდგომარეობა საკმაოდ ბუნდოვანია ჩემთვის, რადგან ყოველთვის სხვადასხვა ისტორიებს მიამბობს ამ თემაზე.

# წერილი




# ამერიკიდან

ჩემი მენეჯერი ქეი-ქეი — ტიპიური ამერიკელი, მხიარული, მსუქანი და ენერგიული კაცია. როცა ღამის ოთხ საათზე ბინძური წყლით სავსე ვედროები გამაქვს, ქეი-ქეი რიხიანი ხმით მეკითხება: „How do you do, how do you like America" (როგორა ხარ, როგორ მოგწონს ამერიკა?) მე მინდა წყლიანი ვედრო დავამხო თავზე, მაგრამ ვპასუხობ: Fine, my manager, as long as you are my manager. I'm nothing to worry about (სანამ შენა ხარ ჩემი მენეჯერი, საწუხარი რა მაქვს). ქეი-ქეის ირონია არ ესმის და პასუხით ერთობ კმაყოფილი რჩება.

მიუხედავად სხვადასხვა, მსუბუქად რომ ვთქვათ, უსიამოვნო მომენტებისა, ყველა მათგანისადმი თბილი გრძნობა მაქვს: ისინი ყველანი გადარჩენისთვის იბრძვიან, როგორც მე, ცხოვრების ამ ეტაპზე.

მოკლედ, მე ეს სამსახური არც ისე მძიმე ტვირთად მაწევს, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს. ჯერ ერთი, რაღაც ენერგიის ახალი წყარო გამეხსნა. ასეთივე შეგრძნება მქონდა ომში, რაც საშუალებას მაძლევდა, სიმძიმე გაუსაძლის სიმძიმედ არ დამწოლოდა. მეორე, იმედი მაქვს, ოდესმე გამომადგება; მესამე, ოჯახის პატრიარქის პოზა გარკვეულ კომპენსირებას ახდენს (ჩემი ეგო, ჯერჯერობით, აქ პოულობს დაკმაყოფილებას) და მეოთხე, ალბათ, ყველაზე მთავარი: მე რომ ვიფიქრო იმაზე, თუ რა სამუშაოა აქ, შეიძლება გავგიჟდე, ისევე როგორც ომში, ლოგიკურად თუ დაფიქრდები, გადარჩენის შანსი არა გაქვს, ამიტომ ცოცხლები რჩებიან ისინი, ვინც ამაზე არ ფიქრობს.

მე სულ არ ვფიქრობ ამ სიმძიმეზე, ვიღებ იმას, რაც მოდის და ისე, როგორც არის, ამიტომაც ადვილად ვერევი ტკივილს; ტკივილის წარმოდგენა გაცილებით ძნელი ასატანია, ვიდრე თვითონ ტკივილის პროცესი (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის).

მე მგონი, არც შვილი, არც ამერიკა, არც ეს სამსახური და არც კიდევ ბევრი სხვა რამ მე არ ამირჩევია (მე, საერთოდ, მიჭირდა არჩევანის გაკეთება და ძირითადად, მოვლენების მსვლელობებს მივყვებოდი). მგონი ისეა, როგორც პროფესიის არჩევა. შემთხვევით იღებ რაღაც პროფესიას, მერე ზოგი ცდილობს შეიფეროს, ზოგიც — არა. ალბათ, თავისუფლების სხვადასხვა ფორმა არსებობს, მე ეს ფორმა მერგო, რომელიც მაქვს: ცოლი, შვილი, თქვენ. თუ კეთილსინდისიერად შევასრულებ ჩემს მოვალეობებს, მექნება სიმშვიდე. იქნებ, თავისუფლებაც ეს არის, მოვლენების მშვიდად აღქმის საშუალება და მეტი არაფერი, არ ვიცი...

როცა დილისკენ სამსახურიდან სახლში ვბრუნდები, მიხარია, ეს უკვე კარგია. დედა-შვილს ამ დროს სძინავს. ვუყურებ: მოქუფრული დღის ნათელი წერტილი. მერე მოდიან ფიქრები თქვენზე...

ასე რომ, გლობალური პრობლემებისთვის მე აღარ მცხელა. ეს მძიმე ტვირთი ჩემი პატარა ძმისთვის, ზურასთვის გადამილოცნია, რომელიც ამ საქმისთვის ერთობ შესაფერისი კანდიდატურა ჩანს (იმედს ვიტოვებ — ჯერჯერობით) და თუ ცოტა ხნით მაინც მოწყდება კაცობრიობის ბუნდოვან მომავალზე ფიქრს, იქნებ პატარა წერილით გამახაროს.

კიდევ რა... ის, რომ ძალიან მომენატრეთ, თუმცა, სისულელეა ამაზე წერა...

წერას ვაგრძელებ მას მერე, რაც შენ... წერილი მივიღე. შენ ირონიულად გე... მება ჩემი შვილის გვარ-სახელზე: ქეთრინ მურუსიძე. ჯერ ერთი, ბავშვს ეკატერინე ჰქვია, უბრალოდ, აქაურ მეტრიკაში ეკატერინეს ვერ ჩავწერდი, მეორე და უფრო სერიოზულად, რაც მაწუხებს და მტკივა, ქეთრინ მურუსიძე — ეს არის ის, რაც დაგვემართა ჩვენ: მე, შენ, ჩვენს ახლობლებსა და სამშობლოს... და, ალბათ, მხოლოდ მე ვიცი, რა სიმძიმე და ტკივილი დევს ამ მშრალ სახელსა და გვარში. კიდევ კარგი, ეს მაინც შემრჩა, ხომ შეიძლებოდა სულ არ ყოფილიყო...

გავა დრო და, ალბათ, ის ამერიკის კომპიუტერულ კომფორტს არჩევს საქართველოს ლამაზ ბუნებას. ეს მისი არჩევანის უფლებაა. არც ის მგონია, რომ საქართველო ისევე უყვარდეს, როგორც მე ან თქვენ გიყვართ. მე რაც შემეხება, მხოლოდ იმ დღის მოლოდინით ვცხოვრობ, როცა მანდ ჩამოვალ. ისევე ველოდები, როგორც ახალი წლის დადგომას ბავშვობაში და ყველა ჩემი მოგონება მომავალს უკავშირდება (აწმყო დამეკარგა... რომ იცოდე, თითქმის ყოველღამე მესიზმრება ჩვენი სახლი თავისი უთვალავი პერსონაჟით და ეს ერთადერთი შეხების წერტილია ცოცხალ სამყაროსთან, ყველაფერი დანარჩენი (ამ ორის გარდა) გულს გარეთ ხდება.

ყველაფერ ამას იმიტომ გწერ, რომ შენს წერილში საყვედურივით გაისმა ჩემი სამუშაოს ამბავი. არ ვიცი, კიდევ ვიმეორებ, ასე მოხდა. როგორც შეიძლება ფილტვების ანთება დაგემართოს და შენზე იმდენად იყოს დამოკიდებული, რამდენადაც ჯანმრთელი ხარ.

მგონი, ადრე ადამიანები მაქედან მი... დიოდნენ იმიტომ, რომ დევნიდნენ; ახლა მიდიან იმიტომ, რომ მათი არსებობა, „სხვა სამყაროს", უბრალოდ, დაავიწყდა. მე არ ვიცი, რომელია ამ ორიდან უარესი...

**ბექა...**

1995 წ. ოქტომბერი



# ელა გოჩიაშვილი



— ზოდიაქოს ნიშანი — მერწყული.
— დაიბადა 1959 წლის 28 იანვარს სოფელ ვაჩნაძიანში (გურჯაანის რაიონი).
— დაამთავრა საშუალო სკოლა, 1984 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.
— იბეჭდება 1986 წლიდან.
— გამოცემული აქვს ლექსების კრებული.
— მუშაობდა თბილქალაქპროექტში არქივარიუსის თანამდებობაზე, მერე გამომცემლობა „გულანში" რედაქტორად.
— დღესდღეობით არსად არ მსახურობს — „დროებით უმუშევარია".

## ჩვენ მუდამ ვჩანვართ

აუმღვრეველი დუმილის მზრიდან ...
ნათლის მდინარე მოჩქეფს ულევი,
და ხელისგულზე ვუსხედვართ უფალს
სირცხვილის შემდეგ ჩასახულები.
ჩვენ მუდამ ვჩანვართ...
არც დრო, არც ჰერი,
არც სამოსელი გვფარავდა დღემდე,
და ყველაფერი ხდება ამქვეყნად
სირცხვილამდე ან სირცხვილის შემდეგ.
არ არსებობენ სამალავები,
თუ არსებობენ, არას მალავენ;
სადმე შეუფუფულს პოეზია და
თვალები მაინც მოგვიპარავენ.
ნამდვილი თუ ხარ, თან ამოჰყვები
სულის ჩანგიდან აწყვეტილ სიმებს:
ლექსიც ტანჯულთა რელიგიაა,
...მ სტრიქონებსაც ჩახედავს ვინმე.
...ოუვევ მხოლოდ შენს ძვირფას სახელს,
...ები სინათლის შიშველ მხარეში,
...ა ვახელ თვალებს, როგორც სტრიქონებს,
ჩამხედე ლექსში, როგორც თვალებში.
დაგარწმუნებენ ჩემი ლექსები,
ჩემი თვალების თაფლი და ქარვა,
რომ უფლის მზერით შუქდაყრილები —
ჩვენ მუდამ ვჩანვართ.

## შრომათერაპია

...აწებებენ პაწაწინა ქაღალდის პარკებს
...ქ მყოფთა შორის
    ყველაზე უფრო „მოაზროვნენი".
ხუმრობა კი არ არის.
...ვანა ადვილია:
...ჯუნჯი — წებოში,
მერე — ქაღალდზე,
მერე — გაკეცავ...
...აწებებენ პაწაწინა ქაღალდის პარკებს
    გასხვისებული თითებით.
...ვიფს საკუთარი არაფერი აქვს,
რადგან
შენს თავს შენ თუ ველარ ფლობ;
    ეშმაკები დაგიტაცებენ.
... უპატრონო ეკლესიები...
...აწებებენ პაწაწინა ქაღალდის პარკებს,
მაგრამ თვითონ სადღაც არიან.
მერე ერთი იტყვის:
...არ მინდა, ვაწებებდე ქაღალდის პარკებს.
არა იმიტომ, რომ მეზარება,
არა იმიტომ, რომ საჭირო არ არის.
არ მინდა,
რადგან მეშინია არ მითხრათ — „ყოჩაღ".
...ე ლექსებს ვწერდი,
    როცა ჩემი თავი ვიყავი".
... აწებებენ ქაღალდის პარკებს,
...რომელთაც შემდეგ სახელმწიფო
    რაიმეში გამოიყენებს.
...აგრამ ვერც ერთი მომხმარებელი
    ვერ მიხვდება,
    რაღა თქმა უნდა,
...ვორ უბრალოდ და სხვათაშორის შეახო ხელი
    გასხვისებული თითების ტრაგედიას.

## მკითხე...

„შენ ნუ მკითხავ მაინც წარსულს"...

გალაკტიონი

არა მაქვს აწმყო, არ ვცნობ მომავალს,
სულიც დაშრა და დამიბოლოვდა,
და მაქვს წარსული...
რადგან ამქვეყნად
მეც ხომ რაიმე უნდა მქონოდა.
მკითხე...
შენ ერთმა უნდა იცოდე,
რას გლოვობს გული — დარდის კარავი;
რას ნიშნავს მთვარე, რას ნიშნავს ღამე —
შენ უნდა მკითხო და სხვამ არავინ.
ამაოდ მეძებს, ამაოდ მიხმობს,
ვინც ჩემს ცხოვრებას ჩხრეკს და აფასებს,
რადგან ყველასთვის შორს და დაგმანულს
მე მხოლოდ შენთვის გავხსნი დარბაზებს.
შენთვის ამოვზრდი დუმილის ჰიდან
ჩემს წარსულს — ჩუმ და მზენაკლულ ყვავილს:
იქ უბოლოო ტკივილი ბორგავს
და დამარხული სურვილი ბღავის.
არა მაქვს აწმყო, არ ვცნობ მომავალს.
სულიც დაშრა და დამიბოლოვდა,
და მაქვს წარსული, რადგან ამქვეყნად
მეც ხომ რაიმე უნდა მქონოდა.
ჯილდოდ მერგო თუ სასჯელად მადევს
ეს სინამდვილე ზღვარგადასული —
რომ არასოდეს მქონია აწმყო,
მაგრამ ყოველთვის მქონდა წარსული.

## მერე

ვინ დაგეკარგა,
ვის გზას გასცქერი,
ვის მონატრებას უკოცნი კალთებს,
ცისფერ თვალებს გატირებულო...
ვერ მოგახედე,
არ დაიკვნესებ ჩემთვის: „ოი, რად"...
მაგრამ როცა ჩემი სიცოცხლე —
    ეფემერიდი,
არყოფნიდან ამომსკდარი
    მხოლოდ ერთი სიყვარულისთვის,
იმ ერთ სიყვარულს მიეძღვნება
და უფლის ხელით,
    ან ჩემი ნებით მოწყვეტილი
    დაეცემა ფსკერზე შრიალით,
როდესაც სხვებს უჩემობა დაუძველდებათ,
    შენ მაშინ მიგრძნობ.
როცა ნოემბერს — სნეულს,
    მუხლი მოეკვეთება
და ბაღში პირქვე ჩაემხობა
    ხმელი, ყვითელი,
შენ უეჭველად გაგახსენდება,
    რომ ნოემბერი ჩემი იყო
და ის ყველასთვის დაგენანება.
შენ მაშინ მიგრძნობ,
    როცა ყვავილებს
    სხვები სხვასთან წაიღებენ
და შენს კარებს უნუგეშოდ მოენატრება
    ჩემი ვარდები და საიდუმლო...
შენ მაშინ მიგრძნობ,
ქარებისგან შეშლილი ღამე
    შენს ფანჯარას რომ მოაწყდება
    და ოთახში გადმოშლის სხეულს.
შუქს კი არ ჩართავ,
კი არ დააფრთხობ,
სინათლით კი არ დაუთუთქავ
    ნოტიო შიგანს,
გაუყუჩდები,
მკლავზე დაუწვები,
ღია ქუთუთოებს დაახვედრებ,
    რომ თვალებიდან იდინოს შენში;
და როცა ბინდით ამოივსები,
როცა სულზე შეგაცოცდება
სისხლით და ცრემლით
    და წყვდიადით ჩამოქნილი
    ჩვილი სტრიქონი,
გაგახსენდება,
    ღამე მარტო შენი კი არა,
    ჩემიც რომ იყო,
და ის შენთვისაც დაგენანება.
როდესაც სხვებს უჩემობა დაუძველდებათ,
    შენ მაშინ მიგრძნობ.
იტყვი: „ვუყვარდი",
„მთვარის სონატას" მიუსჯი შენს თავს,
მუსიკა კი — დაუნდობელი,
ყველაფერს მკაცრად გაგახსენებს,
გულიდან ძარღვებს ამოგითვლის,
    ქარში გაჰკიდებს,
და სევდისაგან ძალაგამოცლილს
ყველასათვის დაგენანება სიმშვიდე,
    რაც მე არ მღირსებია,
რადგან მუდამ მჩაგრავდნენ ხოლმე
    სულიერი აშლილობანი —
ფესვებიდან ამოყოლილი
    შხამიანი სარეველები,
    ღონიერად სვეგატანილნი.
შენ მაშინ მიგრძნობ,
როცა ის ქალი მოგადგება კარზე
    მზესავით.
მონატრებულს თაფლად ექცევი,
სიტყვებითაც დააპურებ, სიყვარულით...
მაგრამ მაინც მე გამიხსენებ
და შენი თავი სატრფოსთვისაც
    დაგენანება,
რადგან ყველაზე სასურველი
    ჩემთვის იყავი.
არ მეღირსება შენი: „ოი, რად..."
ახე მხოლოდ შეგიძლია
    სხვას გაეტირო;
მაგრამ მერე, მერე, ოდესმე,
როდესაც სხვებს
    უჩემობა დაუძველდებათ,
დამწყვდეული ფრინველივით მიგ...
    სარკმელს,
გულს აგიხელს,
და გიჟივით მოგანატრებს
    ჩემს პატარა, მეწამულ სახე...
    სიჩუმეში გადაკარგულს,
ის — მესამე,
    ვისაც მუდამ ვისწრებდით ...
ან ნოემბერი,
ან ყვავილი,
ან ღამეები,
ან სასტიკი და მშვენიერი
    სონატა მთვარისადმი.





# ოთარ ჭილაძე



# ავლუმი

ნაწყვეტი რომანიდან

ვიდრე ტრამვაი ძნელაძეზე ჩაუხვევდა, იქამდე იცოდა, რაღაც დიდი უბედურება რომ მომხდარიყო ქალაქში. ჯერ ერთი, თვალშისაცემად უჩვეულო, არაბუნებრივი სიცარიელე და სიჩუმე გამეფებულიყო ირგვლივ — მარტო იმ ტრამვაის ხმა ისმოდა (და ის ხმაც კიდევ უფრო უარესად ამძაფრებდა, კიდევ უფრო ხელშესახებს ხდიდა საერთო სიცარიელესა და სიჩუმეს), რომლის ერთ-ერთი მგზავრი თავად იყო, უფრო სწორად, რომლის კიბეზეც ეკიდა, მაგრამ იმიტომ კი არა, ბილეთის ფული დაეზოგა ამჯერადაც — თუმცა, არც უამისობა იყო ალბათ, დამწყები პოეტის გამოსარჩევი ნიშანი ხომ ჯერ სიღარიბეა და მერე მისი ნიჭიერება თუ უნიჭობა — უბრალოდ, ასე ერჩია, რა წამსაც მოუნდებოდა, იმ წამს ჩახტებოდა ტრამვაიდან. ის იყო, ძნელაძეზე უნდა ჩაეხვიათ, მოედნის მხრიდან ვიღაცეები რომ გამოცვივდნენ ყვირილით: დაგვხოცეს, დაგვხოცესო, და თავად ხმამ უფრო შეზარა — ეკალმა დააყარა უცებ მთელს ტანზე, როგორც ცირკში ემართებოდა ხოლმე ბავშვობისას, რაიმე სახიფათო ნომრის წინ — ვიდრე ცნობამ, რომელიც იმ ხმამ მოიყოლა თან..ამგვარი ცნობისთვის ალბათ ყველანი მზად იყვნენ მეტნაკლებად. ბოლოს და ბოლოს, მთელი კვირა გრძელდებოდა არეულობა ქალაქში, სადაც ჯერ კიდევ გუშინ დაუკითხავად ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა ტოტიდან ტოტზე. ასე რომ, რაღაცის, მსგავსის მოლოდინი ქვეცნობიერად ყველას გვქონდა. ვუტყდებოდით თუ არ ვუტყდებოდით თავს. ხელისუფლებისგანაც უკვე საკმაოდ ვიყავით მომზადებულნი საამისოდ. ყოველ შემთხვევაში, ამ ცის ქვეშ და ამ მიწაზე დაბადებულ ადამიანს არაფრით არ შეიძლება არ ახასიათებდეს თუნდაც ბიოლოგიური მოლოდინი და მზადყოფნა ნებისმიერ უბედურებასთან შესახვედრად. მაგრამ ისეთი ხმა, ტრამვაის კიბეზე ჩამოკიდებულს რომ მოესმა, არასოდეს გაუგონია ავლუმს და როგორც არ უნდა ეცადა, მიახლოვებითაც ვერ აღწერდა ხოლმე სასოწარკვეთის, განწირულობის, სიბეჩავისა თუ შიშის იმ ამაზრზენ ნაზავს, ნარწყევივით რომ ტოვებდა ის (ხმა) გზადაგზა. ყოველი ხისა თუ ლამპიონის ძირას, ყოველ სადარბაზოსთან, ყველა სარკმელსა თუ ვიტრინაზე.

ოპერის ასახვევთან არმისული, ტრამვაიდან ჩახტა და, რომ იტყვიან, პირდაპირ ხახაში ჩაუვარდა თავის ბედისწერას. თითქოს შინიდან გამოსვლამდეც იცოდა, სად იდგებოდა, სად დაელოდებოდა და თითქოს საერთოდ იმიტომ გამოსულიყო შინიდან, თანაც უმელანიოდ, მაინცდამაინც, იმას რომ გადაჰყროდა. პირველად მთვრალი ეგონა. ელექტრონის ბოძს შემოხვეოდა ორივე ხელით. ლოყაც ზედ მიეჭირა და იღიმებოდა, მას უღიმოდა, ოღონდ, დამნაშავე, დამორცხვებული თუ გაწბილებული კაცის ღიმილით. თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ავლუმს მოეჩვენა ასე, ასეთად წარმოიდგინა უფრო ადრე, ჯერ კიდევ ჰაერში, მიწაზე დახტომამდე. ვიდრე გაჩერდებოდა, დაინახავდა, აღიქვამდა და მიხვდებოდა, არავითარ სიმთვრალეზე და არავითარ ღიმილზე რომ არ შეიძლებოდა ლაპარაკი. უკვე სიკვდილს გაეჟღინთა. იმდენად ფხიზელი იყო, ლანდი გასდიოდა, გამჭვირვალე გაეხადა სიფხიზლეს. სახე არ ჰქონდა საერთოდ. სახის ნაცვლად, არანორმალურად გახელილი, უფრო სწორად, თითქოს უკიდურესობამდე ძალით გაწელილი თვალებიღა დარჩენოდა, ორი უსწორმასწორო ჭრილი, ხვრელი, ორმო — აწრიალებული, ასისინებული, გათოშილი სიცარიელითა და არაფრით სავსე. მიშველეო — დაიგმინა, დაიკვნესა, დაიხრიალა ერთდროულად. თუმცა, უთქმელადაც გასაგები იყო, საშველად რომ ჰქონდა საქმე. მშველელი ჰირდებოდა მხოლოდ. ცალ ფეხზე იდგა. მეორე მას აღარ ეკუთვნოდა აშკარად. რაც მთავარია, ფეხსაც აღარ გავდა. სისხლით გალუმპულ შარვლის ტოტიანად, უსიცოცხლოდ დასთრევდა მიწაზე. ეტყობა, ტყვიას ბარძაყის ძვალი დაეფშხვნა და მხოლოდ გადატყაულ, გატიტვლებულ კუნთზეღა ეკიდა ხორცის მასა, რაც ადრე ალბათ მისი მეორე ფეხი იყო. რა გქვია, რა გვარი ხარო — ჰკითხა ავლუმმა რამდენჯერმე, ვიდრე ელექტრონის ბოძზე მიყინულსა თუ მიდუღებულ ხელებს ძალით გააშვებინებდა და იღლიაში შეუდგებოდა. ან ავლუმის ხმა არ ესმოდა იმას, ან საჭიროდ არ თვლიდა თავისი ვინაობის გამხელას (შეიძლება, გამხელის ღირსადაც არ თვლიდა საკუთარ ვინაობას). გაოგნებული და აგანგაშებული, მისამართს იმეორებდა მხოლოდ — ორბელიანის სამი. მეორე სართული. ორბელიანის სამი. მეორე სართულიო — უკან სისხლის საკმაოდ ფართო კვალი მოსდევდა, იატაკის სარეცხი ტილო რომ ტოვებს სკოლის კიბეებსა თუ დერეფნებში. ავლუმს ქოშინი აუვარდა, მაგრამ ალბათ უფრო მღელვარებისა და შიშისაგან, ვიდრე დაღლილობისგან. მთელი არსებით კი უნდოდა მიშველებოდა, მაგრამ უკვე გრძნობდა, მარტო არ ეყოფოდა ამ საქმეს. თან, მისდა სამარცხვინოდ, ეშინოდა კიდეც მის იმედზე, მის ანაბარა დარჩენილი და ტკივილებისგან სანახევროდ ჭკუაზე გადამცდარი ბიჭიკა. მისი კბილა იქნებოდა, ან ერთი-ორი წლით უმცროსი, მაგრამ სახეში ვერ შეეხედა, ერიდებოდა რატომღაც, მისი ბრალი იყო თითქოს რამე, ანდა თითქოს მართლა არ ჰქონდა იმას სახე, სახელისა და გვარის არ იყოს. იმ წუთას ყველაფერზე დათანხმდებოდა, ოღონდ ის სატანჯველი აეცდინა როგორმე თავიდან და, იმავე დროს, არავინ და არაფერი აღარ ახსოვდა, იმ ბიჭის, იმ ბიჭის მისამართისა და საკუთარი თავის მეტი, თითქოს მხოლოდ ისინიღა დარჩენილიყვნენ ქვეყანაზე და არა მარტო მისამართი, ყველაფერი საერთო ჰქონდათ: ელდაც, შიშიც, მიზანიც, სურვილიც, ოცნებაც, იმედიც, სიცოცხლეც, სიკვდილიც... მაგრამ იმ ორიდან რომელი იყო გადასარჩენი და რომელი გადამრჩენელი, ბოლომდე გაურკვეველი დარჩა ავლუმისთვის. უბრალოდ, ის ბიჭი უფრო ახლოს იდგა სიკვდილთან და, ამდენად, ძალაუნებურად, ავლუმს უნდა ეტვირთა მშველელის მძიმე ტვირთი. უფრო ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო, ვიდრე მოწოდებული. დაღლითაც მალე დაიღალა, რადგან ყოველი ნაბიჯის გადადგმა დიდ სულიერ და ფიზიკურ დაძაბვას მოითხოვდა მისგან (ორივესგან). გარდა იმისა, რომ „ტვირთს" გარკვეული წონა ჰქონდა. ჯერ კიდევ ედგა სული. ჯერ კიდევ გონზე იყო, ჯერ კიდევ ტკიოდა, ჯერ კიდევ იტანჯებოდა. ჯერ კიდევ რაღაცა ეიმედებოდა ძალიან და ჯერ კიდევ ვიღაცისკენ მიისწრაფოდა მთელი არსებით. ხოლო ამის ცოდნა, უფ-

რო ზუსტად კი, ამის შეგრძნება, კი არ
ეხმარებოდა ავლუმს მძიმე მოვალეო-
ბის აღსრულებაში, კიდევ უფრო აფერ-
ხებდა, ბორკავდა, კიდევ უფრო ასუსტე-
ბდა, რამდენადაც, მოქმედებაზე მეტად
ფიქრსა და განსჯას ავალდებულებდა —
რა ექნა, რა ეღონა, რა წყალში ჩავარდნი-
ლიყო, ზედმეტად რომ არ გაეტანჯა ის
მისი „ტვირთი". ასი მეტრიც არ ექნებო-
დათ გავლილი, რომელიღაც სადარბაზო-
ში კიბეზე დასვა და დაუბარა, ნუ გეშინია,
ახლავე მოვალო. იმას არაფერი უთქვამს,
იოლად შეელია. ალბათ ესიამოვნა დაჯ-
დომა. წყნარად იჯდა და ავლუმივით ქო-
შინებდა ისიც, თვალდახუჭული, საკუ-
თარ მხარზე თავჩამოვარდნილი.

კოლმეურნეობის მოედანთან ავე-
ლუმი სამხედრო პატრულს გადაეყარა,
უფრო სწორად, ისინი დაეწიენ ეტლიანი
მოტოციკლეტით. ორნი იყვნენ, ახალთა-
ხალი მწვანე მუზარადები ეხურათ. სვლა
შეანელეს და ცოტა ხანს გვერდით გაყვ-
ნენ. ხმა არ გაუციათ. ან დაზოგეს, ან ვე-
რაფერი შეატყვეს რევოლუციონერობი-
სა. თუმცა, თავად ისეთი შეგრძნება ჰქო-
ნდა, თითქოს თავფეხიანად სისხლში იყო
ამოთხვრილი, შეიძლება, ამ შეგრძნებას
ისიც უმძაფრებდა, ზურგზე რომ ეწებე-
ბოდა გაოფლილი პერანგი. ორბელიანის
სამი კი ერთი პატარა, სოფლური ყაიდის
ფიცრის კიბემიდგმული სახლი აღმოჩნ-
და. კიბე რომ აათავა, სუნთქვა აღარ შეე-
ძლო, ცოტაც და ფილტვები დაუსკდე-
ბოდა. კიბის თავში ჩაკუნცხული, თევზი-
ვით აბჩენდა პირს და ისევ მისამართს
იმეორებდა აღგზნებული, აგანგაშებული,
თითქოს გაჩუმდებოდა თუ არა, მისამარ-
თიც დაავიწყდებოდა, ხოლო, როგორც
კი მისამართი დაავიწყდებოდა, სხვაც
ყველაფერი დამთავრდებოდა მისთვის.
კარი შუახნის კაცმა გაუღო, ალბათ იმის
მამამ. იქამდე დაფრთხა, ვიდრე გაიგებდა
რა უნდოდათ მისგან. რა გინდა, ვინა ხარო
— შეუღრინა უკვე წამხდარმა, შეიძლე-
ბა, უკვე მიხვედრილმაც. არაფრით არ
უნდოდა წამოსვლა — რა ვიცი, რომ
მართალს მეუბნებიო; სახელმწიფო თვი-
თონ გაარკვევს ყველაფერსო — ებრძო-
და თავს. აი, იმის სისხლიაო — ცხვირწინ
უტრიალებდა ავლუმი სისხლიან ხე-
ლებს. ჯერ ისევ უჭირდა ლაპარაკი, გულ-
მოვარდნილს, აქოშინებულს, აღელვე-
ბულს. თან იმის ეშინოდა, ვაი თუ არ
წამომყვესო და ლამის თვალებში ეტყე-
ბინა ხელები, თითქოს სისხლს იცნობდა
ის, თუკი მართლა მისი შვილი იყო სად-
ღაც ქუჩაში. შარდის სუნით აქოთებულ
სადარბაზოში მომაკვდავი ბიჭი.

მერე ერთად გარბოდნენ კვლავინ-
დებურად უკაცურ ქუჩაში. საიდანღაც
არეული, გაურკვეველი, შემაშფოთებე-
ლი ხმები მოდიოდა და ავლუმი წარამა-
რა უკან იყურებოდა — ისეთი გრძნობა
ჰქონდა, თითქოს მოტოციკლეტი მოსდე-
ვდათ უკან. ბიჭი მკვდარი დაუხვდათ. ისევ
ისე იჯდა, როგორც ავლუმმა დატოვა,
საკუთარ მხარზე თავჩამოვარდნილი. მაგ-
რამ აღარ ქოშინებდა, დაწყნარებულიყო,
უფრო სწორად, ქალაქის მკვდარი სიწყ-
ნარე დაუფლებოდა მასაც. ფეხებთან სი-
სხლის უზარმაზარი გუბე დაეყენებინა.
მამამისმა უნებურად ფეხი ჩადგა გუბეში
და მერე, ასევე უნებურად, სულ იატაკზე
უსვამდა ფეხს. ამაოდ ცდილობდა მოუ-
შორებლის მოშორებას. მკვდარი შვი-
ლის დანახვამ თავზარი კი დასცა, მაგრამ
ერთი პირობა, მაინც გაიბრძოლა, მაინც
გაუძალიანდა ელდას, ვინძლო როგორმე
გამოსცლოდა იმის დამაქცევარ სიმძიმეს,
ერთბაშად არ გაეჭყლეტინებინა თავი და
სწორედ მაშინ ჩადგა ფეხი შვილის სისხ-
ლში, გუბეზე გადახტომისას. რამაც კი-
დევ უფრო გაამწარა. კიდევ უფრო

[illegible]ნება, დაუხშო განსჯის უნარი. ავე[illegible] ეუბნებოდა — ეს რა მიყავიო — [illegible]ს აველუმი ადრეც იცნობდა მის [illegible] თითქოს აველუმმა აიყოლია [illegible]. აველუმმა გამოიყვანა შინიდან, [illegible]უმმა მოკლა და მანვე მიუგდო მისი [illegible] მამამისს, რათა ისიც შვილის თანამ[illegible]ლად გამოეყვანა ხელისუფლების [illegible]ში. მაგრამ, რა თქმა უნდა, მსგავსიც [illegible]რი უფიქრია. უბრალოდ, მისდაუ[illegible]ად სცადა აველუმისთვის გადაებ[illegible]ბინა ვიღაცის, აველუმზე ბევრად [illegible]ისა და აველუმზე ძნელად მოსა-



რევის დანაშაული. რასაკვირველია, არავისზე ნაკლებად არ იცოდა ნამდვილი მკვლელის ვინაობაცა და ადგილსამყოფელიც, მაგრამ ისიც იცოდა, ვერაფერს რომ გახდებოდა იმასთან. ამიტომ, დამნაშავეზე მეტად, აველუმი ჭირდებოდა, შემთხვევითი მოწმე თუ მონაწილე მისი უბედურებისა, რადგან მასთან ამ უბედურების გამომჟღავნებას მაინც შესძლებდა, ანუ, იმას მაინც იტყოდა, რასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ იტყოდა ნამდვილი მკვლელის თანდასწრებით. თუმცა, ბევრი არაფერი უთქვამს. ერთსა და იმავეს იმეორებდა სულ — ეს რა მიყავიო — ოღონდ, ხან უმწეო სიბრაზით, ხან ბრაზიანი უმწეობით, ხან დამფრთხალი და ხან სასოწარკვეთილი, საერთოდ კი, მოულოდნელი დარტყმისგან თვალგაშტერებული, უბაჩამოვარდნილი და თითქოს ხელოვნურად დაპატარავებული და დაუშნოვებული. მერე მკვდარი შვილის გვერდით ჩამოჯდა კიბის საფეხურზე, იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, თითებგაფარჩხული ხელის მტევნები სახეზე აიფარა და აზლუქუნდა: დავილუპე, [illegible]ვილუპეთო...

მას მერე დიდი დრო გავიდა. დიდი კი არა, განუზომელი — ქრისტეს მთელი მიწიერი ცხოვრება ჩაეტევა შიგ — მაგრამ გეგონებათ, არაფერი შეცვლილაო, სიცოცხლე ისევ ისეა ჩამკვდარი ქალაქში, ისევ ისე ჩაუჟმურებულია ყველაფერი, მიუხედავად გაუთავებელი შფოთისა და მღელვარებისა, აქეთ-იქით ხეთქებისა, დროშების უპრაგუნო ფრიალისა, ლოზუნგების, მოწოდებების, პროკლამაციების, მიმართვების, მუქარების, თხოვნების. მოთხოვნების კორიანტელისა და, რაც მთავარია, ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, მეხუთე სართულის აივანზე ორი საბრალო, ასაკისგან გამოჩერჩეტებული დედაბრის გულსაკლავი ზეიმისა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, მაინც რომ არ ვიტეხთ იხტიბარს. ვითომ, ჩვენც ხალხნი ვართ, ჩვენც ადამიანურ ცხოვრებასა ვართ მიჩვეულნი. ოპერაში „პორგი და ბესია", რუსთაველში „ცარცის წრე". მარჯანიშვილში — „ვერაგობა და სიყვარული" (თითქოს აველუმის პატივსაცემად), ახმეტელში კი — „შუაღამისას". მაგრამ შუაღამისას მაინც შინ ჯდომა სჯობს. სჯობს შინ კანკალო კურდღელივით, ბეტონის სოროში. და, თქვენ წარმოიდგინეთ, ასედაც იქცევიან არა მარტო მაყურებლები, არამედ მსახიობებიც. საკუთარ სოროებში სხედან და კანკალებენ, სახიფათო სიბნელეს მიყურადებულნი. ახლა ღამით ქუჩაში რომ გახვიდე, ან სულელი უნდა იყო, ან თავზე ხელაღებული. ყოველშემთხვევაში, წინასწარ უნდა იყო შეგუებული იმ აზრს, ყოველ გასვლაზე, უკანასკნელად რომ გადიხარ შინიდან, შენი სურვილით ხდება ეს თუ იძულებით, თანამოქალაქეთა დაჟინებული მოთხოვნით — გამოდი, [illegible]ვერდში დაგვიდექი, ნუ იმალები სოროშიო. ტელევიზორს ჩართავ და, დიქტორიც მაშინვე შემოგჩივლებს, ესა და ეს, ასეთი და ასეთი, ამა და ამ დღეს შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა, მაგრამ ჩვენ ვერაფრით მივაკვლიეთ და იქნებ შენ მაინც დაგვაყენო გზაზეო. ანდა, კიდევ ერთი ბანქ[illegible] დაიკარგა და ისიც შენ ხომ არ გიპოვნიაო. მე მგონი, ჩვენს გასართობად იქცევა ტელევიზია ასე, გვეთამაშება, ყველაზე იოლად რომ განვიტვირთოთ მთელი დღის, მთელი თვის, მთელი წლის დაძაბულობისგან და, მართლაც, გაგვეცინება. აბა რა იქნება, ამის მნახველსა და გამგონს. ასე რომ, ისევ შინ ჯდომა და დროგამოშვებით ტელევიზორის წინ მწარედ ჩაფხუკუნება სჯობს, გარეთ კულტურულ ღონისძიებებზე სიარულს. მაინც არაფერში გამოგვადგა კულტურა. თითქოს არც გვქონია. მართალია, ბედისწერას ვერც ბეტონი შეაჩერებს, რაც გიწერია, არ აგცდება, მაგრამ შინ თუ დავეტევით, აღარც ჩვენ გავწვალდებით ზედმეტად და აღარც სხვას გავაწვალებთ, რადგან სოროს გარეთ მოკლულნიც მაინც შინ უნდა მოგვიტანონ ბოლოს, იქამდე კი, ღმერთმა იცის, რამდენ ხანს უნდა ვეგდოთ ქუჩაში, ვიდრე ვინმე ინებებდეს და შეგვამჩნევდეს, მერე კი — მორგში — საცხედრეში — ვიდრე რომელიმე ჩვენიანი გაბედავდეს და ამოგვიცნობდეს...



# „დიოგენე" იწყებს კონკურსით

## სიახლე

**[illegible]გამომცემლობა „დიოგენე" რამდენიმე თვის წინ შეიქმნა. დამფუძნებლებმა [illegible] სულაკაურმა, თამრიკო ლეჟანიძემ, ოთარ ყარალა[illegible]ძემ და გია ჭარხაძემ უკვე ოთხი წიგნის და ერთი ჟურნალის გამო[illegible]სწრეს, თუმცა, არც ერთი მათგანი „დიოგენეს" ნიშნით არ გამოსულა. [illegible]ფერი, რაც „დიოგენეს" სახელით გამოვა, ძალიან მაღალი ხარისხის უნდა [illegible]. — გვითხრა ბაკურ სულაკაურმა. რა თქმა უნდა, ხარისხში მარტო პოლი[illegible]ული დონე არ იგულისხმება. შერჩეული ნაწარმოებების თარგმანი, კომე[illegible], გაფორმება, მკითხველისთვის მისი მიწოდება — ყველაფერმა ხელი [illegible]უწყოს წიგნის კულტურულ მოვლენად გადაქცევას.**

[illegible]არადა, ამის მიღწევა რომ დიდ [illegible]ვას მოითხოვს, ეჭვგარეშეა. [illegible]ნმებელია მოძველებული ინს[illegible]ები, ღირებულებები, რომლებიც [illegible] უკვე ვეღარ ასრულებენ იმ [illegible], რასაც ადრე ასრულებდნენ. [illegible] ჩაბარდა ნაკითხული წიგნის [illegible]თისთვის შეთავაზების ტრადი[illegible] ამიტომ ძნელია, მკითხველს სწო[illegible]მოდგენა შეუქმნა ახალ წიგნზე. [illegible]საქართველოში წარმოუდგენლად [illegible] გახდა წიგნის გავრცელება, [illegible]ანაა დაკავშირებული მცირეტი[illegible] წიგნების გამოცემაც, მოიშა[illegible]მონერის ინსტიტუტი. თუმცა, [illegible]გამონაკლისიც: იმ ოთხ წიგნს [illegible] რომელიც „დიოგენეს" დამფუძ[illegible] გამოსცეს, ერთ-ერთი, კერძოდ [illegible]უნგის „სიზმრები", სწორედ [illegible]ერის წყალობით იხილა მკითხ[illegible] და უკვე ათასზე მეტი ეგზემპ[illegible] გაიყიდა (სხვათაშორის, ხელმო[illegible]თვის 50-პროცენტიანი შეღავა[illegible]რის შემდეგაც გამომცემლებმა [illegible] გააგზავნეს იუნგიანურ ფონდში [illegible]-ს და აღმოსავლეთ ევროპის [illegible]რიაზე ასეთ ინიციატივებს აფი[illegible] ანაზღაურების მიღების შესა[illegible]მელიც ახალი პროექტის განხო[illegible]ებას უნდა მოხმარდეს.

[illegible]გამომცემლობა „დიოგენეს" სახელ[illegible] დაკავშირებული მრავალი სიახ[illegible]პირველად ქართულ ენაზე გამო[illegible]შვედური ლიტერატურის კლასი[illegible] — ავგუსტ სტრინდბერგის დრა[illegible]დენის ენიდან პირველად ითარგმნა [illegible] ლინდგრენის „ცეროდენა ნილს [illegible]ნი", მაგრამ, როგორც გითხა[illegible]ც ერთი ეს წიგნი „დიოგენეს" [illegible] არ გამოსულა. შეიძლება უც[illegible] მოგეჩვენოთ, მაგრამ დამფუძ[illegible] გადაწყვიტეს მოღვაწეობა [illegible] გამოცემით კი არა, კონკურსით [illegible] საუკეთესო საბავშვო ნაწარ[illegible] გამოსავლენად.













ბაკურ სულაკაური: „გადავწყვიტეთ, რომ „დიოგენეს" საქმიანობა დაეწყო არა წიგნის გამოცემით, არამედ კონკურსით. ასეთი კონკურსი დიდი ხანია არ ჩატარებულა და თუ ტარდებოდა, ატარებდა ჟურნალი „დილა" ან „[illegible]". იყო რაღაც ფორმალური პრემიები. კონკურსიც თითქოს ტრადიციული იყო, მაგრამ საბოლოოდ ეს კონკურსები, ალბათ, არ იყო ობიექტური. კონკურსის ჩატარება კულტურის სამინისტროს ევალებოდა და ამიტომ მისი შედეგებით არავინ იყო დაინტერესებული ავტორის გარდა. ჟიურისთვის და ორგანიზატორებისთვის, პრინციპში, არ ჰქონდა მნიშვნელობა, კარგი ნაწარმოები გაიმარჯვებდა თუ ცუდი".

**მათი აზრით, ქართულად კარგი საბავშვო ნაწარმოები იშვიათია, ან თითქმის არ არსებობს, ამიტომ, კონკურსი, რომელსაც საკმაოდ დიდი საპრემიო ფონდი აქვს (2000 დოლარი) ხელს შეუწყობს საბავშვო ლიტერატურის განვითარებას, მოიზიდავს ავტორიტეტებს და აღმოაჩენს ახალ სახელებს (ასეთი კონკურსების ჩატარების გამოცდილება დიდი ხანია არსებობს საზღვარგარეთ. მაგალითისთვის: შვედური საბავშვო ლიტერატურა, ფაქტობრივად, 1945 წელს გამართული კონკურსის შემდეგ შეიქმნა). თუმცა, კონკურსი არ დასრულდება მხოლოდ შედეგების შეჯამებით. როგორც კი გამარჯვებული ნაწარმოები გამოვლინდება (ზაფხულში), მოეწყობა ილუსტრატორების კონკურსი, ბოლოს კი, გამარჯვებული ნაწარმოები გამარჯვებული ილუსტრაციებით გამოიცემა.**

ოთარ ყარალაშვილი: „ცხადია, ეს კონკურსი რამდენიმე მიზანს ისახავს. არა მხოლოდ ერთი გამარჯვებული ნაწარმოების გამოვლენას, არამედ პოტენციური ავტორების გამოვლენასაც. არ არის გამორიცხული, რომ 10-15 კარგი ნაწარმოები შემოვიდეს. ეს საშუალება, ჯერჯერობით, არ გვაქვს, რომ ობიექტივად ერთბაშად [illegible], მაგრამ შეიქმნება არქივი და გამომცემლობას ექნება იმ ავტორების კოორდინატები, ვისთანაც თანამშრომლობა შეიძლება. იგივე ითქმის მხატვრებზეც".

**ნაწარმოებებს კომპეტენტური ჟიური შეაფასებს, რომელიც მაქსიმალურად ისეთი ხალხისგან იქნება შემდგარი, რომელთაც ობიექტურობის გრძნობა არ უღალატებთ.**

ბაკურ სულაკაური: „ობიექტურად შეფასებით ყველაზე მეტად ჩვენ ვართ დაინტერესებული, რადგან თუ გამარჯვებული წიგნი არ იქნა მართლაც [illegible] ჩვენთვის. როგორც [illegible], ეს იქნება [illegible] [illegible] შეღავათი გამორიცხულია. [illegible] თუ [illegible], ჟიური [illegible] გამომცემლობა. თუ კარგი [illegible], [illegible] [illegible] [illegible]

[illegible]კონკურსო ნაწარმოებების მიღება მარტის [illegible]მდე გაგრძელდება, გამარჯვებული წიგნის პრეზენტაცია კი, ივნისში შედგება.

ნაირა ხარბედია

# ლეოპოლდ სტაფი
## (1878-1957)

ლეოპოლდ სტაფი — XX საუკუნის პოლონური ლიტერატურის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურაა — პოეტი, დრამატურგი, პროზაიკოსი, მთარგმნელი და ხნაელული ფილოლოგი. მან დატოვა დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობა; მხოლოდ მისმა ერთმა პოეტურმა რჩეულმა, 1955 წელს რომ გამოიცა, ხუთი მთამბეჭდავი ტომი შეადგინა.

პოეტი ლვოვში დაიბადა, მაშინ, როდესაც ეს ქალაქი ჯერ კიდევ ავსტრია-უნგრეთის იმპერიას ეკუთვნოდა. იქვე დაამთავრა ადგილობრივი უნივერსიტეტი, შემდგომში კი ისედაც საფუძვლიან განათლებას იღრმავებდა ხშირი მოგზაურობებით იტალიაში, გერმანიასა და საფრანგეთში.

პირველი მსოფლიო ომის გამო იგი იძულებული გახდა დასახლებულიყო ხარკოვში. 1918 წელს, პოლონეთის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, სტაფი ხან ვარშავაში ცხოვრობდა, ხან კრაკოვში. ვარშავაში იგი ლიტერატურულ ჟურნალებს რედაქტორობდა, ხოლო კრაკოვის უნივერსიტეტში მსოფლიო ლიტერატურის კურსს კითხულობდა. ჰიტლერულმა ოკუპაციამ მწერალს პოლონეთის დედაქალაქში მოუსწრო. ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ სტაფი ისევ აქტიურ ლიტერატურულ და განმანათლებლობით მოღვაწეობას დაუბრუნდა.

ლეოპოლდ სტაფი, როგორც პოეტი, განუყრელადაა დაკავშირებული პოლონური ლიტერატურის განვითარების სამ პერიოდთან. სტაფმა პირველი წიგნის — „სულის დღის" გამოცემისთანავე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა იმ პოეტურ მიმართულებაში, რომელიც „ახალ პოლონეთად" იწოდებოდა. მისი იმ წლების პოეზია უფრო ნეორომანტიზმისაკენ, სტანსებისა და სონეტის პოეტიკისაკენ იხრებოდა. სტაფის მრავალი სონეტი სასკოლო ქრესტომათიებშიც შევიდა. პირველი მსოფლიო ომიდან მეორე მსოფლიო ომამდე პოეტი ნეოკლასიციზმის პოზიციაზე დგას, ფსიქოლოგიური და რეალისტური ლირიკის რამდენიმე შედევრს ქმნის. ომის შემდგომ პერიოდში იგი თავისუფალ ლექსში ცდის კალამს. სტაფს ლექსის ელიტარული სირთულისა და გარკვეული ინტელექტუალიზმის მიუხედავად, არასოდეს უღალატია დემოკრატიული ფორმებისთვის. მისი გამჭვირვალე სტილი, სიმსუბუქე და ლექსის ფილიგრანული ტექნიკა პოლონური პოეზიის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

მთარგმნელისაგან

## ქარიშხალი

ღრუბელთა შავი ხროვა და შავვი ჩამომზღვლეული ძალით ზვავურით,
უკუნს დააწვა!.. გალვიძებული სიღრმეებიდან გრგვინავს ხმაური!
არყის ხეები გრძელ კენწეროებს ფერდობებს სცემენ ნისლის ალყაში!
კრუნჩხვას მოუცავს გრგვინვის წინ შიში და სული უფრთხის ეთერს განგაშით,
წარღვნის ლოდინში ძრწის ყოველივე, სადღაც ქიუხი გასკდა ზანზარით!
თვალისმომჭრელად ჭვივის ელვა და წაჰკიდებია ღრუბელს ხანძარი!
ელვამ განმიხვნა სავალი გზები. ალანთო რისხვა ჩემი მჯაბვნელი,
სისხლის წილ — ძარღვში რომ დუღს ამაოდ და ლაფით მოსვრილ სულს რომ აბნელებს!
ის ფუქად დანთქმულ სიცოცხლის ნიჟს და მდაბიო ზრახვებს მიფორიაქებს!
მიფორიაქებს ამ გულს. რომელსაც უსამინელეს ფურთხს თუ მიაგებ!
შერყვნილ. გაქელილ უბიწოებას და ჩემს ბილწ გრძნობებს იგი აქეზებს!
იხუვლა რისხვამ. ჩემმა მტანჯველმა! ბრალდების ცეცხლი უკრთის ბაგეზე!
რადგან ღირსებას ვაქელვინებდი, რადგან ცრემლიან ჩივილს ვბედავდი!
რადგან ვუსმენდი. ბოლო ლურსმნებით უწმინდეს კუბოს როგორ ჭედავდნენ.
რადგანაც მიწყივ ვნაყავდი წყალს და იმიტომ ვიყავ მე ბრალეული —
არწივს სცვიოდა ნაკრტენი რადგან და უსასოოდ გადარეული
ბლაოდა დომბა, ბუღობაშივე დაჭრილი ჟამით და სიხნიერით!..

ქრის ქარიშხალი ელვის მანტიით! — და ჩემი რისხვის აძევს იერი,
გაუტკბა ნგრევა და ყოველივეს არბევს იმგვარად, როგორც ენება!
ცეცხლოვან გველებს მიუგავს თმები ხახადალებულს ათასხელებას!
ანგრევს და ლეწავს წუნარ სახურავებს. ჩაკირულ კუნძთა ძარღვებს მიარღვევს,
მთათა ოდინდელ ლოდებს მუსრავს და კლდენი რომ დანთქას, გეშავს ნიაღვრებს!
ღრჭიალებს ბოლმა, ღმუის ტკივილი — ჭიხვივით, ტყვიამ რომ გაატანა!
გაცოცხლდა რისხვა ჩემი მტანჯველი! შლეგი, ბოროტი, ბნელი სატანა,
ტირანი! ვინაც ჩემზე ძალაობს! იდუმალი და შეუცნობელი!
დამაძაბუნა... ის რქიანია! — ფეხით მიქელავს გულმკერდს რომელიც!

შენ ჩემი ცხელი სისხლი გწყურია, ჩემი ძარღვების თბილი მარჯანი!
დუელში გიწვევ! შევხვდეთ პირისპირ! დაგახამარო ეგებ არჯალი!
მუშტს შევკრავ სიმწრით, აგიჯანყდები, შევებათ ბარემ, დავხვათ წერტილი!
ჩაუბღუჯია ქარი შოლტებად, როკავს გრიგალი თავაწყვეტილი! —
გადაუქირა ტბათა სარკეებს, სივრცეს მოჰფინა ქაფი შხრიალით!
მოხევადებულ ღრუბლებს დაჰკვესა ბურჯღლები მწველი და სისხლიანი!
უფსკრულებს ავსებს შიშის წყვდიადით, ნაპრალებს ზათქით გადაუქროლებს,
მის რქათა ჯახანს გაბმულ ზმუილით აახმიანებს ექო უფროოვე!
სიცილ-ხარხარით შეშლილის ღრიალს აჭარწყლებს მკერდი განრისხებული,
გრგვინავს სტიქია... ხოლო მე მეხი დასისხლულ თვალში მაქვს ანთებული!
მე ტიტანი ვარ გრიგალებისა! მთათა კალთები შევავიწროვე!
მე მათ დაკუნთულ მარჯვენას მოვდებ — კლდეებად დავფშვნი, თუკი ვიდროვე!
თმებს ვაბრდღვნი ამ მთებს!.. ვზნექ სახურავებს, ტყეებს სირბილით ვარბევ მას მერე,
რაც ჩავიჭრები წყალთა წიაღში და ზეცას ვუწვდენ ჭავლთა ჩანჩქერებს!
ზანზარებს არე, ვეება მთები: ფერხთითა მიჯრით მყვანან განრთხმულნი,
გრიგალი რაა! ბრძოლის სიშმაგეს, მე, მე წარვმართავ ძალით, ართქმულით!
დავფხრიწავ ღრუბლებს ჩამოლამებულს და ბოროტ ტირანს მოგხრავ მთლიანად!
წყლის სიღრმეებში ჩაგაღრჩობ მტარვალს, ჭირკივით მოგთხრი ძირფესვიანად!
ზღვაშიც, მიწაშიც აგიგებ ანდერძს! ყველგან გიპოვი, ყველგან მოგიძევ,
პირდაპირ შუბლში დაგახლი ელვას! მეხით მიგლურსმავ კუპრის ლოგინზე!
გამოგიფატრავ ყელს და გულ-მუცელს. ვეღარ აღსდგები ჩემგან ძლეული!..

და, ჰა. ამოხდა კიდეც წყალთაგან. ზე შეიმართა მხეცი წყეული,
შავ-ბნელი! ყველა კლდეზე აპალდა და მზერა მტყორცნა მსხვერპლს იქედნური.
ღრუბელთა ტყვია ჩაისხა მკერდში. მძიმედ გადრიკა მიწა შეძრული,
შეაზანზარა წყლის ნაპირები. და ატორტმანდა ყველი დგანდგარით.
გამაცამტვერა გადაქელილი. როს ერთის დაკვრით დამცა აღმდგარი!
ქარბუქს შეერთო ხაფი ყიკილით. ვეღარ ვუწვდინე თვალი უხილავს!..
ვგდივარ უმწეოდ!.. ეჰეი, გრგვინვავ, ჩემშიც აღანთე რისხვა ქუხილად!
სისხლის წილ, ძარღვში რომ დუღს ამაოდ, შელაბძლულ სულს რომ მიფორიაქებს
და ამ გულისთვის, რომელსაც მხოლოდ უსაშინელეს ფურთხს თუ მიაგებ!
მდაბალ ზრახვისთვის, და იმ ნიჟისთვის, რომლის გაბნევაც მე მოვასწარი!
შერყვნილ სულისთვის!.. ეჰეი, გრგვინვავ! ჩემშიც აღანთე რისხვის ხანძარი!..

## მაწანწალას სიმღერა

დამაძმობილეს უსაქმური ჩიტებს და ქუჩას,
ტკბილი მაქვს ცოდვა, ტკბილი არის მონანიებაც,
იდაყვგაგლეჯილს წლებიდან ცერებიც მიჩანს,
ვლაღობ სიცოცხლით, რადგან ღმერთმა ასე ინება.

მე საფრთხობელამ მისასხოვრა ეს ჭრელა-ჭრულაა:
შემეჩვიენო ჩიტუნები კარმიდამოსი...
არ მიფრთხიანო ეს ოხრები, მერწმუნე, სულაც,
არ მჭირდებაო ეს ძვირფასი ტანისამოსი.

ხილის ბაღები მწიფობისას სავსეა ძღვენით,
მე იქ სტუმრობა ზაფხულობით მიყვარს ჩიტებთან...
პურის ნამცეციც გაგვიყვია, ღმერთმანი, ლხენით,
მიუსაფარებს, ზამთრის სუსხი როცა გვიტევდა.

სხვა დანარჩენი... ყველაფერი ფეხზე მკიდია,
ბაღები ღიად თუ დამხვდება კვლავ ქალაქგარეთ...
იქ დღეები და ღამეები მშვიდად მიდიან —
სადილად მზე მაქვს და ვახშმად მთვარე...

## კურთხეულ იყავ, ზღვაო ღვთიურო...

კურთხეულ იყავ, ზღვაო ღვთიურო, და ისიც, შენი მადლი რაც არი;
ჩვენ არ ვიქნებით, კვლავ იღვაფუნებს ქარში ზვირთების თეთრი დაშქარი,
როგორც ფოთლების და თაობათა მონაცვლეობა, იმგვარად, სწორედ,
ვერ შელევიან თვალები აფრებს, შენ რომ მიაფრენ ნისლიან შორეთს.
ეს შენ გვასწავლი, შენი მადლია, რომ ველტვით ჟამთა ცვალებადობას,
რადგანაც კვდება, ქრება იმწამსვე — რაც კი შობილა, რაც იბადება,
ეს შენ გვასწავლე, ზღვაო, სევდასთან გამოსალმება, კაცური ფრიად,
რომ მივეგებოთ იმედით იმ წუთს, მზე რომ უსხლტება ყორნისფერ წყვდიადს.
მიიქცევი და კვლავ მოივანებ, მიწყივ მუშაკობ დაუდგრომელი,
მუდამ მოგელტვით საწყისთა საწყისს, შორეულ გზებზე გვიხმობ რომელიც
მათ. ვინც იხილა ეგ სივრცეები, თვალსაწიერებს ერთვის იხევე,
და ვერასოდეს ვერ ათქმევინებ: „ახლა ჩავმუხლავ და შევისვენებ".
მომხიბვლელი ხარ, მაგრამ საშიში. მწირი ხარ, მაგრამ ცხოველმყოფელი.
მშობლიურ მიწას რომ მოგვწყვეტ ხოლმე ფათერაკების მიწყივ მშობელი.
ალერსიანო, მაგრამ მრისხანევ, უნებურ ცოდვით ხარ გულსაკლავი,
რადგან შენს მკერდზე გზააბნეულსაც, გზას მიასწავლი მეგზურ ვარსკვლავით.
შენ მიწის ზურგზე მიმობნეული მდინარეები დანთქე ულევი
სათავიდანვე იციან უკვე, რომ ზღვად მქცეველი ხარ ბინულების.
მუდამ ზეცისკენ რომ ილტვი ხოლმე, მთოვარის ტრფობით ეგზომ ვნებული,
ოცნებებს მისკენ გასტყორცნი მყისვე, გულის შორეთი აყვავებული.
შენ, ხმაურიანს, გესამუშება ხმები მომთმენის, ხმები მორჩილის,
და მეზღვაურებს მხოლოდ ვარსკვლავთა მსუბუქ სხივების ბორკავ ბორკილით.
მარადიულო, წმინდაო სევდავ, როცა ოდესმე ჟამით ნალევი,
და ქარ-წვიმებით ნარწევნი მიწას განერთხმებიან მთის მწვერვალები,
და როს არწივებს სულმოსათქმელად მკერდში ჰაერი აღარ ეყოფათ,
უარს არ ეტყვი ალბათ საძვლეზე მამაცთა მოდგმას, როგორც მეგობარს.
გვწვრთნი — რომ ჩვენა და ჩვენი ხოფები ვიყოთ დიადი, ვიყოთ ძლიერი,
გვმოძღვრავ — შევხედოთ სიკვდილს თვალებში ქედმაღლურად და კაცურ იერით,
იყავ კურთხეულ, ხომლიან ცისკენ, ვით მსაჯულისკენ რომ იყურები,
რომ აზარნიშებ კლდოვან კბოდეებს, ვით სულებს უკვდავ მეზღვაურების.

თარგმ[ანა]

ამირან ასანიძ[ე]



# ...ახსოვარი



ფიროსმანმა ალალმართალი ცხოვ-
...ბით და შემოქმედებით შექმნა ერთ-
...არი მითი ქალაქელ მხატვარზე. ეს
...ის მითი იმ კაცზე, ვინც უხმაუროდ
...ევნის, პატიოსნად ირჯება, ვინც
...ურველად ხარჯავს თავის სიცოცხ-
...ლეს, რათა სულის ნაწილი ჩააქსოვოს
...ილოში და მოიპოვოს დაუყვედრებელი
...ური არსობისა.

კარგა ხანია მითი იქცა სინამდვი-
...ედ — ამგვარი ცხოვრების წირით და
...ლორიტით აღბეჭდილი არაერთი მხა-
...რის სახელი შეემატა ჩვენს მახსოვ-
...რობას. მათ ნამუშევრებში წარმოჩნდა
...რიკული შტრიხების ურთიერთკვეთა,
...რმა პიროვნებისეული შინაარსობრივი
...შნები.

ომარ დურმიშიძე ... დიდი ხანი არ
...ის, რაც ორმოცდახუთი წლის მხატ-
...არი წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა
...იდარი და მრავალფეროვანი შემოქმე-
...ბითი მემკვიდრეობა. მის ნამუშევრე-
..., ჩემი აზრით, ძალუმად მჟღავნდება
...ლასი ნიჭის და პიროვნული იერის
...კვეთილი ნახნაგები. შეუნიღბავად
...ს ზედმიწევნით წრფელი, ხშირად ბა-
ვშვურ სისუფთავეს ნაზიარევი ემოცი-
ური გახსნილობა შეთავსებული დახვე-
წილ პროფესიულ ოსტატობასთან.

გასული წლის შემოდგომაზე მხატ-
ვართა გალერეაში გამოფენილი იყო
მხატვრის ნამუშევართა ერთი ნაწილი.

ვინც ომარ დურმიშიძეს, ჭარბი და
ფაქიზი ლირიკული მგრძნობელობის
კაცს იცნობდა, მან იცის, რომ ყოველი
მისი ნამუშევარი მხატვრის იმნუთიერი
სულიერი ფორიაქის ანაბეჭდია. მოუს-
ვენარი და სავსე შინაგანი ცხოვრება
არ აძლევდა მშვიდი მუშაობის საშუა-
ლებას. ჯანგატეხილს ავადმყოფობის
ჟამსაც არ ასვენებდა ხატვის სურვილი.
ქუჩაში გასვლას ვერ ახერხებდა და
თავის ვიწრო ოთახის ფანჯარაში და-
ტანებულ ხედს ხატავდა — ელნათურე-
ბის სხივებით განათებულ ორთაჭალის
ცარიელ ჩიხს.

ტილოებით გაჭედილ სასტუმრო
ოთახში ომარის ხსოვნისადმი მიძღვნილ
სუფრასთან ჩემს მეგობრებთან ერთად
ვიჯექი და ვფიქრობდი იმ სიცარიელე-
ზე, რომელიც ამ კაცის წასვლის
შემდეგ წარმოიშვა. ომარის ცხოვრების
სხვადასხვა ეპიზოდებს აცრემლებული
ჰყვებოდა მხატვრის მეუღლე და მეგო-
ბარი ქეთევან დურმიშიძე და მე თან-
დათან ვიგრძენი ამ უსაშველო სიცა-
რიელეში თბილისური ღამის სიღრმი-
დან როგორ შემოანათა უხმოდ მეტყ-
ველმა სახემ — შავი წვერი, ალალი
და მიმნდობი გამოხედვა, წყნარი სინა-
თლით სავსე დიდი, მონყენილი თვალე-
ბი. მე მივხვდი, ეს იყო მხატვარი,
გამუდმებით რომ ებრძოდა სიცარიელის
საძაგელ შიშს. ამ შიშის შინაარსი
მისთვის დღესავით ცხადი იყო. და ესეც
თანდათან მოხდა — ჩემს წარმოსახვაში
მხატვრის სახესთან ერთად ადამიანივით
შემოიჭრნენ მისი აუარებელი ტილოები
და ერთბაშად გაანათეს უაზრო სიცა-
რიელის ბნელი ტალანები.

ომარ დურმიშიძეს მხოლოდ იქ
შეეძლო სრულფასოვანი არსებობა, სა-
დაც მხატვრობა რაღაცგვარად მაინც
ინარჩუნებდა მნიშვნელობას. მხატვრო-
ბა მისთვის სწორედ ადამიანებისკენ
გადებული ხიდი იყო, ადამიანური
ურთიერთობების ყველაზე უფრო სანდო
და უღალატო შუამავალი. ხელოვნება
იცავდა მას არაკეთილმოსურნე მეშჩა-
ნებისგან და ამავე დროს აახლოებდა
იმათთან, ვისაც მისი ნახატებიდან
ასხლეტილი კეთილგანწყობის სხივი
უკიაფებდა გამოხედვაში. საკმარისი
იყო ომარს ამგვარი სხივი შეემჩნია
დამთვალიერებლის თვალებში, მაშინვე
ჩამოხსნიდა ტილოს და დაუფიქრებლად
უსახსოვრებდა. ზოგჯერ ისეთ კაცსაც
რგებია ეს სახსოვარი, რომელსაც ხე-
ლოვნებასთან ერთი ღამეც არ ჰქონდა
გათეული. რას იზამ, ომარ დურმიშიძე
მხოლოდ მხატვარი იყო და მხოლოდ
ამგვარად შეეძლო გამოეხატა მადლიე-
რება. სხვა შემთხვევაც იგივეს ადასტუ-
რებს — ომარის მეგობარი საავადმყო-
ფოში დააწვინეს. სხვანაირად რომ ვერ
გაუმართა ხელი, ექიმებისთვის ძღვნად
საკუთარი ნამუშევრები დაჰქონდა.

ჩვენს პრაგმატულ საუკუნეში ასეთ
სუფთა კაცს და მხატვარს გაუჭირდება
ცხოვრება. უჭირდა კიდეც. უჭირდა
იმის გამო, რომ საკუთარი პრინციპები,
ცხოვრების წირი და ზნეობრივი მრწა-
მსი გააჩნდა, რომელიც საფუძველშივე
ეწინააღმდეგებოდა ზოგჯერ მხატვრებს
შორისაც გავრცელებულ პრაგმატულ
ჩვევებს. და რადგან ომარ დურმიშიძეს
თითქმის მოწამებრივი დამოკიდებულე-
ბა ჰქონდა თავის საქმისადმი, რადგან
ხატვის პროცესი მისთვის მტკივნეულ
კათარზისთან იყო წილნაყარი, ალბათ,
წარმოუდგენელიც იქნებოდა მისგან
ათასგვარ რეგალიებზე და ხმაურიან
გამოფენებზე ფიქრი. ის ქმნიდა მხო-
ლოდ იმიტომ, რომ არ შეეძლო სხვა-
გვარად ცხოვრება.

ომარ დურმიშიძე ყველაზე ხშირად
ღამის თბილისს ხატავდა. ღია აივნიანი
უბნის ვიწრო მონაკვეთი იყო ის
უმნიშვნელოვანესი სიბრტყე, რომლის
ზედაპირზეც სურდა მხატვარს განეფი-
ნა თავისი ცხოვრება და ბედისწერა.
ალბათ, სხვას არავის უცდია ამდენგზის
და ასე საგანგებოდ დაეხატა ღამის
სხივებით განათებული თბილისი. რისი
სიმბოლო იყო ეს ღამეული პეიზაჟები
ომარის წარმოსახვაში ძნელი სათქმე-
ლია, იქნებ შორეული ბავშვობის ან,
ვთქვათ, რაღაც ისეთის, რაც დროში
მხოლოდ ერთხელ აელვარდება და შე-
მდეგ აღარასოდეს მეორდება. ან იქნებ
ეს სიზმრები იყო, სადაც მხატვარი
სოლოლაკში, ლერმონტოვის ქუჩაზე

## ხელოვნება

თავის ძველი სახლის წიაღში ბრუნდე-
ბოდა, ძველ მეგობრებთან, რომელთაგან
ბევრი ფეხაკრეფით და ნაადრევად
გასცილდა თბილისის ღამეს? არ ვიცი.
ვიცი მხოლოდ ერთი რამ — დადგება
დრო და ერთად თავმოყრილი ომარ
დურმიშიძის მდიდარი შემოქმედება
მთელი სისრულით წარმოჩნდება მნახ-
ველთა წინაშე.

და მაგონდება კიდევ ერთი რამ —
მეგობრის დაბადების დღე დამთავრდა.
საზეიმო სუფრა აიშალა და სტუმრები
წავიდ-წამოვიდნენ. მე და ომარიც გა-
რეთ გამოვედით, ზედ რუსთაველის
გამზირზე. ახლად გაცნობილები ვიყა-
ვით და შინ მეპატიჟებოდა, მაგრამ
გვიანი იყო, ამიტომაც ხანმოკლე საუ-
ბრის შემდეგ გულდაწყვეტილები დავ-
შორდით ერთმანეთს. ომარი მიდიოდა
ნელი ნაბიჯებით განათებულ ჭადრებს
შორის, თბილისის ღამის ფონზე, დინ-
ჯად გაიარა ქუჩის ვრცელი მონაკვეთი
და უკაცრიელ ღამეს შეერია.

ასეთი დარჩა კიდეც ის ჩემს
მახსოვრობაში — თბილისის ღამეში
გაუჩინარებული მხატვარი.

**ანდრო ბუაჩიძე**





# სიტყვის ოსტატის ნააზრევი

## ახალი წიგნები

...გამომცემლობა „ლომისი" აგრძე-
...ს რჩეულთა ბიბლიოთეკის სერიით
...ცრო ფორმატის წიგნების გამოცე-
... ამ ცოტა ხნის წინ სერიას შეემატა
...ბილი ფრანგი მწერლის, ანდრე
...ის წერილების კრებული. ვფიქ-
...ბთ, რომ ეს მწერალი საგანგებო
...ადღებას იმსახურებს, ვინაიდან პი-
...ლად იბეჭდება ქართულ ენაზე.
...ილები ფრანგულიდან თარგმნეს
...ვიკო ბენდიაშვილმა და ნინო ქა-
...ამ. წერილების დასათაურება ცხა-
... მეტყველებს განსახილველი პრო-
...მების აქტუალობაზე — „ლიტერა-
...ული გავლენის გამო", „ხელოვნე-
... საზღვრები", „სტივენსონი და
...ტერატურის ეროვნულობა", „ნიც-
... „სტეფან მალარმე". წიგნს დარ-
...ლი აქვს შენიშვნები და მთარგმნე-
... ბოლოსიტყვაობა.

...წიგნში წარმოდგენილი ყოველი
...ილი სიტყვის ოსტატის, მწერლის
...მოაზროვნის დაწერილია. ლიტერა-
...აზე და ხელოვნებაზე ხაუბრისას
... ჟიდისთვის არ არსებობს მეტად
...აკლებად მნიშვნელოვანი პრობლე-
... გაუნელებელი ცნობისწადილით,
...რეული ენთუზიაზმით, შთაგონე-
... მსჯელობს ყოველ წვრილმანზე.
...ბილი ანალოგიები, შედარებები,
...ფორული ენა, სხარტი, პარადოქ-
... გამონათქვამები თვალნათლივ ამ-
...ენებს ავტორისეულ ხელწერას,
...ალობისგან დაზღვეულ მის უაღ-
რესად თავისუფალ აზროვნებას.

აი, ვთქვათ, ჟიდი ლაპარაკობს
ლიტერატურულ გავლენებზე. ეს თემა
თავისთავად არ არის ინტერესმოკლე-
ბული, მაგრამ ამ ვრცელი თემის
წიაღში მწერალი მისთვის ახლობელ და
საინტერესო მომენტებს მონიშნავს. ის
დასაწყისშივე არაორაზროვნად აცხა-
დებს, რომ ლიტერატურული გავლე-
ნის აპოლოგეტად გვევლინება. შემდეგ
გოეთეს მაგალითს მოიხმობს და დას-
ძენს, რომ „ფაუს-
ტის" ავტორი თვი-
თონაც გავლენების
მგზნებარე აპოლო-
გეტი იყო. „ყოველ
საგანთან საოცარი
სულიერი ნათესაობა
ისეთ სრულ ჰარმო-
ნიას ქმნიდა, რომ
ადგილის, საათის,
წელიწადის, დროის
ნებისმიერ ცვალება-
დობას ძლიერი გავ-
ლენა ჰქონდა ჩემ-
ზე", — წერს გენი-
ალური პოეტი.

ანდრე ჟიდის
აზრით, ტალანტებს
არ ეშინიათ გავლე-
ნის. ისინი „ისევე
ხარბად ეძიებენ მას,
როგორც სიცოცხ-
ლეს". გოეთეს შემო-
ქმედებითი ბიოგრა-
ფია „მასზე მოქმედ
გავლენათა ისტო-
რიაა". თავისი ცხო-
ვრების სხვადასხვა ეტაპზე ვაიმარელი
ბრძენი ერთმანეთისგან სავსებით განს-
ხვავებული ეპოქების კულტურით იყო
გატაცებული. ბოლოს კი, სამოცდაათ
წელს გადაცილებულმა კაცმა, პაფეზის
გამო სპარსული ენა შეისწავლა და
თავისი „დასავლეთ-აღმოსავლეთის დი-
ვანიც" შექმნა.


რჩეულთა ბიბლიოთეკა 12
ანდრე ჟიდი
ხელოვნების საზღვრები

ტალანტები იმიტომ ეძიებენ და
განიცდიან გავლენებს, რომ საკუთარი
შინაგანი სიმდიდრის რწმენა აქვთ.
ისინი გულუბრყვილოდ, ალღოთი
გრძნობენ მათშივე დავანებულ სულიერ
ძლიერებას. ჟიდს მოაქვს სახარებისეუ-
ლი სიტყვები: „რამეთუ ყოველსა, რო-
მელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს,
და რომელსა არა აქუნდეს და რომელსა
— იგი აქუნდეს, მო-ვე-ღოს მას".

ანდრე ჟიდი სინანულით საუბრობს
იმის შესახებ, რომ
წინარე საუკუნეებში
არსებული ინტენსიუ-
რი გავლენების სფე-
რო მნიშვნელოვანწი-
ლად შემცირდა და
შევიწროვდა. აღარ
არის „აღარც მძლავ-
რი მიმდინარეობა,
აღარც კალაპოტი,
აღარც ძლიერი ზო-
გადი გავლენა, რომე-
ლიც მრავალ გონებას
აჯგუფებს". ირგვლივ
სხვაგვარი ატმოსფე-
რო გამეფდა: „ერთმა-
ნეთის დამსგავსების
შიში, მორჩილების
სიძულვილი, კიდევ
— ყოყმანი, უნდობ-
ლობა".

მიქელანჯელო
თამამად ბაძავდა ან-
ტიკური ხანის ოსტა-
ტებს და ზოგიერთ
თავის ქანდაკებას გა-
თხრების დროს ნაპო-
ვნად ასაღებდა. ანალოგიური დამოკი-
დებულება ჰქონდა ანტიკური სამყა-
როსადმი მონტენსაც. ის საკუთარ თავს
იმ ფუტკარს ადარებდა, რომელიც
ყვავილიდან ყვავილზე ინაცვლებს, მისი
ნადავლისგან გაკეთებული თაფლი კი
მთლიანად საკუთარი ქმნილებაა.

წერილის ბოლო ნაწილში ანდრე
ჟიდი დიდი პიროვნების ფენომენზე
საუბრობს და მოჰყავს ნიცშეს ძალზე
საგულისხმო სიტყვები: „დიდ პიროვნე-
ბას მხოლოდ თავისი გონება კი არა,
ყველა თავისი მეგობრის გონებაც ეკუ-
თვნის". თავის მხრივ კი ჟიდი დასძენს,
რომ დიდ პიროვნებას, ხელოვანს, არა-
სოდეს არ ჰყოფნის საკუთარი თავი,
„აწვალებს თავისი იდეის მნიშვნელობის
შეგნება, ამ იდეის გამო პასუხისმგებ-
ლობის გრძნობა".

გარდა ამისა, მას თვითგამოხატვი-
სთვის არ ჰყოფნის ალქმის ხუთი
ორგანო, დღე-ღამის ოცდაოთხი საათი.
ცხადია, მწერალი აქაც იმავეს გული-
სხმობს და ჭეშმარიტი ტალანტისთვის
გარემოდან მიღებული შთაბეჭდილებე-
ბის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. მაგა-
ლითები კი უხვადაა: „დანტე ისევე
დაუოკებლად ილტვოდა საფრანგეთის-
კენ, როგორც გოეთე იტალიისკენ.
იტალიაში რომ აღარ ეყო გავლენები,
პარიზს მოაშურა, რათა აქ ჩვენი
უნივერსიტეტის გავლენა განეცადა".

გივი ალხაზიშვილისა და როსტომ
ჩხეიძის რედაქციით გამოცემული ამ
წიგნის ანოტაციაში ნათქვამია: „XX
საუკუნის გამოჩენილი ფრანგი მწერ-
ლის, ნობელის პრემიის ლაურეატის,
ანდრე ჟიდის (1869-1951) შემოქმედება
მრავალმხრივია და საინტერესო. მის
კალამს ეკუთვნის მოთხრობები, ლექსე-
ბი, რომანები, პიესები, ლიტერატურუ-
ლი წერილები...

ანდრე ჟიდის მსოფლმხედველობა
წარმოდგენილია რომანებში — „ამქვე-
ყნიური სიამენი" (1897), „იმორალისტი"
(1902), „ვატიკანის ჯურღმულები"
(1914), „ყალბი ფულის მჭრელები"
(1925), პიესებსა და ესეებში".

კარგი იქნება, თუ ჩვენი მკითხველი
გამოჩენილი ფრანგი მწერლის ჩამოთ-
ვლილ ნაწარმოებებსაც ქართულ ენაზე
იხილავს.

**სანდრო ბურჯანაძე**

მცირე დეტექტივი

ედმუნდ

კრისპინი



მესამე ღამეს როგორც იქნა მოვიდნენ ელიოტის ასაყვანად. დიდხანს ელოდა მათ და, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის გულგრილობითა და თავშეკავების უნარით გამოირჩეოდა, მოლოდინმა მაინც სიქა გააცალა. დიდ ფუფუნებას არასოდეს ყოფილა მიჩვეული, მაგრამ ამ უბადრუკმა ნომერმაც, რომელიც კლერკენუელას იაფფასიან სასტუმროში იქირავა, სერიოზულად მოუშალა ნერვები. არა იმიტომ, რომ კომფორტის გარეშე ცხოვრება აღარ შეეძლო, უბრალოდ, დამქანცველ ლოდინთან ერთად, გაქუცული ავეჯით განყობილი უფერული ოთახების ატანა სერიოზულად გაუსაძლისი შეიქმნა.

ახლა, როცა უკვე ესმოდა თუ როგორ აჭრიალებდა კიბის ხის საფეხურებს მომხვდურთა ფრთხილი, ქურდული ნაბიჯები, ელიოტი ამოქმედდა. ნამით საათს დახედა და მერე, სადაც და როგორც იყო საჭირო, იქ და იმგვარად მოიმზადა იარაღი. სავარძელიც განზრახ ისე შემოაბრუნა, რომ კარისკენ ზურგშექცევით მჯდარიყო.

კარი უხმაუროდ შემოაღეს. ვითომ პისტოლეტის ასაღებად გამიზნული, დაგვიანებული ნახტომი საკმაოდ დამაჯერებელი გამოუვიდა. იცოცხლე, შეეშინდათ! რომელიღაცამ ყრუდ ამოიყვირა და იმწამსვე ყველანი ერთად მისცვივდნენ, ხელები გადაუგრიხეს და რევოლვერის ლულა სადღაც ყურს უკან მიაბჯინეს მოუხერხებლად.

„არიფები", ზიზღით გაიფიქრა ელიოტმა, რომელმაც შეუპოვარი და მტკიცე, მაგრამ მალევე გატეხილი წინააღმდეგობის სცენა მშვენივრად გაითამაშა. „არიფები" — გაიმეორა თავისთვის კიდევ ერთხელ, როდესაც ნაჩქარევად გაუჩხრიკეს ჯიბეები, ქვემოთ ჩაიყვანეს და „ნადავლის" მომლოდინე მანქანის ხახაში უკრეს თავი.

ამ ზიზღნარევ დამოკიდებულებაში, ქედმაღლობის და პატივმოყვარეობის ნატამალიც არ ერია. პროფესიონალი მკვლელის ხანგრძლივმა კარიერამ ამგვარი გრძნობები საერთოდ აღარ დაუტოვა. მხოლოდ ერთხელ ჩაიდინა ელიოტმა მკვლელობა პირადი ანგარიშის მიზნით და მაშინაც ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს. ასეთი შეცდომა მეტი აღარ მოსვლია.

შუაღამე გადავიდა. ვიწრო შუკაში სულიერის ჭაჭანება არ იყო. უზარმაზარი, შავი ლიმუზინი მსუბუქად და თითქმის უხმაუროდ დაიძრა ადგილიდან. მცირეოდენი ხნის შემდეგ კი, რომელიღაც უკაცრიელი ადგილისკენ გადაუხვია და გაჩერდა. მანქანის ფანჯრებზე ფარდები ჩამოუშვეს, პირში ჩვარი ჩაუჩურთეს, თვალები აუხვიეს და ხელები ზურგს უკან მაგრად შეუკრეს. ბოლო-ბოლო დარწმუნდნენ, რომ ელიოტს წინააღმდეგობის თავი აღარ შერჩენოდა და გული მოეცათ.

„!ამათ და ელისონის ბანდას შორის არაფერი სხვაობაა", — გაიფიქრა ელიოტმა და იგრძნო, რომ ავტომობილი კვლავ დაიძრა ადგილიდან.

ერთნიცა და მეორენიც წვრილფეხა ჯიბგირები არიან, — ბინების გამტანებიც და ჯიბის ქურდებიც — ორივე „კუტოკი". ეგ არი, გაელენის სფეროები ვერ გაინაწილეს და ელიოტიც სწორედ ამ მიზეზითაა ახლა აქ.

თვალებახვეულს არც კი უცდია დაემახსოვრებინა მანქანის მოძრაობის მიმართულება. კაცმა რომ თქვას, ეს მისთვის არც არავის დაუვალებია, თანაც, ზედმეტი ცნობისმოყვარეობა დაუშვებელ სისუსტედ მიაჩნდა ყოველთვის და მიღებული ინსტრუქციის მკაცრ ჩარჩოებს არასოდეს გასცილებია.

მანქანის უკანა სავარძელზე მიწოლილმა ერთხელ კიდევ გააანალიზა გონებაში „შეკვეთა", რომლის შესრულებაც ამჯერად მოუწევდა.

„პოლდენის ხალხი ძალიან თავს გავიდა", — უთხრა ელისონმა, ბანდის შეფმა, ამ ახლადგამომცხვარმა ალ კაპონემ, სელაპივით გადაგლესილი თმები და უხეირო სუპერმენის მანერები ჰოლივუდის „ბოევიკებისგან" რომ გადმოეღო.

ჯობია, ჯერ თვითონ პოლდენს გავუსწორდეთ, იმისი ბოთეები მერე თვითონ შეძვრებიან თავ-თავის შესაძრომებში. აი, სწორედ ამ საქმის მოსაგვარებლად გვჭირდები შენ.

ელიოტი მხოლოდ თავს უქნევდა. დანარჩენი უთქმელადაც ვასაგები იყო.

მთელი უბედურება იმაშია, რომ ჩვენ ვერანაირად ვერ მოვახერხეთ გაგვეგო პოლდენის „ხავერის" ადგილსამყოფელი. ბოლოს მე ეგრე კი ზრე,

— შენ იქნები ჩვენი სატყუარა. მხიანი სატყუარა, — დააყოლა მან სიცილით და წვრილი, წვეტიანი კბილები გამოაჩინა.

ელიოტს უნდა გაეთამაშებინა ელისონის ბანდის ახალი და ცოტა გამოუქექელი წევრის როლი. შემდეგ პოლდენს ვიღაც-ვიღაცეები ჩაანვეთებდნენ, რომ ეს „ახალი" მათთვის საჭირო ინფორმაციის კურსშია და პოლდენიც ყველაფერს გააკეთებს მის ხელში ჩასაგდებად.

ელიოტი ყურადღებით მხოლოდ იმას ისმენდა, რაც უშუალოდ მის სამუშაოს შეეხებოდა. წვრილმანები არ აინტერესებდა. გეგმას არა უშავს — გაიფიქრა მან. წესით, პოლდენი უნდა წამოგებულიყო ამ ანკესზე და წამოეგო კიდეც, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც შემდგომ მოხდა.

ელიოტს გზა ეგრძელა. პოლდენის ხალხი ყველაზე უფრო იმას უნდა შეეშფოთებინა, რომ „კუდი" არ აკიდებოდათ, ანდა თვითონ ელიოტი არ მიმხვდარიყო მათი ბუნაგის ადგილ-სამყოფელს. ცხადია, უმოკლესი გზით არ წაიყვანდნენ.

როგორც იქნა მიაღწიეს. ჯიკავჯიკავით აიყვანეს მეორე სართულზე და საწოლზე მიაგდეს. საწოლი, — კარგის მანიშნებელი უნდა იყოს, — გაიფიქრა ელიოტმა, ესე იგი, პოლდენს ყველა სიკეთესთან ერთად, მხოლოდ ეს ერთი ნესტიანი ოთახი აქვს. ჩინებულია! ახლა გაცილებით დიდია შანსი, რომ საქმე ისე მოგვარდეს, როგორც საჭიროა.

სანამ ხმას ამოიღებდა, რამდენჯერმე წაათაქებინა. კრინტი არ დაუძრავს. ფიზიკური ტკივილის მოთმენის უნარი ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოუმუშავდა. ეგეც რომ არ ყოფილიყო, ამხელა ფულის გულისთვის რა, არ ღირდა ერთი-ორი მუშტის ატანა?

... მერე კი, მოგეცეს ლხენა, ალაპარაკდა, გადმოულაგა და გადმოულაგა ყველაფერი, რისი გაგებაც უნდოდათ. უფრო სწორად კი, ელისონის შეთხზული ლეგენდა. სიმართლე მასში იმდენი იყო, რომ დაჯერება შეიძლებოდა. ამ როლის თამაში ელიოტს სიამოვნებას ანიჭებდა. რა, რა და, თამაშის გემო იცოდა. ერთიც იყო, უპირატესობა ჰქონდა, რადგან თვალები ახვეული დაუტოვეს, მზერაში და გამომეტყველებაშიც ვერაფერს შეატყობდნენ.

ყოველ შემთხვევაში, როგორც მოეჩვენა, ეს ნერვებსაყოლილი, ათას ღობეზე გადამხტარი პოლდენი, ხმის ტემბრიდან გამომდინარე, კმაყოფილი დარჩა პასუხებით. ელიოტისთვის მხოლოდ პოლდენის აზრს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ შორს აღარ იყო ის დრო, როდესაც პოლიცია სათანადოდ გაუსწორდებოდა ორივე ბანდას და მსუქანი ლუკმისთვის მათ ხმაურიან, მაგრამ წვრილმან კინკლაობას ერთხელ და სამუდამოდ მიეღებოდა ბოლო.

ელიოტს რაც შეეხება, ეს ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. მისი მოვალეობა იყო პირნათლად ჩაებარებინა დაზეპირებული გაკვეთილი, დაეტოვებინა თავისი „სავიზიტო ბარათი" და კუთვნილი წილი მიეთვალა. და აი, ბოლოს და ბოლოს ის აუცილებელი წინადადება, რომელსაც წინასწარ ელოდა. კარგი, მოსულა, — ამოღერღა ელიოტმა და ისეთი სახე დაიჭირა, თითქოს თითი ძალად მოაკაკვინეს. სხვა რაღა ჩარაა, თქვენზე ვიმუშავებ, თუ რასაკვირველია, კარგად გადამიხდითო. დაუჯერეს. ენდნენ. დარიგებები დაუწყეს: კონკრეტულად რა უნდა გაეკეთებინა, როგორ უნდა მოეყნოსა და მერე მათთვის ეცნობებინა ელისონის ბანდის გეგმები. უკვე მოწევის უფლებაც კი მისცეს და სიგარეტი დახეთქილ ტუჩებს შორის თავად ჩაჩურთეს.

ელიოტი მზად იყო ერთი გემრიელად გადაეხარხარა. სიგარეტი კი მოაწევინეს, მაგრამ თვალებიდან სახვევი არ მოუხსნიათ, — ასეთი ნდობა ჯერ კიდევ არ დაემსახურებინა. ცხადია, რომ გაუშვებენ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა და, არ უნდათ, იმაზე მეტი დაანახონ, ვიდრე საჭიროა.

ნაღდია, გააღწევს აქედან — ეს არის ყველაზე მთავარი. ლოგინზე გადაწოლილმა შეუმჩნევლად გააცოცა თითები პიჯაკის სარჩულქვეშ. ჩამოსრიალდა და პირდაპირ ზურგსუკან შეუგორდა მოგრძო საგანი, რომელიც გაჩხრეკის დროს ვერ უპოვეს და, წესით, არც უნდა ეპოვათ.

ელიოტმა ოდნავ მოინაცვლა საწოლზე ადგილი, მხრები ცოტათი ასწია იმ დონემდე, თოკმა სანამდეც მიუშვა, რომ საგანი ბალიშქვეშ შეეჩურთა. ეს იყო დიდებულად ნახელავი მინიატურული ნივთი. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ავტომატური ფანქარი, შიგ ჩამონტაჟებული საათის მექანიზმითა და მძლავრი ასაფეთქებელი ნივთიერებით. ელიოტს, ცოტა არ იყოს, ენანებოდა კიდეც მასთან განშორება.

როგორც ელისონმა უთხრა, ეს ერთი იმ იარაღთაგანია, რომლითაც ომის დროს, ჰიტლერელ სამხედრო ჩინებზე მკვლელობის ორგანიზებისთვის მარაგდებოდა „საფრანგეთის წინააღმდეგობის" ძალები. შეუძლებელი იყო, ელიოტს ღირსების შესაბამისად არ შეეფასებინა ფანქარი, თუმცა მკვლელობის განხორციელებისთვის მეტად არასაიმედო იარაღად მიაჩნდა, რადგან ისეთივე წარმატებით, როგორც პოლდენი, ჰაერში შეიძლება გაფრენილიყო რომელიმე ბრიყვი მოახლე, რომელიც ამ უბედურების დროს დალაგებას მოინდომებდა. ოღონდ, ეს უკვე მისი საზრუნავი აღარ იყო. მან შეასრულა რაც ნაბრძანები ჰქონდა. ფულს კი მიითვლის ნებისმიერ შემთხვევაში და...

უკან როგორც ჩანს, იმავე მარშრუტით წაიყვანეს. ისევ დაუსახლებელ ადგილზე გააჩერეს, პირიდან ჩვარი ამოაცალეს და თვალები და ხელებიც შეუხსნეს.

დაბრუნდა თუ არა თავის ნომერში, ელიოტმა ფანჯარას გადახედა. ალიონის ბაც შუქზე ჰკიდა თვალი, როგორ მიჰქროდა შორს პოლდენის ლიმუზინი.

შემდეგ ნატკენები შეითვალიერა — საშიში არაფერი ჩანდა! პირველი, რასაც შეუდგა, ბარგი-ბარხანის ჩალაგება იყო. ამას რომ მორჩა, მაშინღა იგრძნო დაღლილობა და საწოლზე მიეგდო წასაძინებლად. ასაფეთქებელი მოწყობილობა დილის რვა საათისთვის უნდა ამოქმედებულიყო.

ეძინა ჩვეულებისამებრ ფხიზლად და სულმთლად გათენებულზე, რვას რომ თხუთმეტი აკლდა, მაშინ გაეღვიძა.

გეგმა ასეთი ჰქონდა: სასწრაფოდ ბარგის შეკვრა და ჰაიდა, ელისონთან.

საღამოს გაზეთებიდან, საკონტინენტთშორისო ბორაზე დაჯდომის წინ, შეიტყობს რა ბედი ეწია პოლდენს.

ბალიში გაისწორა, ოდნავ გვერდზე მისწია, რომ ადგილი მოეცალა თავისი მრავლისმნახველი, უშველებელი ჩემოდნისთვის. წმინდა ჯონის ეკლესიის კოშკზე საათმა რვის ჩამოკვრა დაიწყო.

სწორედ ამ დროს დაინახა „ფანქარი".

ერთ ხანს ადგილზე გაშეშდა და სრულიად გაოგნებული მიაშტერდა ბალიშის ქვეშიდან გამოცოცებულს. შემდეგ კი ელვის სისწრაფით მიხვდა ყველაფერს. რა თქმა უნდა! — გაიფიქრა ხევდიანად — რაღა თქმა უნდა სრულებითაც არ გაურისკავთ, „ბუნაგის" მიმართულებით არც კი გაახედეს. ქალაქი თვალის ასახვევად შემოატარეს, დაბრუნდნენ ისევ უკან და სწორედ აქ, თავის საკუთარ ნომერში, დაკითხეს.

პანიკურმა შეძრწუნებამ მოიცვა ელიოტი. გარეთ გავარდნა განიზრახა. საწოლიდან კარამდე მანძილის დაფარვა სამი ნახტომით შეიძლებოდა, მაგრამ სანამ ის კარის სახელურისთვის ხელის ჩავლებას მოასწრებდა, სწორედ ამ დროს იგრიალა ნაღმმა და ტანი ნაფლეთებად უქცია.

თარგმნა

ირმა არჩუაშვილმა



სარედაქციო ჯგუფი

შადიმან შამანაძე (მთ. რედაქტორი)

თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო გოგია,

ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბედია

თამაზ ჩხაიძე, მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მომსახურება)

# უკანონობა და პოლიციური რეჟიმი, თუ სამართლებრივი სახელმწიფო?

## სიტყვა თქვენზეა, ბატონო დეპუტატებო!

...ჩ 1996 წლის 26 იანვრის „კავ-...ნი“ გამოქვეყნებულ ჩემს წე-... გაეცნო, იმედია, უკვე დარწმუნდა, „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყოს“ მთა-...ბრის, ბატონ ჯამლეთ ბაბილაშ-... და მისი გუნდის წევრებს არც ...ული პრესტიჟი აწუხებთ და ... მიერ შეთითხნილ სიცრუეთა ...ა.

...ქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აღ-...ა და, კერძოდ, ჩემი თითქმის უშ-...ლანძღვის ფონზე, ისინი მოური-...დ აცხადებენ მკვლელებად მათ, ...მართაც თვითონ შეწყვიტეს საქ-...რაც იმას ერიდებიან, რომ ოფიცი-...დ განაცხადონ: ადვოკატის ბრა-...ით გათავისუფლება. თითქოს, ...ოდეთ, რომ საქმის შეწყვეტა, ან ...ფიკაციის შეცვლა მხოლოდ გამო-...ის კომპეტენციაშია, ამ კონკრე-...შემთხვევებში კი — თავად გენერა-...ი პროკურორის.

ჩემს მიერ ადრე გამოქვეყნებულ ...ში „დაუსჯელი ბანდიტი, პატიმა-...დაზარალებული და გალაღებული ...ორი, ანუ ბაბილაშვილისეული ...ტურა მოქმედებაში“, მე მივუ-...ი უკანონობის სიმბოლოდ ქცე-...ნერალური პროკურორის მიერ ...მსაჯულების საწინააღმდეგოდ ... კონკრეტულ დანაშაულებზე; ...ის დაცვის უფლებების არსებით ...ვებზე; კანონიერების მიზანშე-...ობით შეცვლის ოფიციალური ...გარებასა და ამ მიზანშეწონი-...მირადად თავისი და იმ წრეთა ...ებით შემოფარგვლაზე, ეისთ-...ნერალური პროკურორის დახ-... კონკურენტთა იზოლაცია პო-... თუ ეკონომიკური მიღწევე-...მიადად იქცა.

...საზოგადოების დიდმა ნაწილმა წაი-...მოისმინა და იხილა გენერალური ...ორის გუნდის უმწეო და ფაქ-...გარემოებათა მიჩქმალვისთვის ..., ლანძღვა-გინებით შეზავე-...მოსვლები. მოისმინა და დარწ-...რომ ჩემს მიერ მხილებულ დარ-...დანაშაულთაგან მათ, ფაქტობრი-...ც ერთი ბრალდება ვერ უარყ-...ნაცვლად, გენერალურმა პრო-...მა და მისმა გუნდმა აირჩია თვით ...ულთა და მათი დამცველის (ამ ...ავტორის) ლანძღვა-გინება.

...პირობებში მადლობის მეტი ... გვაქვს სათქმელი ბატონ სო-...ლიანისადმი, რომელმაც ემო-...ვარეში დააკონკრეტა გენერა-...კურორსა და ადვოკატს შო-...მიმდინარე პოლემიკის ძირითადი ... და, რაც განსაკუთრებით მნი-...ვნია, მიიღო ამომწურავი პასუ-...ხებშიც თვით გენერალური ...ორის გუნდის წევრები აღია-...რომ პრაქტიკულად ანტიკონს-...ური და კანონსაწინააღმდეგო ...მოქმედებები ბრძანდებიან და ...ევენ კანონისა და ადამიანის ...ის საერთაშორისო ნორმების ...ლოდ შესრულებას.

...ისაც კი, ვინც შეუძლებლად ...პროკურატურის უკანონობის ...გადაქცევისადმი შეგუება, და ...თავის საფრთხის წინაშე და-...ვარჯზე ვიკისრე ამ თვალსაზ-...ზოგადოებისთვის შეიარაღე-...ზე უფრო საშიშ პიროვნე-...პირისპირება, — მოულოდნე-...ვით პროკურატურის ხელმძ-...წარმომადგენელთა მიერ, მათ-...ებული ბრალდებების ესოდენ ... აღიარება.

...აღიარეს, რომ არა მხოლოდ ...მიაჩნიათ, არამედ სისტემა-...დებენ 72 საათიან დაკავების ...ის და შემდ დღემდეც „გახა-...“ დასვენებისა და უქმე ...ზე.

2. აღიარეს ისიც, რომ უშვებდნენ და უშვებენ კანონის მოთხოვნის უგულებელყოფას და არ ასრულებენ კანონს დაკავებულისთვის ბრალდების 10 დღეში წაყენების შესახებ, ისევე, როგორც მისი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ, თუ დაკავებიდან 10 დღეში იზოლირებულს ბრალდება ვერ წარედგინა ასეთის არარსებობის გამო.

3. ოფიციალურად დაადასტურეს, რომ კანონიერი საფუძვლის არარსებობის პირობებშიც ურიგდებიან იმ პირის უვადო პატიმრობის ფაქტებს, ვინც მათ მძიმე დანაშაულის ჩამდენად მიაჩნიათ და პირდაპირ აცხადებენ, რომ პროკურატურისთვის არა აქვს მნიშვნელობა კონსტიტუციის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ პირი დამნაშავედ სასამართლომ უნდა ცნოს.

4. დაადასტურეს ისიც, რომ კანონიერად მიიჩნევენ იმ მოქალაქეთა საჯაროდ, ტელევიზიისა და პრესის მეშვეობით მკვლელებად, მძარცველებად, ყაჩაღებად, ქურდებად, გამომძალველებად, მოღალატეებად, ან თუნდაც, ხალხის მტრებად გამოცხადებას, რომელთა მიმართაც, არამც თუ არ არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი, არამედ საკუთარი ხელით აქვთ შეწყვეტილი საქმეები, მათი ეჭვების დამადასტურებელი, კანონიერი მტკიცებების არარსებობის გამო.

5. მათვე აღიარეს, რომ ნამდვილად აუკრძალეს იმ ადვოკატებსაც კი, ვინც აწარმოებს თვით რესპუბლიკურ პროკურატურაში მომუშავე გამომძიებელთა მიერ დაკავებულ პატიმართა დაცვას, რესპუბლიკის პროკურატურაში შესვლა, ჯერ მხოლოდ ხუთშაბათ-პარასკევს, შემდეგ კი საერთოდ, თუ ასას თვით გამომძიებელი არ ისებებს. ყველა შემთხვევაში, როცა დასაცავი ნაცემია და მის მიმართ იყენებენ აკრძალულ მეთოდებს, თავს არიდებენ იზოლირებულის უდანაშაულობის დამადასტურებელ მონაცემთა შეკრებას, იზოლირების პერიოდი გამოყენებულია წამების მეთოდად და ამიტომ, მასთან კვირაობითა და ღამეობით არავითარი საგამოძიებო მოქმედებები არ ტარდება და ა.შ.

6. ამავე წერილში ბაბილაშვილის გუნდის წევრებმა აღიარეს ისიც, რომ პირებს, რომლებსაც ისეთ ბრალდებას უდგენენ, რომელიც დახვრეტას ითვალისწინებს, არ უზრუნველყოფენ დამცველით, იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 44-ე მუხლი, ასეთ შემთხვევაში, ბრალდებულის დაცვით უზრუნველყოფას ავალდებულებს თვით გამოძიებას და ამავე კოდექსის 132-ე მუხლი, ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, ითხოვს საქმის დამატებით ძიებაში დაბრუნებას, ხოლო 355-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, გაუქმებას ექვემდებარება განაჩენი, თუ დარღვეულია 44-ე მუხლის მოთხოვნა.

გაეცნო რა გენერალური პროკურორი გაზეთ „კავკასიონის“ 1996 წლის 6 თებერვალს გამოქვეყნებულ მასალას და მასში ფიქსირებულ საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის კომენტარებს (რომელმაც ნათელყო, რომ პარლამენტის ჯანსაღი ნაწილი ნამდვილად არ შეურიგდება კონსტიტუციისა და კანონის, ისევე, როგორც ადამიანის უფლებების საერთაშორისო ნორმების დარღვევას), ბატონმა ბაბილაშვილმა უარი განაცხადა ბავშვის გატაცებით დაზარალებული მამის მიმართ უკანონოდ ნაწარმოებ საქმეზე საბრალდებო დასკვნის დამტკიცებაზე და თავის მაგივრად, ხელი მოადგილეს მოაწერინა.

ამდენად, თუ ვერ შეძლებს სასამართლოს დაშინებას და უკანონო საბრალდებო დასკვნით საქმის წარმოებაში გადაცემას, პასუხისმგებლობის მოადგილისთვის გადაბრალება უკვე უზრუნველყოფილი აქვს, ისევე, როგორც ფცქიაშვილის საქმეზე თვითონ იყო დამნაშავე გაყალბებული საქმის შვიდჯერ წარმართვაში და „განტევების ვაცებად“ დაქვემდებარებულ პროკურორებს სწირავდა.

ნუთუ ბატონმა რევაზ ყიფიანმა სხვაზე ნაკლებად იცის, რომ სასამართლო ვერ მიიღებს წარმოებაში საქმეს, რომელშიც პატიმარს ისე წარუდგინეს დახვრეტის მუხლი, რომ მისთვის არც ამ სტადიაზე და არც შემდგომ, ცხრათვიანი საკონსტიტუციო პატიმრობის ვადის გასვლამდე, დანიშნეთი დამცველიც კი არ წარუდგენიათ (კანონის პირდაპირი მოთხოვნის მიუხედავად), მაგრამ ეტყობა, გენერალური პროკურორის ხელში სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

რაც შეეხება ადამიანის გამტაცებლებისადმი აშკარა მფარველობის დამადასტურებელ ფაქტებს — რაც ჩემს მიერ ბაბილაშვილის მეზობლური ურთიერთობებით იყო ახსნილი. ვინც გაეცნობა ჩემს მიერ ამავე გაზეთში 26 იანვარს გამოქვეყნებულ მასალას, იმედია, თვითონ დაუსვამს კითხვას გენერალურ პროკურორს: რითი შეიძლება აიხსნას მისი პოზიცია და რამ განაპირობა ის აშკარა მფარველობა კაცისადმი — ვინც გადამალული ბავშვის ცოცხლად დაბრუნების საფასურად 30 000 დოლარი გამოსძალა ბავშვის მამას? ვინც უდავო მტკიცებებით იმხილება აღნიშნული ბავშვის მამის სასყიდლით მოკვლის ორგანიზაციის შესახებ შეთანხმებაში? ვინც კიდევ ერთი ბავშვის გატაცებისკენ უბიძგა თავის თანამონაწილეებს? ვინც, როცა მას ფულის დაბრუნება მოსთხოვეს, სახლიდან მოტყუებით გამოიყვანა შემდეგში წამებით მოკლული ბატონი შალვა გულედანი. ბავშვის გატაცებაში თანამონაწილეებმა ოფიციალურად ჰმხილეს, რომ კაჩესაძემ მათ უამბო ბატონი შალვა გულედანისთვის მის მიერ პირველი ტყვიის სროლის შესახებ. მან თვითონვე აღიარა ოფიციალურ ჩვენებაში, რომ მკვლელობის კვალის დასაფარად, შეგნებულად ავრცელებდა ხმებს, თითქოს, ბატონი შალვა გულედანის მკვლელობიდან მეათე დღეს, მან ეს პიროვნება სალხალამათი ნახა სამგორის მეტროსთან.

თუ დასახელებული ფაქტების უარყოფას შეეცდება ბატონი ჯამლეთ ბაბილაშვილი, საპარლამენტო კომისიის თანდასწრებით ყველა ფაქტს თანმიმდევრულად დავუდასტურებ.

ბატონი ჯამლეთ ბაბილაშვილის დამცველები აცხადებენ, თითქოს, ბუთა ქურდოვანიძე მხედრიონის წევრია. ვისაც კანონიერებასთან რაიმე აქვს საერთო, მან ისიც უნდა იცოდეს, რომ გამოძიება ვალდებულია — კონკრეტული ბრალი დაადასტუროს და არა პიროვნების პოლიტიკური თუ სხვა ოფიციალური ფორმირებისადმი კუთვნილებით ცდილობდეს უკანონო ბრალდება-პატიმრობის გამართლებას.

იმედია, ბატონი ბაბილაშვილი თვითონ აღიარებს, რომ ჯერ ერთი, მე არ ვყოფილვარ ბუთხუზ ქურდოვანიძის დამცველი ბატონ ლევან თოფჩიშვილის მკვლელობის საქმეში. მეორეც, თუ ეს საქმე საეჭვოა, თვით პროკურატურას უნდა მოეთხოვოს პასუხი ჩმის გამო, რომ იმ დროს მარტოხელა დედის ანაბარად დატოვებულ არასრულწლოვანს შვიდიდან ოთხი ჭრილობის მიყენება „დაუმტკიცდა“; რითაც გამოირიცხა სრულწლოვანთა პასუხისმგებლობა მკვლელობისთვის. დაზარალებულები ბოლომდე ამტკიცებდნენ, რომ ძიებას შეგნებულად გადაჰქონდა პასუხისმგებლობა არასრულწლოვანებზე, რადგან მათთვის 10 წელზე მეტი ხნით პატიმრობის მისჯა გამორიცხულია.

ვთხოვთ ბატონ ჯამლეთ ბაბილაშვილს, ახლა მაინც აღიაროს, რომ განაჩენში წერია: „ბ.ქურდოვანიძე თავის თავზე უსაფუძვლოდ იღებს თოფჩიშვილისთვის... მიყენებულ ჭრილობებს, აგრეთვე, გ.წულაძისთვის მიყენებულ მეორე ჭრილობას, ე.ი. ორივეს მიმართ... მიყენებულ ოთხ ჭრილობას. იგი გამოდის იქიდან, რომ მას დანაშაული ჩადენილი აქვს არასრულწლოვანების ასაკში და იმის, რომ მის მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებას კანონი არ ითვალისწინებს“.

განა ნათელი არ არის, რატომ ეშინია გენერალურ პროკურორს კვალიფიციური დამცველის პროკურატურაში შეშვებისა და რატომ იღებს ზომებს დამცველთა ინსტიტუტის ფაქტობრივი ლიკვიდაციისთვის? განაჩენში ზემოთ აღნიშნული ჩანაწერის არსებობის პირობებში ჩემს დასაცავს ვერც ერთი სასამართლო მკვლელად ვერ გამოაცხადებდა.

მთავარი მაინც ის არის, რომ საქმეში, რომელშიც მე ვმონაწილეობ, პროკურატურამ, და კერძოდ, ბაბილაშვილმა, თვითონ აღიარა, რომ ბ.ქურდოვანიძისთვის ვითომდა სამი მკვლელობის წარდგენისთვის არ გააჩნია კანონიერი საფუძველი და ამის გამო, საკუთარი ხელით შეწყვიტა საქმის წარმოება.

ჩემი დავა ბაბილაშვილთან სწორედ იმ უკანონო პატიმრობის გამო წარმოიშვა, რაც ბაბილაშვილმა თვითონ აღიარა. ბავშვისთვისაც კი ცხადია, რომ კანონიერი საფუძვლის, ანუ მტკიცებების გარეშე, პიროვნების, თანაც 9 თვით პატიმრობა, მართლმსაჯულების საწინააღმდეგოდ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენს.

როცა თვით პროკურატურასაც კი მოუხდა ეღიარებინა ძმები ქურდოვანიძეების 1995 წლის 12 აპრილს უკანონო დაპატიმრება, შემდგომ კი თვეობით უსაფუძვლო და უკანონო პატიმრობის ფაქტი, რის გამოც შეწყვიტა მითითებული საქმეები, კარგი იქნება, თუ გენერალური პროკურორი პირდაპირ განაცხადებს: კანონიერია თუ არა სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით ვადაზე ადრე გამოშვებული ასამდე პატიმრის ოთხი წლის შემდეგ უკან შებრუნების მცდელობა, რომელთაგან ნახევარზე მეტი დემოკრატიისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაიღუპა.

თუ ეს უკანონობაა, რატომ გავრცელდა ეს უკანონობა მხოლოდ ბუთა ქურდოვანიძეზე და რა გარანტიები არსებობს, რომ ბატონი ჯამლეთ ბაბილაშვილი ასევე ნელ-ნელა, მიზანშეწონილობის პრინციპის განხორციელების პროცესში, ყველა ცოცხლადგადარჩენილს თანდათანობით ისევ ციხეში არ შეაბრუნებს?

ჩვენი საჩივრების მიღებისთანავე ბაბილაშვილმა გასცა განკარგულება, ბ.ქურდოვანიძის პირადი საქმიდან ყველა დოკუმენტის ამოღების შესახებ, რომლებიც ადასტურებენ, რომ ის ნამდვილად სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით იქნა გათავისუფლებული. ჩვენ ხელთ გვაქვს ოფიციალური ცნობის ასლი (ორიგინალს ვინახავთ), რომელიც ადასტურებს, რომ ბუთხუზ ქურდოვანიძე, ისევე, როგორც სხვები, ნამდვილად სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით იქნა გათავისუფლებული.

ვიმედოვნებთ, რომ გენერალურ პროკურორს მოუხდება საჯაროდ აღიაროს კიდევ ერთი სიყალბის დაშვება. კერძოდ, ტელევიზიისა და პრესის გამოყენებით იმ სიცრუის გავრცელება, თითქოს 1992 წლის იანვრის დასაწყისში ბუთხუზ ქურდოვანიძეს ჰქონდა „ქვედა კიდურების პარეზი კუნთების ატროფიით, ქრონიკული სეფსისი გამწვავების ფაზაში, ხერხემლის დისკები ამოვარდნილი“ და ამის გამო, მას საერთოდ არ შეეძლო სამშობლოს ინტერესების დაცვა.

სინამდვილეში ირკვევა, რომ აღნიშნული დაავადებები ბუთხუზ ქურდოვანიძეს განუვითარდა 1994 წლის ნოემბერში მიღებული ტრავმის შედეგად, რაც მშვენივრად იცოდნენ გენერალურმა პროკურორმა და მისი დავალებით საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შემყვანის ორგანიზატორებმა, რადგან ჩვენ ხელთ არსებული 1995 წლის 28 ივნისის სამედიცინო ცნობის ორიგინალი სწორედ გენერალური პროკურორის განკარგულებაშია, ჩვენ კი ამ ცნობის მხოლოდ ქსეროასლი გვაქვს.

იმედია, უკვე მიაქცევდით ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მაშინ, როცა ჩემს მიერ დასახელებული ხუთივე საქმიდან უკლებლივ ყველა ღაღადებს გენერალური პროკურორის მიერ დაშვებულ უკანონობაზე, როცა ადვოკატებს აღუკვეთეს გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის უშუალო წარმოებაში მყოფ საქმეებზე რესპუბლიკის პროკურატურის შენობაში შეღწევის შესაძლებლობაც კი, 500-ზე მეტი ადვოკატიდან სხვა ვერავინ ბედავს ხმის ამოღებას. თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე, დაშინებული ხალხი იძულებული გახდება, ისეთივე საზეიმო პატაკებისა და რეალიაციების მომზადებაზე იზრუნოს, რომლებიც ჯერ კიდევ გვახსოვს ვიშინსკისეული პროკურატურის თანამედროვეებს: როცა არა მხოლოდ მშრომელთა კოლექტივებს, არამედ შვილებსაც კი უხდებოდათ უკანონოდ დაპატიმრებული მშობლების „მხილების“ შესახებ „აღფრთოვანების“ და „მადლობის“ გამოთქმა.

რამდენიმე სიტყვით მინდა, შევხერდე ბატონი ჯ.ბაბილაშვილის კიდევ ერთ ხრიკზე — პრესის ისეთნაირად გამოყენებაზე, რომ მის მიერ ჩადენილი უკანონობები საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად გამოაცხადოს და საკუთარი უმოქმედობა პოლიტიკური ინტერესებით ახსნას. კერძოდ, გაზეთ „მიმომხილველის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილის საპასუხოდ, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არ არსებობს საფუძველი ბაბილაშვილის, როგორც გენერალური პროკურორის, უმოქმედობის შევარდნაძისეული პოლიტიკით ახსნისა. ბაბილაშვილი უბრალოდ არიდებდა თავს პასუხისმგებლობას, სანამ უსაფრთხოების სრული გარანტია არ შეუქმნეს. უფრო მეტიც, ბაბილაშვილის, როგორც გენერალური პროკურორის, პირად დანაშაულს წარმოადგენს, რომ მან, ბრალდების იმ მასალების უდავო არსებობის პირობებში, რაც ცნობილი იყო ტერორისტული აქტების დამშვებ პირთათვის, ხმაც არ ამოიღო, სანამ არ შეექმნა პირადი უსაფრთხოების გარანტია.

პირადად მე ბატონ ბაბილაშვილს ბრალს ვდებ, როგორც ადამიანის დაცვის უფლებების ხელმყოფს და უკანონო ბრალდება-პატიმრობის დამშვებ თანამდებობის პირს. სანამ არ მივაღწევ ადვოკატურის უკანონოდ უზურპირებული უფლებების, ანუ ადამიანის დაცვის უფლებების რეალური განხორციელებისთვის შექმნილი ინსტიტუტის ფაქტობრივ აღდგენას, უკან არ დავიხევ. ამასთან, რადგან ეს დაპირისპირება საჯარო ხასიათს იძენს, საზოგადოებას იმის შესაძლებლობა მაინც ეძლევა, რომ გაუცნოს და გაითვალისწინოს ის მეთოდები, რომელსაც იყენებს გენერალური პროკურორი და მისი გუნდი პოლიციური რეჟიმის შექმნის უზრუნველსაყოფად.

„პური მეპურემ უნდა გამოაცხოს“ და ხარისხზეც თვითონ უნდა აგოს პასუხი. ხოლო გენერალური პროკურორი, რომელიც პირადად უშვებს და სხვასაც მოუწოდებს კანონიერების „მიზანშეწონილობის“ პრინციპით შეცვლას, ვერ გამოდგება კანონის უზენაესობის უზრუნველმყოფ თანამდებობის პირად. ეს უდავოა.

უნდა გაირკვეს: პოლიციური თუ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისთვის ვილწვით.

სიტყვა თქვენზეა, ბატონო დეპუტატებო.

**შალვა რჩეულიშვილი**
ადვოკატი

# აჭარის ავტონომიის ზოგიერთი საკითხი

# რელიგია, ეროვნება და ავტონომიის ზოგიერთი საკითხი

**დასაწყისი იხ. № 19 (313)**

„ვისი თვალი არ ედგა აჭარას და ვინ არ ცდილობდა დედა საქართველოსგან მის ჩამოგლეჯას — სულთანის თურქეთი და მეფის რუსეთი, ინგლისელი იმპერიალისტები და დენიკინელები, იარაღით თუ ქრთამით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საქართველოს ამ უძველესი კუთხის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ აბაშიძეების გვარი სხვა ერთგულ ქართველ მამულიშვილებთან ერთად არ ეპუებოდა არც ერთ დამპყრობელს, არ უშინდებოდა არც დაპატიმრებასა და ციხეში ჩაგდებას, არც მშობლიურ ადგილებიდან აყრას და უცხო მხარეში გადასახლებას"... (გ. შარაძე, მემედ აბაშიძე, თბ. 1995. გვ. 149).

აჭარის ავტონომიაზე აზრის გამოთქმისას, ჩვენ, პირველ რიგში ღრმად უნდა შევისწავლოთ მე-20 საუკუნის ათიანი წლების სოციალურ-პოლიტიკური პროცესები და ერთხელ კიდევ საზრიანად გავყვეთ მემედ აბაშიძის თაობის გზას. ვინც ნაბიჯ-ნაბიჯ ივლის მათ ბილიკებზე, უთუოდ მივა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი მამების მიერ მიღებული გადაწყვეტილება სწორია. მარტო აჭარის ღირსეულ შვილთა ნაამაგარის გაანალიზება გვიჩვენებს, თუ რა რთული და, ამასთან, აუცილებელი იყო აჭარის ავტონომიის შექმნა. ჩვენზე უკეთესად ვინ უნდა იცოდეს, რომ ჩვენთვის, უპირველესად აჭარლებისთვის, წარსული მძიმე ბედისწერით ნაკარნახევია და იგი მთელი საქართველოს ავბედითი ისტორიის შენაძენია, როგორც ი. რ. ბახარი ამბობდა, „ისტორია: ღმერთი წერს თავის ავტობიოგრაფიას".

1918-1920 წლების საქართველო ცხოვრობდა ძლიერი პოლიტიკური ქარტეხილებით, ქართველმა ერმა დაიბრუნა ნანატრი თავისუფლება, რომელიც 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციით კიდეც დაადასტურა და შეუდგა ქართული სახელმწიფოს მოწყობა-მშენებლობას.

ამ დროისთვის ბათუმის ოლქის პოლიტიკური ცხოვრება მეტად ჭრელი იყო. ამიერკავკასიაში დიდ სახელმწიფოთა დამკვიდრების სურვილით გამოწვეული გამუდმებული შეჯახებები, მაშინდელი საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკური სირთულეები, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, პირდაპირ აირეკლებოდა იმდროინდელი აჭარის ცხოვრებაში. აჭარის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ამძაფრებდა ძლიერ სახელმწიფოთა სურვილს, ამ რეგიონში როგორმე დამკვიდრება-გაბატონების უფლების მოპოვებისთვის.

აჭარაში თურქეთის ბატონობისა და შემდეგ ინგლისის საოკუპაციო მართვა-გამგეობის (1918 წლის დეკემბერი — 1920 წლის ივლისი) დროს სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს, უცხო ძალებს არათუ ხელსაყრელი პირობები ექმნებოდა, არამედ აქეზებდნენ კიდეც გაშლილი ხასიათის ანტიქართული მუშაობის ჩასატარებლად, რომ როგორმე მოეწყვიტათ იგი საქართველოსგან, მის განსხვავებულ ნაწილად გამოეცხადებინათ. საქართველოს მთავრობას კი მხოლოდ დიპლომატიური არხებით შეეძლო მოექცია თავისი ხელისუფლების იურისდიქციაში ქვეყნის ეს ისტორიული ნაწილი.

ერთმანეთის „გაგება" და „სოლიდარობა", „თანხმობა" იყო გზა, რომელიც გვიხსნიდა განადგურებისგან, მით უფრო, როცა ქვეყანა ისე არეული იყო, რომ ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობდა. ასეთი უმძიმესი პოლიტიკური სიტუაცია იმდროინდელი ისტორიული ვითარებით იყო განპირობებული. უაღრესად დაქსაქსული პოლიტიკური ძალები სხვადასხვა ორიენტაციებს სთავაზობდნენ მოსახლეობას. უცხო და შინაური მტრების ზეწოლის შედეგად აჭარაში ქართული მიმართულება საშიშროების ქვეშ იდგა.

აჭარის რჩეული ძალები ხედავდნენ, რომ ეროვნული იდეოლოგია, აჭარელთა შეგნება, ცნობიერება ვერ ამორცხებდა რელიგიურ ფანატიზმს. რთულდებოდა, თითქმის შეუძლებელი ხდებოდა, მძიმე პოლიტიკურ სიტუაციათა და ეკონომიკური სიდუხჭირის შედეგად მიღებული ზღუდეების გადალახვა. ეროვნული თვითშეგნების ერთიან კალაპოტში მოქცევა მოითხოვდა სწორი გზის არჩევას, ისეთი მყარი სახელმწიფოებრივი სისტემისა და ნორმების შექმნას, რომელიც მაშინდელ აჭარლობას მიიყვანდა იმ წყარომდე, მთელი საქართველოს წყურვილს რომ კლავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მემედ აბაშიძე და მისი თანამოგომნი ვეღარ შეძლებდნენ აჭარაში საქართველოს მთლიანობის დროშის გარშემო ეროვნული ძალების შემოკრებას. ყოველივე ამ სირთულეთა გადალახვის პირველ პირობად მშობელ ქვეყანასთან აჭარის ავტონომიის ფართო უფლებებით გაერთიანებას მიიჩნევდნენ.


ბათუმი საუკუნის დასაწყისში

აჭარის ღირსეულ შვილებს მრავალ ფრონტზე უხდებოდათ ბრძოლა. დღეს ამის თქმა იოლია. მაგრამ, თუ წარმოვიდგენთ მაშინდელ რეალურ ვითარებას — ოსმალთა ფარულ თუ ღია აგრესია, რუსეთის რეაქციული პოლიტიკა, მისი პრაქტიკული შედეგებით, ინგლისის საოკუპაციო და სხვა უცხო ძალების ლტოლვა, ავანტიურა, ადგილობრივი რელიგიური დაჯგუფებების შემოტევები — მაშინ ნათელი იქნება, თუ რა ძნელი იყო იმ გზის გაწალდვა, აჭარა დედასამშობლოს კალთებქვეშ რომ შეიყვანა. საჭირო იყო ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომელიც ეროვნული ძალების გაერთიანებას ითავებდა და ერთსახად, შეთანხმებულად წარმართავდა მათ ბრძოლას ერის მთლიანობისთვის. არადა, მაშინდელ საქართველოში ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბება მკაცრად იკრძალებოდა თურქეთისა და ინგლისის ხელისუფლების მიერ. ამიტომაც, მუსლიმან ქართველთა წარჩინებულმა წარმომადგენლებმა 1919 წლის 15 მაისს ქ. თბილისში შექმნეს „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი", რომელმაც უმალ დაიმკვიდრა ხალხში დიდი ავტორიტეტი და იქცა წინამძღოლ ორგანიზაციად. თვით ის ფაქტი, რომ აღნიშნული ორგანიზაცია თბილისში შეიქმნა, და ვერა და ვერ მოხერხდა მისი დაფუძნება ბათუმში, იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ მძიმე პირობებში უხდებოდათ აჭარის წარჩინებულთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძღოლა. „სამუსლიმანო კომიტეტმა" მრავალგვარ წინააღმდეგობათა მიუხედავად, გაშალა რა ფართო მუშაობა მოსახლეობაში, უმთავრესი სიტყვა თქვა აჭარელთა ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში. ჯეროვნად უნდა ითქვას, ამ კომიტეტმა, მემედ აბაშიძის თავკაცობით, მოამზადა ეროვნული ნიადაგი აჭარის დაბრუნებისა დედა საქართველოსთან.

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს" ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეკლიან გზაზე წინ აღუდგნენ ის ძალები, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ სხვადასხვა „პანთურქისტულ, პანისლამურ" დაჯგუფებებში, უპირველესად — პოლიტიკურ ორგანიზაციაში „სედაი მილეთი" და რუსთა ეროვნულ საბჭოში. ისინი ანტიქართულ პროპაგანდასთან ერთად ეწეოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ხასიათის მუშაობას. აჭარის მოსახლეობაში ანტიქართული აზრების გავრცელებაში განსაკუთრებულ მონდომებას იჩენდნენ თურქეთის ემისრები. ისინი თავისუფლად ბოგინობდნენ აჭარის ტერიტორიაზე. ყველა ამ ანტიეროვნული ძალის ფინანსური, პოლიტიკური თუ ძალისმიერი დახმარების ფესვი საკვებს იღებდა თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის ხელისუფლებასა და ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებაში. საქართველოს მთავრობა თავის პოლიტიკურ-ეროვნულ სახელმწიფოებრივი შენების რთულ გზაზე ეყრდნობოდა „განმათავისუფლებელ კომიტეტს". ამის სარწმუნო დადასტურებაა, რომ „განმათავისუფლებელ კომიტეტთან" საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამგებლობის ქვეშ, ოზურგეთსა და ახალციხეში შეიქმნა აჭარელ პატრიოტთა სამხედრო ბატალიონი, რომლის მეთაური გენერალი ასლან აბაშიძე იყო. საქართველოს მთავრობამ აჭარელთა შორის მას პირველს მიანიჭა გენერლის წოდება.

1919 წლის 11 იანვარს „განმათავისუფლებელი კომიტეტის" ინიციატივით გამოვიდა გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო", რომლის კრედო ჩამოყალიბებულია გაზეთის პირველი ნომრის სარედაქციო წერილში: „ჩვენი მიზანია სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის უზრუნველყოფა". ამ იდეას ბოლომდე სწორუპოვრად ატარებდა გაზეთი, მისი დამაარსებლისა და რედაქტორის მემედ აბაშიძის მეთაურობით, ამიტომაც უბადლო, წუნდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის მას აჭარელთა ეროვნულ გათვითცნობიერებაში.

აჭარის მკვიდრმა, თავის დროზე, სარწმუნოების იძულებითი შეცვლის გამო დიდი მსხვერპლი გაიღო, მიიღო იგი სისხლისა და ცრემლის ფასად. თუ ვინმეს ჰგონია, რომ აჭარამ სარწმუნოება ტაშ-ფანდურით გამოიცვალა, ის პირველ რიგში მთელი ერის ისტორიას შეურაცხყოფს. როცა რუსეთი დაეპატრონა ამ ულამაზეს მიწას, დაიწყო პროპაგანდა სარწმუნოების ხელახალი შეცვლის შესახებ, აჭარლებს ეგონათ, რომ ეხლაც ისეთი დღე მოელოდათ, რაც ოსმალებმა მათ დამართეს. ესე იგი, ხელახლა რჯულის გამოცვლა. ვაი-ვაგლახი და აწიოკება, ამიტომაც ნაწილი ოსმალეთში გაიქცა, დანარჩენები შიშით ელოდნენ „რუსეთის მხედრიონის ძალას". ამას დაუმატეთ ფანატიკოსი ხოჯა-მოლების ძირგამომთხრელი მუშაობა, ერისა და რელიგიის არასწორი გაგება, პროპაგანდა ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ — „ქართველობა ქრისტიანობას ნიშნავს", „მათთან ურთიერთობა რელიგიის ღალატია, ეს ნიშნავს გაქრისტიანდე" — და ნათელი გახდება, თუ რა მძიმე სულიერი განწყობილება სუფევდა მაშინდელ აჭარაში. „ჩვენში ცუდ ხმებს ავრცელებენ, გვეუბნებიან, ქრისტიანი ქართველები შურს იძიებენ, გვემტერებიან, დაგვეცემიან — სულ ყველაფერი ეს ტყუილია. ქრისტიან ქართველს მხოლოდ ჩვენი კარგი უნდა. ჩვენ თურქეთის ოფიცრები გვატყუებენ, მთელი ქართველობა ჩვენ გვაძლევს ფართო ავტონომიას. ნუ ავყვებით თურქებს", — წერდა მემედ აბაშიძე.

ჩვენი მუსლიმანი მეზობლის მოქმედება იოლად ასახსნელია: საქმე ისაა, რომ თურქეთი ვერ ეგუებოდა ქართული მიწების დაკარგვას და გამწარებული ცდილობდა, რელიგიური გავლენა მაინც შეენარჩუნებინა ამ ტერიტორიებზე. ამ საქმეში თურქებს სხვებიც ეხმარებოდნენ. ისინი ცდილობდნენ პროგრესული ქართული საზოგადოების ყოველგვარი საქველმოქმედო თუ საგანმანათლებლო საქმიანობისთვის რელიგიური სარჩული დაედოთ — აქაოდა, მაგათ თქვენი გაჭირვება სულაც არ ადარდებთ, იმიტომ იწუხებენ თავს, თქვენი ძალად გაქრისტიანება სურთო. „ბაქოს მუსლიმანთა საზოგადოების" აგენტები, ... სრები, რომლებიც „ერთმ... მუნეთა ბედით შეწუხებუ... დადიოდნენ სამუსლიმანო ს... რთველოდ წოდებულ ... კუთხეში, ორგვარ უკეთ... ბებს ქადაგებდნენ. ამ „კეთ... მსურველებს" არც ადგილო... ვი რეაქციონერები ჩამორჩ... დნენ, რომლებიც ან გო... სიბნელის გამო ებრძოდნენ ... ველი ახალს, ან კიდევ, ... ქით, საკმაოდ ჭკვიანები ი... და გრძნობდნენ, განათლ... და შეგნების ზრდა, კულ... რული ცხოვრების განვით... ბოლოს მოუღებდა მათ ... ლენასა და პრივილეგიებს.

ავიღოთ თუნდაც ასეთი მაგალითი:

ბესარიონ ჭიჭინაძე აღ... თავის მოგზაურობას ზემო ... რაში. იგი ღამის გასა... დარჩენილა სოფელ დიო... მეორე დღეს გაუგია, ... მოდის ახალციხიდანო და ... მედებულს, რომ ეს ... ძმობისა და ერთობის მო... ლი იქნებოდა, დაუცდია. ... ეს დაუპატიჟებელი ს... აღმოჩნდა ახალციხის ... ყოფილი უფროსი, ტომით ... კი. ხალხი შეკრებილა ... სტუმარი ჯერ კარგად ... რევებია მათ, უცხო ხომ ... ურევიაო, ჩვენი ავტორი ... ლობრივთაგან ვერ განუ... და დაუწყია საუბარი ... რჯულის შესახებ ულაპა... შემდეგ გამოუთქვამს შიშ... „ეს სკოლები, რომელნიც ... აჭარლებისთვის ქართვე... გაუხსნიათ, დიდ საფრთხე... მზადებთ და ეცადეთ, ბავ... არ მისცეთ იქაო. აგრ... ხელი შეუწყვეთ, რომ ... შვილებმა ქართული ნ... დაივიწყონო, რაც ადვილ... სახლში ყველა თათ... ილაპარაკებთო. თანაც ... ქართველები თქვენ ... გიწევენ დახმარებას, ... სურთ, გაგაქრისტიანონო. ... დეგ ხალხს ურჩია, გამოგზ... ჩვენთან ახალციხეში ... და მოვამზადებთ მათ ... საჭიროა ჩვენი ხარჯ... (გაზ. „სახალხო ფურ... №894, 21 ივნისი, 1917 ... თუ რა იგულისხმება ... გორც საჭიროში", მკით... თავად მიხვდება.

მრავალი მსგავსი მაგა... მოტანა შეიძლება, მაგრამ ... ქრობთ, ეს ერთიც საკმა... იმის წარმოსადგენად, თუ ... გორი გულშემატკივრები ... ვდა. მადლობა ღმერთს, ... კვლავაც ფეთქავდა ქართ... ძარღვი და კვლავაც ... ქართული გენი, მა... ღმერთს, რომ ეს ლამის ... ლისგან დაცლილი კუთხე ... ლაფერზე მაღლა მუდამ ... ქართველობას აყენებდა, ... ვინ იცის, სად გადაიჩეხ... ამგვარ ქადაგებათა გამ... ქართული სული.

ასეთ პირობებში ... მტკიცება, რომ აჭარელი ... წინაპარი ქრისტიანი იყ... ამიტომ ქრისტიანობას ... დაბრუნებოდნენ, ხელს ... ლიდა, ზიანს მოუტანდა ... გზას, ეროვნული გამთლ... სკენ მიმავალს და ... წინაღობად იქცეოდა მუ... ქართველთა ეროვნული ... თცნობიერების საწადელ... ში. ამ ეტაპზე უნდა და... ცებინათ, რომ აჭარელ... ქართველი, ქრისტიანი ... და მხოლოდ იგი ი... მშველელი. მ. აბაშიძის ... ველოს გამთლიანების ... ლი პოლიტიკას თურქ... ლისელი თუ რუსი რ... ძალები ავანტიურულ... რულ და ფარულ ... უწყობდნენ.

გაგრძელება იქნება

ოვნებაზე დაობენ

# ვითომ გამოვიდა კლაუდია მოდიდან?..

...რმანელ ლამაზმანს საკმაოდ ...ად უტევენ. როდესაც ვინ- ...რმატება მუდამ თან სდევს, ...დოდაც აზღვევინებენ ხო- ...ხარე კრიტიკით. ამის გამო- ...ებას იძენს ახლა კლაუდია ...ი 24 წლის ტოპმოდელი ...ს მანძილზე ზენიტშია. მიუ- ...ად ამისა (ან სწორედ ამის ...დების სამყაროში მას ცო- ...ბარი ჰყავს. როცა კლაუ- ...შესახებ წამყვანი დიზაინე- ...და საუკეთესო ფოტოგრა- ...აზრს ისმენთ, ნამდვილად ...ებით, რაღამ განაპირობა მი- ...ი პოპულარობა? მეორე ...ც, ამ ყველაზე გავლენიანი ...ორების უარყოფითი აზ- ...ურებულ ქვაზე აორთქლე- ...ლის წვეთებს ჰგავს. მილი- ...ს უყვართ კლაუდია და უთვა- ...ფირმის დიდი სარეკლამო ...ებიც ყველაზე ხშირად ...დ მას იწვევენ და უზარმა- ...ონორარებსაც უხდიან. კლა- ...შიფერი მოდიდან გამოვიდა? ...არ შემთხვევაში. კარგი იქ- ... ბატონებს, რომლებიც ... მის შესახებ სიტყვით გა- ... კლაუდიას თაყვანისმცე- ... აზრი მოესმინათ. მაშინ ...ოცხოვანი დადებითი აზ- ... შეხედულებას გადაწონი- ...ენიც არ უნდა აიმაღლონ ...ა გამკრიტიკებლებმა, კლა- ...შიფერს არავითარი საბაბი













არა აქვს მოწყენილობისთვის: იგი ხომ წარმატე-ბულია, როგორც სხვა არავინ.

ჯანფრანკო ფერე: „იგი ნამდვილად ულამაზესია და თავისი საქმეც კარგად ესმის, მაგრამ მე უფრო მეტად შინაგანი გამოსხივება, გარეგნობაში გამოვლენილი ხასიათი მაინტერესებს და მომწონს".



ჯორჯიო არმანი: „კლაუდია საოცრად ფოტოგენურია და უეჭველად ძალიან ლამაზი, მაგრამ როდესაც მსოფლიოს ულამაზეს ქალობაზე გაქვს პრეტენზია, ცოტა მეტი უნდა გქონდეს".

კარლ ლაგერფელდი: „ულამაზესია. ხელები და ფეხები ბერძნულ ღვთაებას მიუგავს. კლაუდია შიფერი უბრალოდ არაჩვეულებრივია!"













ჯინი ვერსაჩი: „კლაუდიას როგორც მანეკენის პრობლემა: მან სიარული არ იცის — ვერც ვერასოდეს ისწავლის! ამიტომ არა აქვს მას ჩემს მოდასთან არავითარი შეხება. ჩემი მოდა ინტელიგენტური ქალებისთვისაა".

ოტო კერნი: „იგი ჩემი გემოვნების არ არის. საკმარისი არაა იყო უბრალოდ ლამაზი. კლაუდია შიფერი მე არ მეჩვენება მგრძნობიარედ, ამიტომ არ ვმუშაობ მასთან".

ჟან პოლ გოულტიე: „ვერ ვიტან. ხშირად ბრიჟიტ ბარდოს ადარებენ, მაგრამ კლაუდია არ არის ახალი ბარდო. იგი ცოტა არ იყოს მიმწუხრი და პრაქტიკულია".

ვოლფგანგ იოპი: „იგი გაარაჩვეულებრივებული, გაიდეალებული საშუალო გარეგნობის ქალია. მისი ასეთი აღზევება იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა დრომ სახე და გემოვნება დაკარგა".

ჰელმუტ ნიუტონი: „არასოდეს არ გადავუღებ სურათს, იგი არ შეესაბამება ქალების სილამაზის ჩემეულ ხატს. კლაუდია შოკოლადით სავსე კოლოფს მაგონებს, არ იფიქროთ, თითქოს ამას ღვარძლიანად ვამბობდე, უბრალოდ, მე არ ვულებ სურათებს შოკოლადის კოლოფებს".

მოამზადა

ნათია ფანჯიკიძე

## პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია!

### №8 საბარათო აუქციონი

აუქციონზე მონაწილეობის მისაღებად განაცხადები მიიღება 1996 წლის 14 მარტის 11 საათამდე
აუქციონი გაიმართება 1996 წლის 15 მარტს 11 საათზე
ერთი აქციის ღირებულება უდრის 1.46 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში

პრივატიზაცია

| ...ის დასახელება | გამ.აქც.რ- | გას.აქც.რ-ბ | % | ფ.აშ.დ. | საწ.ფასი | ბე | მისამართი, ტელ. | გენერ. დირექტო | მინ.ნფ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ...მინის ტარის ქარხანა"(ქუთ.) | 199654 | 101000 | 51 | 191959 | 19196 | 1920 | ქუთაისი, ლ. ასათიანის 98, ტ.3 | მ. შეყლაშვილი | 5.2 |
| ...ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკა" | 233520 | 119000 | 51 | 226170 | 22617 | 2262 | ქუთაისი, ნიკეას 18, ტ.33890 | რ. ჯინჯოლია | 4 |
| ...ინდუსტრია-21"(ავეჯმშენის დამხმ.საწ.) | 230261 | 116000 | 50 | 220468 | 22047 | 2205 | ქინძმარაულის 15, ტ. | კოლეგ.-? | 2.84 |
| ...ვრიტა"(„თბილრძე") | 534305 | 784 | 0.2 | 1490.06 | 213 | 22 | კახეთის გზატკეც.მე-10 კმ.,ტ. | დ.დათოშვილი | 11 |
| ...რავანი"(№3 სატ.ავტოსატრ.საწ-მო) | 142329 | 14485 | 10 | 27530 | 3933 | 394 | მუხათგვერდი, ტ. | შ. ფხოველიშვილი | 5 |
| ...ილა"(ზუგდიდის სამრ.კომერც.ფ-მა) | 17765 | 106 | 0.6 | 201.462 | 29 | 3 | ზუგდიდი,კ.გამსახურდიას 25,ტ. | გ.მაქაცარია | 18.1 |
| ...გამა"(თელავის წინდების საქს.ფ-კა) | 64331 | 11 | 0 | 20.9 | 3 | 1 | თელავი,ალაზნის გამზ.2,ტ.3128 | ზ.მოდებაძე | 1.69 |
| ...სპაგეტი-94"(სახ.საწარ.„სპაგეტი-94") | 366782 | 16853 | 4.6 | 32030.6 | 4576 | 458 | თემქის დას.III მ/რ,ისაკიანის 1, | ს. კუხიანიძე | 0.4 |
| ...ვრძი"(თბ.მატყლის პირვ.დამუშ.ფ-კა) | 249887 | 1046 | 0.4 | 1988.01 | 285 | 29 | თეთრი ხევი,ჰესის დასახლ.,ტ. | გ.ბაგრატიონი | 3.68 |
| ...ავტომოტოსერვისი"(რ.ს.გ.„საქავტ.მ.სერ") | 74808 | 1477 | 1.2 | 2807.16 | 402 | 41 | თამარ მეფის 14,ტ. | ვ. ყლენტი | 1.7 |
| ...ავთობპრ.მოძრ.ავტოგასამ.სადგ.„მაგსი" | 115797 | 58364 | 50 | 110926 | 11093 | 1110 | ჭირნახულის 52,ტ. | გ.ხარშილაძე | |
| ...ხვი-92"(მცხეთ.სამშ.მექანიზ.კოლონა) | 69237 | 761 | 1.1 | 1446.35 | 207 | 21 | მცხეთა,ქსანი,ტ. | | |
| ...ორისხევი"(ბოლდათ.ღვინ.წარმ.სახ.სკფ) | 83064 | 1557 | 1.9 | 2959.21 | 423 | 43 | ბოლდათი,სოფ.წითელხევი,ტ. | | 3.07 |
| ...ავტოსერვისი-94"(თბ.ავტომოტოსერვ.საწ.) | 61991 | 1326 | 1.6 | 2520.18 | 361 | 37 | თამარ მეფის გამზ.14,ტ. | ო.მოსეშვილი | |
| ...ანაპირო-10"(ავტოტექმომსახ.სადგ.№10) | 77829 | 10000 | 13 | 19005.8 | 2716 | 272 | ქსნის ქ.,ტ. | თ.სოსელია | |
| ...ქ-ლადა"(ს/ს „მთაწმინდა") | 1 +06 | 98 | 0 | 186.257 | 27 | 3 | ორხევი 103,ტ. | ვ.კობერიძე | 2.52 |
| ...ზგინეთი"(ხის დამუშ.მც.საწ.„ბაგინეთი") | 36874 | 3739 | 10 | 7106.29 | 1016 | 102 | მცხეთა,წერეთლის 4,ტ.2084,23 | მ.ჭელიძე | |
| ...ავზავრო"(დუშეთის ავტოსატრანსპ.საწ.) | 16566 | 2800 | 17 | 5321.64 | 761 | 77 | დუშეთი,სტალინის ქ.110,ტ.2247 | შ.ჯანგირაშვილი | 1.5 |

## ყურადღება. ცხადდება მერვე საბარათო აუქციონი!

...ესპუბლიკური საბარათო და განაცხადების გადამამუშავებელი სა-...ცენტრი აწყობს მერვე საბარათო აუქციონს, რომელზეც გამო-...ება სააქციო საზოგადოებების აქციათა პაკეტები.

...იონი გაიმართება რესპუბლიკური საბარათო და განაცხადების ...ვებელი საუქციონო ცენტრის შენობაში (თბილისი, ჭავჭავაძის ... 60). 1996 წლის 15 მარტს 11 საათზე. აუქციონზე გამოტანილ ...საწარმოს აქციათა პაკეტი, რომელთა გაყიდვა მოხდება ცხრი-...ებული საპრივატიზაციო ბარათების რაოდენობით განსაზღვ-...ი ფასითა და საწყისი ფასის არანაკლებ 10 პროცენტიანი ბიჯით. ...ონში მონაწილეობის უფლება აქვს „საქართველოს რესპუბ-ლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონით მყიდველად ცნობილ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც არაუგვიანეს 1996 წლის 14 მარტის 11 საათისა გააკეთებს განაცხადს და შეიტანს ბე-ს საპრივატიზაციო ბარათებით (საწყისი გასაყიდი ფასის არანაკლებ 10 პროცენტისა).

ბე შეტანილ უნდა იქნეს ს/კ ბანკის „საქართველოს ბანკის" სათავო განყოფილებაში (ქ.თბილისი, პუშკინის ქუჩა № 3).

მონაწილენი დამატებით წარმოადგენენ: ფიზიკური პირი — პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ხოლო იურიდიული პირის წარმომადგენელი სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობას, სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს და ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციების წილი არ აღემატება 25 პროცენტს. საინვესტიციო ფონდის წარმომადგენელმა თან უნდა იქონიოს მინდობილობა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის ასლი.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომელიც დაასახელებს მაქსიმალურ ფასს.

დამატებითი ცნობების მისაღებად დარეკეთ: 22-70-07 ან 22-71-10.

## განცხადებები

**გთავაზობთ გაზეთ „კავკასიონში“ კვირის მანძილზე გამოქვეყნებულ განცხადებებს**

**ვიყიდი**

**მყიდველი ეძებს ბინას 8000 ლარის ფარგლებში. გთხოვთ დაგვირეკოთ: 35-47-61, იკითხეთ ნათელა.**

ვაწარმოებთ უცხოური და ე.წ. სამამულო წარმოების ელექტრო აგრეგატების (დიზელის და ბენზინის ძრავიანი ელექტროგენერატორების) კვალიფიციურ მომსახურეობას და შეკეთებას.

მოგვმართეთ ტელეფონით: 36-24-73; 96-92-78.

დარეკეთ დილის და საღამოს საათებში.

■ მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს მათემატიკასა და ფიზიკაში, სახლში მისვლით. ტელ.: 31-58-00 (იზო).

### ვაქირავებ

■ ოროთახიანი კერძო ბინა ვაკის პარკთან ახლოს, ტელეფონით, ფასი 150§ (შესაბამისი კურსით). ტელ.: 34-31-28.

■ საბურთალოს ქუჩაზე, ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას, მეოთხე სართულზე, ტელეფონით, მაცივრით, ავეჯით ან უავეჯოდ. ცნობისთვის დარეკეთ: 22-57-48.

■ ოროთახიან, ლოჯიიან სუფთა ბინას 5 სართულიანი სახლის პირველ სართულზე, ბელეტაჟზე. ნაწილობრივ ავეჯით, ტელეფონით. მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტი“, რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანზე. ფასი — თვეში 150 დოლარი. ტელეფონი: 37-23-72. იკითხეთ მიხეილი.

■ ვერაზე 2-ოთახიან ბინაში ერთ ოთახს 2 გოგონასთვის. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 29-18-06.

### იყიდება

■ **3 ოთახიანი ბინა სათავსოებით
გ. ტაბიძის №7
ტელ: 99-75-13**

■ იყიდება ტანსაცმლის ორი კარადა.
ტელეფონი: 22-46-89.

■ იყიდება გერმანული, ჰოლში დასადგმელი ტანსაცმლის ჩამოსაკიდებელი სარკით და ფეხსაცმლის სათავსოთი. ფასი შეთანხმებით.
ტელეფონი: 36-56-23 (7 საათის შემდეგ, დოდო).

■ იყიდება საკერავი მანქანა „პოდოლსკი“. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 36-56-23 (7 საათის შემდეგ, დოდო).

■ ვყიდი ორ ძველ კარადას და საწერ მაგიდას ოფისისთვის. ფასი ნორმალური. ტელეფონი: 22-46-89.

■ ვყიდი სარეცხ მანქანას „ВЯТКА“, ახალს, შეფუთულ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით.
ტელეფონი: 72-03-98.

■ ვყიდი ტყავის ფინურ სამეულს და საძინებელს „ავრორა“. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 96-89-17 (იკითხეთ ილო).

■ ვყიდი ან ვცვლი 3 ოთახიან (მიშენებული აქვს 2 ოთახი და 2 აივანი, სულ 5 ოთახი) სტანდარტულ, იზოლირებულ, გარემონტებულ ბინას ტელეფონით და ავტოფარეხით, წერეთლის გამზირზე, 8 სართულიანი კორპუსის მე-5 სართულზე, ოროთახიან ჩეხური პროექტის ბინაზე. გაყიდვის შემთხვევაში, ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 34-11-22.

■ იყიდება ხარისხიანი, რიგის წარმოების, ორმაგი შემინვის ფანჯრები. ჩარჩოს ზომა — 180x90, 153 ცალი, კარები — ჩარჩოს ზომა 240x90, 81 ცალი, კარები — უჩარჩოოდ, ზომა 210x90, 60 ცალი. ფასი შეთანხმებით.
ტელეფონი: 98-56-10; 68-25-64 (11-დან 16 საათამდე); 23-38-34; 35-00-33 (19 საათის შემდეგ).

■ საბურთალოზე, რესპუბლიკური საავადმყოფოს პირდაპირ, 8-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე სამოთახიანი სუფთა ბინა სათავსოებით, [illegible] მაგი კარ-ფანჯრით, [illegible] კარებით. ფასი 31 500 [illegible] ტელ.: 39-84-23.

■ ძველებური კამოდისს[illegible]რი, ძველებური სარ[illegible] ტანსაცმლის კარადა. [illegible] შეთანხმებით, ტელ.: 36-4[illegible]

■ მიწის ნაკვეთი გლდ[illegible] ტბასთან ახლოს, 500[illegible] ლარის ფარგლებში ([illegible]ლოებით) სოფელ გლ[illegible] ფართობი 1000 კვ.მ. [illegible]ლობილია კაპიტალ[illegible] შეყვანილია განათება, [illegible]ნებრივი გაზი და სა[illegible] წყალი, დგას ხის სა[illegible]ლო ფარდული, არი[illegible] ლეფონი — 67.24.02. [illegible] ამისა, სათბური 30[illegible] კაპიტალური, გამზად[illegible] სამუშაოდ — 5-6 [illegible] ხილის ნარგავებით. [illegible] 34-35-29 (მარინა).


**ყურადღება!**

**ეს სიახლეა!**

მათ, ვინც მგზავრობს საჰაერო ტრანსპორტით, საინფორმაციო ბანკი-005 სთავაზობს სიახლეს.

საკმარისია ერთხელ საინფორმაციო ბანკ-005-ში დატოვოთ თქვენი საპასპორტო რეკვიზიტები, ან შეიძინოთ ერთი ბილეთი, რომ ამის შემდეგ „005“ ბილეთებს მოგართმევთ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე ავიაკომპანიების მიერ დადგენილ ფასებში ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

**„005“ — ეს თქვენი ტელეფონია.**

დარეკეთ 005-ზე ან მოგვმართეთ მისამართზე: რუსთაველის გამზირი 3.


### ოცნება

## ქართველის «მაქსი» და «მინი» ნატვრა

„მაქსი“

**მომმის ალმოდებულ სახლზე
„მომმეს“ ხელი არ მოეთბოს,
შთამომავალს ჩვენს ქცევაზე
ჭირის ოფლით არ მოეთხროს,
ცხუმ-ცხინვალში დაბრუნება
ღირსებოდეს ქართულ ეთნოსს,
სახელმწიფოდ ვქცეულიყოთ
როგორც ერთხელ, როგორც ერთდროს,
წამდეს ღმერთი და სამშობლო
მღვდელს, ერისკაცს და სამხედროს.**

„მინი“

**კრანში წყალი მოდიოდეს,
პური იყოს, შუქი ენთოს
და მთავრობა იმნაირი,
რომ მის ნათქვამს კაცი ენდოს.**

რ. მიქაბერიძე

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. შავი, სქელი ნისლი სამრეწველო ქალაქებში; 2. ორანძიანი გემი XVIII ს.; 3. ცხოველი ინდოეთსა და აფრიკაში; 4. ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე; 5. ცისფერყვავილიანი მცენარე; 6. სპორტული ან სასეირნო გემი; 7. სოფელი ქართლში; 8. ავადმყოფობის განვითარების უმაღლესი წერტილი; 9. გაუმჯობესებული მშვილდისარი ევროპაში; 10. მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახისა; 11. ხუროთმოძღვრების ძეგლი ოჩამჩირის რაიონში; 12. პერანგის მაჯა; 13. კენედის მკვლელი; 14. პოპულარული სპორტული თამაში აშშ-სა და ინგლისში; 16. სახელმწიფო ევროპაში; 17. ცვარი ანუ ...; 18. თუთიყუში; 20. ველური ცხვარი აზიის მთებში; 21. ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოები; 29. გუმბათიანი მრგვალი ნაგებობა; 30. რისიმე კონტურული გამოსახულება; 31. ქვეყანა აფრიკაში; 32. ხუროთმოძღვრების ძეგლი და სოფელი ყოფილ ორჯონიკიძის რაიონში; 33. სასიმინდე; 34. პალესტინის ძველი სახელი; 40. XVII ს. იტალიელი ფერმწერი; 43. ზღვაში მცურავი ყინულის მთა; 45. სატანკსაწინააღმდეგო იარაღი; 47. აშშ-ს შტატი; 48. დავალება; 49. სახელმწიფო ევროპაში; 50. შემნახველ სალაროში შეტანილი ფული; 52. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს საჰაეროს; 53. გაზი ანუ ...; 57. პატარა მტაცებელი ნადირი; 59. მინერალი სხვადასხვა ფერისა, ზოგი მათგანი ძვირფასია; 61. გამოდნობით მიღებული ლითონის მთლიანი ნაჭერი; 63. ყვავილი; 65. ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი კუთხე; 66. ფინური აბანო; 67. მშვილდით სასროლი ჯოხი; 69. გფრ-ს დედაქალაქი; 70. იაპონური ფირმა; 71. გვინეა-ბისაუს დედაქალაქი.

**თარაზულად:** 3. ისრაელის ბრძენი მეფე; 5. თავისუფალი საწვრთნელი ბრძოლა კრივში; 7. შვიდი დღე; 10. გრძელი უტარო მათრ[illegible] 12. კომპიუტერული თამაში; 14. ქალაქი საფრანგეთში; 15. მარჯნის კუნძული; 17. პატარა თითი; 19. ქალის სახელი; 22. ბერძნული ან[illegible] ყველაზე პატარა ასო; 23. დრამატული სახე, რომელსაც არტისტი განასახიერებს; 24. ეგეოსის კულტურის ცენტრი; 25. მდინარე ქარ[illegible] 26. ქალაქის ან სოფლის ერთ-ერთი კუთხე; 27. მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების მმართველი; 28. თვალის ფერადი გა[illegible] 31. ჩანთოსანი ცხოველი; 33. ხელოვნური ქსოვილი; 35. 1832 წლის შეთქმულების გამცემის სახელი; 36. ბრძოლა; 37. გაერთიანება, კავ[illegible] 38. მოკლე, სასაცილო ამბავი; 39. საკრედიტო დაწესებულება; 40. სამშენებლო მასალა, დუღაბი; 41. სინათლის ძალის ერთეული; 42. [illegible] თბილისში; 44. ინგლისის უძველესი სახელწოდება; 46. ეკლესიიდან განდევნა, შეჩვენება; 48. სახელმწიფო ევროპაში; 51. კუნძული ხმელ[illegible] ზღვაში; 54. ერთუჯრედიანი ცხოველი; 55. რუსეთის საინფორმაციო გადაცემა; 56. მონათხრობი ვისიმე, რისამე შესახებ; 57. ცხენ[illegible] სატარებელი მსუბუქი ოთხთვალა; 58. ტყის ქათამი; 60. ქვეყნის ნაწილი; 62. მუსიკალური ბგერის აღმნიშვნელი ნიშანი; 64. უდედმა[illegible] მტაცებელი ფრინველი; 68. ეგვიპტური ფრინველი-ღვთაება; 72. ამერიკელების მეტსახელი; 73. ქალიშვილი; 74. პრეპარატი — ტკივ[illegible] სიცხის საწინააღმდეგო; 75. ქვეყანა ჩრდილოეთ ევროპაში.


დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე,
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა ვეშაპიძე,
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია, პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 29-48-05.